



USAID
 ამერიკელი საზღვარგარეთის
 დახმების სააგენტო



EAST • WEST
 MANAGEMENT
 INSTITUTE
 კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
 საქართველოში (PROLoG)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სისხლის სამართლის სასამართლო პროცესების მონიტორინგი თბილისისა და ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში

მონიტორინგის ანგარიში №9
 პერიოდი: თებერვალი-ივლისი, 2016



თბილისი
 2016

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სისხლის სამართლის სასამართლო პროცესების მონიტორინგი თბილისისა და ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში

მონიტორინგის ანგარიში №9

პერიოდი: თებერვალი-ივლისი, 2016

თბილისი, საქართველო

მონიტორინგის პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი ხალხისგან



EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLOG)

ავტორთა მიერ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ამერიკის მთავრობის პოზიციას.

საია მადლობას უხდის საქართველოს სასამართლო ხელისუფლებას სასამართლო მონიტორინგის პროექტის განხორციელების ხელშეწყობისათვის.

ავტორი: გობა სტინაშვილი

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

**გამოცემაზე პასუხისმგებელი: ანა ნაცვლიშვილი
ეკატერინე ციმაკურიძე**

მონიტორინგის და კვლევის სოფო კვინიკაძე
მომზადების პროცესში მონაწილეობა თამარ ბოჭორიშვილი
მიიღეს საიას მონიტორებმა: ნატი ბალოვანი (თებერვალი-მარტი)
გიორგინაღირაძე (25 აპრილი-ივლისი)
სტინა სარატიშვილი



აინყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

შინაარსი

| | |
|--|----|
| შესავალი | 5 |
| მეთოდოლოგია | 6 |
| დაკვირვების შედეგების შეჯამება და ძირითადი ტენდენციები | 9 |
| I. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და ეფექტურობა მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებით ... | 15 |
| 1. ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულებისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი ტენდენციები | 15 |
| 1.1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა | 15 |
| 1.2. გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების საქმეებზე | 16 |
| 1.3. გამოყენებული სასჯელები ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების საქმეებზე | 21 |
| 1.4. დაზარალებულთა პოზიცია ბრალდებულების დასჯასთან დაკავშირებით | 24 |
| 1.5. დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხი და დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთა ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე | 26 |
| 2. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა ქცევა და დამოკიდებულება მოწყვლად ჯგუფებთან მიმართებით | 32 |
| 3. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა უცხოენოვანი ბრალდებულებისთვის | 35 |
| 3.1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა | 35 |
| 3.2. მონიტორინგის შედეგები | 36 |
| II. ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში და აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა | 38 |
| 1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა | 38 |
| 2. ზოგადი მიმოხილვა | 39 |
| 3. კონკრეტული აღკვეთის ღონისძიებები | 46 |
| 3.1. გირაო | 46 |
| 3.1.1. გირაოს გამოყენების შემთხვევები | 48 |
| 3.1.2. გირაოს გამოყენება პატიმრობის უზრუნველყოფით, ე.წ. „საპატიმრო გირაო“ | 54 |

| | |
|---|-----|
| 3.2. პატიმრობა | 57 |
| 3.2.1. პატიმრობის გამოყენების შემთხვევები | 58 |
| 3.2.2. პატიმრობის პერიოდულად გადასინჯვა მოსამართლის ინიციატივით | 62 |
| 4. დაკავების კანონიერების შემოწმება სასამართლოების მიერ | 64 |
| 5. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთებულობის ხარისხი სასამართლო განჩინებების მიხედვით | 68 |
| III. წინასასამართლო სხდომების ანალიზი | 75 |
| 1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა | 75 |
| 2. მონიტორინგის შედეგები | 75 |
| IV. გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ჩატარებული ჩხრაკისა და ამოღების კანონიერების შემოწმება სასამართლოების მიერ | 80 |
| 1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა | 80 |
| 2. მონიტორინგის შედეგები | 81 |
| 3. სასამართლო განჩინებების ანალიზი | 84 |
| V. საპროცესო შეთანხმების განხილვასა და დამტკიცებასთან დაკავშირებული მიდგომები | 90 |
| 1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა | 90 |
| 2. მონიტორინგის შედეგები | 91 |
| 3. სასამართლოს მიდგომები სასჯელის სამართლიანობასა და კანონიერებასთან დაკავშირებით | 93 |
| 4. საპროცესო შეთანხმების დროს გამოყენებული სასჯელები | 94 |
| 5. საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული სასჯელების პროპორციულობა ნარკოტიკულ დანაშაულებზე | 97 |
| VI. სისხლის სამართალწარმოება ნაფიცო მსაჯულების მონაწილეობით | 99 |
| 1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა | 99 |
| 2. მონიტორინგის შედეგები | 99 |
| VII. საჯარო სასამართლო განხილვა და სასამართლოს მიდგომები სხდომის დახურვასთან დაკავშირებით | 104 |
| 1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა | 104 |
| 2. მონიტორინგის შედეგები | 105 |
| რეკომენდაციები | 110 |

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) ახორციელებს სასამართლოს მონიტორინგის პროექტს 2011 წლის ოქტომბრიდან. საიამ მონიტორინგის პროექტი თავდაპირველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში განახორციელა. 2012 წლის 1 დეკემბერს კი, მონიტორინგის ფარგლები გაფართოვდა და მასში ქუთაისის საქალაქო სასამართლოც ჩაერთო. 2014 წლის მარტში მონიტორინგი დაიწყო ასევე ბათუმის საქალაქო სასამართლოში. სამივე ქალაქში გამოყენებულია მონიტორინგის იდენტური მეთოდები.

საიას მიერ მომზადებული მონიტორინგის პირველი და მეორე ანგარიშები მოიცავს 2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის მარტამდე არსებულ პერიოდს.¹ მესამე ანგარიში მოიცავს პერიოდს – 2012 წლის ივლისიდან დეკემბრამდე.² მეოთხე ანგარიში – 2013 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით.³ მეხუთე ანგარიში მოიცავს პერიოდს – 2013 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით,⁴ მეექვსე ანგარიში – 2014 წლის იანვრიდან 15 აგვისტოს ჩათვლით.⁵ საიამ მონიტორინგის მეექვსე ანგარიშთან ერთად წარმოადგინა მონიტორინგის სამი წლის შემაჯამებელი დოკუმენტი, რომელშიც შევიდა ამ ხნის განმავლობაში სასამართლოში დაფიქსირებული პრობლემები, ცვლილებები, ტენდენციები და არსებული გამოწვევები.⁶ აგრეთვე, საიამ ივნისის თვეში წარმოადგინა რიგით მეშვიდე ანგარიში, რომელიც მოიცავდა 2014 წლის 15 აგვისტოდან 2015 წლის იანვრის ჩათვლით არსებულ მონაცემებს,⁷ ხოლო 10 მარტს მე-8 ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა, რომელშიც შესულია 2015 წლის თებერვლიდან 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით არსებული მონაცემები.⁸

¹ სასამართლო მონიტორინგის პირველი ანგარიში: <https://goo.gl/XzPmqh>; სასამართლო მონიტორინგის მეორე ანგარიში: <https://goo.gl/nMoeXj>.

² სასამართლო მონიტორინგის მესამე ანგარიში: <https://gyla.ge/files/monitoringis%20angariSi3.pdf>.

³ სასამართლო მონიტორინგის მეოთხე ანგარიში: <https://goo.gl/qvdpMY>.

⁴ სასამართლო მონიტორინგის მეხუთე ანგარიში: <https://goo.gl/rt2jp3>.

⁵ სასამართლო მონიტორინგის მეექვსე ანგარიში: <https://goo.gl/yIt9FY>.

⁶ სასამართლო მონიტორინგის სამწლიანი შედეგების შეჯამება: <https://goo.gl/6RIIXo>.

⁷ სასამართლო მონიტორინგის მეშვიდე ანგარიში: <https://goo.gl/7WsVEk>.

⁸ სასამართლო მონიტორინგის მერვე ანგარიში: <http://bit.ly/2dX5hrH>.

ამჯერად წარმოგიდგენთ საიას სასამართლო პროცესების მონიტორინგის მეცხრე ანგარიშს, რომელიც მოიცავს მონაცემებს 2016 წლის თებერვლიდან 2016 წლის ივლისის ჩათვლით.

წინა ანგარიშების მსგავსად, სისხლის სამართლის საქმის წარმოების მონიტორინგის მიზანია გამჭვირვალობის გაზრდა, სასამართლო დარბაზებში მიმდინარე რეალური პროცესების ასახვა და საზოგადოებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება. ანგარიშს თან ერთვის მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოვლენილი პრობლემების გადანყვეტის შესაბამისი რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციების მთავარი მიზანი სისხლის სამართლის სისტემის სრულყოფა-გაუმჯობესების ხელშეწყობაა.

2016 წლის თებერვლიდან ივლისის ჩათვლით პერიოდში საიამ 886 სასამართლო სხდომის მონიტორინგი განახორციელა. **მათ შორისაა:**

- 250 – პირველი წარდგენის სხდომა. აქედან 17 სხდომა ეხებოდა ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეს;
- 146 – წინასასამართლო სხდომა;
- 111 – საპროცესო შეთანხმების სხდომა;
- 339 – არსებითი განხილვის სხდომა. აქედან 66 სხდომა ეხებოდა ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეს;
- 6 – ნაფიცი მსაჯულების შერჩევის სხდომა და 16 – ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმის არსებითი განხილვის სხდომა;
- 18 – სააპელაციო განხილვის სხდომა.

ამ 886 სხდომიდან 574 თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოში ჩატარდა, 312 კი – ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. საიას არ შეუდგენია ნაფიცი მსაჯულთა შერჩევისა და სააპელაციო განხილვის სხდომების ცალკე სტატისტიკა, ვინაიდან ამ პროცესებზე რაიმე განსხვავებული ტენდენცია არ დაფიქსირებულა.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშში მოცემული ყველა ინფორმაცია მიღებულია სხდომებზე დასწრებისა და მათზე დაკვირვების შედეგად. საიას ანალიტიკოსი და დამკვირვებლები არ ესაუბრებოდნენ მხარეებს და არ განიხილავდნენ საქმის მასალებს ან შემაჯამებელ გადანყვეტილებებს, სასამართლოს მიერ გამოტანილი აღკვეთის ღონისძიებისა და ჩხრეკა-ამოღების შესახებ მიღებული განჩინებების გარდა.

წინა მონიტორინგების მსგავსად, საიას დამკვირვებლები იყენებდნენ კითხვარებს, რომლებიც კონკრეტულად მონიტორინგის პროექტისთვის მომზადდა. მონიტორინგის მიერ მოპოვებული ინფორმაცია და სასამართლოს საქმიანობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, საქართველოს კონსტიტუციასა და მოქმედ შიდა კანონმდებლობასთან შეფასდა საიას ანალიტიკოსისა და იურისტების მიერ.

კითხვარები მოიცავდა როგორც „დახურულ“ კითხვებს, რომლებზე პასუხიც შეიძლებოდა ყოფილიყო „კი“ ან „არა“, ასევე „ღია“ კითხვებს, რომლებიც მონიტორებს საშუალებას აძლევდა, ვრცლად აეხსნათ და დაეფიქსირებინათ თავიანთი დაკვირვების შედეგები. ამასთან, წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, საიას მონიტორები, გარკვეულ შემთხვევებში, აწარმოებდნენ ჩანაწერებს სასამართლო განხილვებისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შუამდგომლობების შესახებ, რაც უფრო მეტ სიცხადესა და კონტექსტს ანიჭებდა მათ მუშაობას. ამ პროცედურის საშუალებით, მონიტორებმა მოახერხეს ობიექტური, გაზომვადი მონაცემების შეგროვება და, იმავდროულად, სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების იდენტიფიცირება. აღნიშნული ანგარიშის დანართები, შესაძლოა, სრულად არ ასახავდეს ამ, გარკვეულწილად, სუბიექტურ შეფასებებს, თუმცა, საიას დასკვნა მთლიანობაში ეფუძნება მონიტორინგის მიერ მოპოვებული სრული ინფორმაციის ანალიზს.

ამ საანგარიშო პერიოდში მონიტორინგი განხორციელდა ახალი მეთოდოლოგიისა და განახლებული კითხვარების მეშვეობით. კერძოდ, ჩვენი განსაკუთრებული დაკვირვების ქვეშ იყვნენ მონაცვლადი ჯგუფები (ქალები, შშმ პირები, უცხოელები, ეროვნული და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები და ა.შ.) და მათთან დაკავშირებით მიმდინარე სისხლის სამართალწარმოება. მონიტორინგის მიზანი იყო, გაგვერკვია, რამდენად სწორად და ადეკვატურად ხორციელდებოდა მათ მიმართ მართლმსაჯულება.

აგრეთვე, საიას აზრით, მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეთა სხდომების მონიტორინგი არ აჩვენებს სრულ სურათს მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ, საიას მონიტორინგი ცხადყოფს, რომ ზოგიერთი მიმართულება უფრო მეტად იძლევა საშუალებას, შეფასდეს სასამართლო წარმოების არსებითი ხარვეზები, მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს განჩინებების შესწავლისა და სხდომებზე დაკვირვების ერთიანი ანალიზის შედეგად.

ამ მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოდან, საჯარო ინფორმაციის სახით, შემთხვევითი პრინციპით გამოვითხოვეთ გან-

ჩინებები პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, ასევე, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ, რომლებიც გამოტანილი იყო 2016 წლის 10, 21 მარტს, 15, 29 აპრილს და 5, 20, 25 მაისს.⁹

მონიტორინგის მიზანს არ წარმოადგენს საქმის ფაქტობრივი გარემოებების, სხდომის მონაწილეთა მიერ გაკეთებული განცხადებებისა და საქმის მასალების შინაარსის შესწავლა. კერძოდ, საიას არ გაუანალიზებია საკითხები, რომლებიც ეხებოდა კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებულ გარემოებებს და განსაზღვრავდა პირის ბრალეულობასა თუ უდანაშაულობას.

სისხლის სამართლის საქმის წარმოების ხანგრძლივობისა და სხვადასხვა ეტაპის გათვალისწინებით, საიას დამკვირვებლები, როგორც წესი, ესწრებოდნენ ინდივიდუალურ სასამართლო პროცესებს და არა საქმის განხილვის ყველა სხდომას. თუმცა, იყო რამდენიმე გამონაკლისი:

- ე.წ. „გახმაურებული“ საქმეები, სადაც ბრალდებულები იყვნენ ყოფილი პოლიტიკური თანამდებობის პირები;
- აგრეთვე, საია აკვირდებოდა იმ საქმეებს, რომლებიც შეირჩა უფლებათა უხეში დარღვევის, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის ან სხვა განსაკუთრებული ფაქტორის გათვალისწინებით;
- საია აკვირდებოდა ისეთ საქმეებსაც, როგორებიცაა: ოჯახში ძალადობა, ოჯახური დანაშაულები და ქალთა მიმართ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულები.

ზემოხსენებულ საქმეებს საიას მონიტორები, შეძლებისდაგვარად, განხილვის მთელ ეტაპზე ესწრებოდნენ არა მარტო საქალაქო, არამედ სააპელაციო სასამართლოშიც.

საია იმედს გამოთქვამს, რომ მონიტორინგის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია შექმნის საქართველოს სასამართლოებში არსებული ვითარების უფრო ნათელ სურათს და პოზიტიურ წვლილს შეიტანს სასამართლო რეფორმის შესახებ მიმდინარე დებატებში. ასევე, ეს ანგარიში საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს პროკურატურისა და ადვოკატთა ასოციაციის წევრებისათვის.

⁹ ეს არის შემთხვევითი პრინციპით შერჩეული თარიღები.

დაკვირვების შედეგების შეჯამება და ძირითადი ტენდენციები

მონიტორინგის ამ პერიოდში (2016 წლის თებერვალი-ივლისი) გაგრძელდა ცალკეული მიმართულებით სასამართლოს მიდგომების გაუმჯობესების ტენდენცია, თუმცა, კვლავ არსებობს სისტემური და ინდივიდუალური ხარვეზები როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში.

ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულებისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი ტენდენციები

- სასამართლოები, ზოგჯერ, ადეკვატურად არ აფასებენ იმ საფრთხეებსა და რისკებს, რომლებიც აღნიშნულ დანაშაულებთან დაკავშირებით არსებობს და ბრალდებულებს არ უფარდებენ სათანადო აღკვეთის ღონისძიებებს. კერძოდ, ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეზე შეფარდებული გირაოს 10 შემთხვევიდან 2 (20%) იყო დაუსაბუთებლად ღმობიერი. ასევე, არაგონივრული იყო ერთ შემთხვევაში გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების გამოყენება.
- აგრეთვე, მართალია, უმეტეს შემთხვევაში, სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე, მაგრამ პრობლემურია სასჯელის ადეკვატურობა. 22 გამამტყუნებელი განაჩენიდან 8 (36%) შემთხვევაში, ბრალდებულებს შეეფარდათ მხოლოდ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, 8 (36%) შემთხვევაში დაეკისრათ თავისუფლების აღკვეთა, თუმცა, დაუდგინდათ პირობითი მსჯავრი და მიეცათ გამოსაცდელი ვადა,¹⁰ ხოლო 22-დან მხოლოდ 6 (27%) შემთხვევაში ბრალდებულებს შეეფარდათ რეალური სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით.
- მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ შემთხვევებში, გარდა ერთი შემთხვევისა, აღნიშნული დანაშაულების დაკვალიფიცირება არ მომხდარა დისკრიმინაციულ დანაშაულად (არ

¹⁰ ზოგიერთ შემთხვევაში დამატებით სასჯელად გამოყენებული იყო ჯარიმა ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

მომხდარა მითითება სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3¹ პრიმა პუნქტზე). ასევე, დაფიქსირდა შემთხვევები, სადაც გარდა დისკრიმინაციული ნიშნისა, კვალიფიკაციის მართებულობასთან დაკავშირებით (დანაშაულის დაკვალიფიცირება მისი სიმძიმის შესაბამისად) კითხვის ნიშნები ჩნდება.

- გარდა ამისა, სადაც ფაქტები ამის შესაძლებლობას იძლევა, პროკურატურა არ ითვალისწინებს გენდერულ ხედვას და არ ცდილობს იმის გამორკვევას, ხომ არ მოხდა დანაშაულის ჩადენა დისკრიმინაციული ნიშნით. ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის არცერთ შემთხვევაზე პროკურორს დისკრიმინაციული მოტივი არ გამოუკვეთავს.

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა ქცევა და დამოკიდებულება მონყვლად ჯგუფებთან მიმართებით

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მოსამართლეთა, პროკურორთა და ადვოკატთა მხრიდან, ცალკეულ შემთხვევებში, დაფიქსირდა სტერეოტიპული, სტიგმის გამოხატველი და არაეთიკური ქცევა მონყვლად ჯგუფებთან (ქალები, უცხოელები და ა.შ.) მიმართებით. აღნიშნული მიდგომები გამოხატავდა შესაძლო დისკრიმინაციულ მიდგომას პირის მიმართ და ქმნიდა ბარიერებს/დაბრკოლებებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა უცხოენოვანი ბრალდებულებისთვის

- მონიტორინგის მიმდინარეობისას, უმრავლეს შემთხვევაში, სადაც ბრალდებულს ესაჭიროებოდა თარჯიმანი, უზრუნველყოფილი იყო აღნიშნული უფლების ეფექტურად და სათანადოდ რეალიზება. თუმცა, დაფიქსირდა გამონაკლისი შემთხვევებიც, კერძოდ, 43 შემთხვევიდან 2 (5%) შემთხვევაში, თარჯიმანი ეპიზოდურად ან საერთოდ არ უთარგმნიდა ბრალდებულს სხდომაზე გაყვლერებულ საკითხებს. ასეთ შემთხვევებში, ბრალდებულებისთვის არ იყო აღქმადი და გასაგები სამართალწარმოების პროცესი, რის გამოც დაირღვა ბრალდებულის უფლება თარჯიმნის მომსახურებაზე.

ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში და აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა

- სასამართლოები, ძირითადად, კვლავ ორის სახის აღკვეთის ღონისძიებას – გირაოსა და პატიმრობას იყენებენ. მართალია, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, მცირედით გაიზარდა სხვა ალტერნატიული ღონისძიების შეფარდების პროცენტული მაჩვენებელი და 5%-დან 6%-მდე მოიმატა, თუმცა, წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, მცირედით იკლო ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვების პროცენტულმა მაჩვენებელმა და 6%-დან 4%-მდე შემცირდა.
- მნიშვნელოვნად გაიზარდა (12%-დან 28%-მდე) დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების პროცენტული მაჩვენებელი გირაოს გამოყენების თაობაზე. თუმცა, მცირედით იკლო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების პროცენტულმა მაჩვენებელმა პატიმრობის გამოყენების შემთხვევებში და 12%-დან 10%-მდე შემცირდა.
- პროკურატურის შუამდგომლობების გარკვეული ნაწილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, მეტწილად გირაოს ნაწილში, ჯერ კიდევ დაუსაბუთებელი რჩება. ზოგჯერ, პროკურორი ითხოვდა ძალიან მაღალი გირაოს თანხის შეფარდებას, ისე რომ არ ასაბუთებდა არც ამ ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობას და არც თანხის ოდენობას. განსაკუთრებული ხარვეზებია პროკურორის მიერ გირაოს ოდენობის განსაზღვრის ნაწილში, ვინაიდან თითქმის ყველა შემთხვევაში, პროკურორს არ ჰქონდა ინფორმაცია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ სასამართლომ 72% შემთხვევაში შეამცირა გირაოს ოდენობა. ასეთ შემთხვევებში, სასამართლო ხშირად თავად ცდილობდა ბრალდებულის ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის გამორკვევას. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსამართლის ყველა ასეთი გადაწყვეტილება დასაბუთებული იყო.
- ერთნაირი გარემოებების არსებობის მიუხედავად, არაერთგვაროვანი მიდგომები გამოიკვეთა აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნისას და შერჩევისას პროკურატურისა და სასამართლოების მხრიდან. აღნიშნული კი ტოვებდა შერჩევითი მართლმსაჯულების გამოყენების შთაბეჭდილებას.
- ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, წინა საანგარიშო

პერიოდისაგან განსხვავებით, 4 შემთხვევაში მოსამართლემ გადასინჯული პატიმრობა შეცვლა სხვა სახის აღკვეთის ღონისძიებით. მაგრამ, ყველა ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა წინასასამართლო სხდომაზე. თუმცა, არსებითი განხილვის ფარგლებში შემონმებული პატიმრობის ყველა შემთხვევა დარჩა ძალაში, რაც, შესაძლოა, პატიმრობის გადასინჯვის მექანიზმის მხოლოდ ფორმალურ გამოყენებაზე მიუთითებდეს.

- სასამართლო მონიტორინგმა აჩვენა, რომ პირველი წარდგენის სხდომაზე, უმრავლეს შემთხვევაში, სასამართლოები თავს არიდებენ დაკავების კანონიერების განხილვასა და შეფასებას და, ძირითადად, აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადანყვევით შემოიფარგლებიან. ამ საანგარიშო პერიოდში მხოლოდ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა, როცა სასამართლომ უკანონოდ ცნო პირის დაკავება გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებაში, ბრალდებულს შეუფარდა გირაო და სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა. წინა საანგარიშო პერიოდში ასეთი სამი შემთხვევა გამოვლინდა.
- სასამართლო მონიტორინგის მიღმა, საიამ შეისწავლა სასამართლოს 50 განჩინება ბრალდებულის პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, სადაც გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ხარვეზები:
 - სასამართლო გადანყვევტილებების ნაწილი კვლავ შაბლონური და დაუსაბუთებელია;
 - სასამართლო არ მსჯელობს ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შეუძლებლობაზე;
 - განჩინებების აბსოლუტურ უმრავლესობაში პროკურორი არ ასაბუთებს გირაოს ოდენობას.

წინასასამართლო სხდომების ანალიზი

- მონიტორინგის წინა პერიოდების მსგავსად, წინასასამართლო სხდომები, ძირითადად, ისევ რუტინულად მიმდინარეობდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მხრიდან რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოების ან არაობიექტურობის შემთხვევა არ გამოვლენილა და თანაბრად აკმაყოფილებდა როგორც ბრალდების მხარის, ისე დაცვის მხარის შუამდგომლობებს მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე.
- დაცვის მხარის აქტიურობა პროკურატურის მიერ წარდგე-

ნილი მტკიცებულებების დასაშვებობის მსჯელობის ნაწილში შემცირებულია, ხოლო გაზრდილია – დაცვის მხარის მტკიცებულებების დასაშვებობის მოთხოვნასთან მიმართებით.

- მართალია, წინა საანგარიშო პერიოდისაგან განსხვავებით, არ გამოვლენილა სისხლისსამართლებრივი დევნის სრულად შეწყვეტისა და საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემაზე უარის თქმის შემთხვევა, თუმცა, დაფიქსირდა რამდენიმე ფაქტი, როდესაც მოსამართლემ დევნა შეწყვიტა ცალკეულ ბრალდებასთან მიმართებით.

გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების კანონიერების შემოწმება სასამართლოების მიერ

- წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად (81%-დან 95%-მდე) გაიზარდა გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღებისა და მათი კანონიერად ცნობის პროცენტული მაჩვენებელი.
- სასამართლო პროცესების მიღმა, საიამ შეისწავლა სასამართლოს 46 განჩინება გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების განხილვასთან დაკავშირებით, სადაც გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები:
 - სასამართლოს განჩინებები ჩხრეკისა და ამოღების კანონიერების განხილვის შესახებ არ არის სათანადოდ დასაბუთებული, ხშირად შაბლონურია და, ცალკეულ შემთხვევებში, მიღებული გადაწყვეტილება არ შეესაბამება კანონის ფორმალურ მოთხოვნებს. მაგალითად, ცალკეულ განჩინებებში არ იყო მითითებული გასაჩივრების უფლება და წესი.
 - საერთო სასამართლოებში არსებობს არაერთგვაროვანი მიდგომა, როდესაც ჩხრეკისა და ამოღების დროს მესაკუთრე, მფლობელი ან კომუნიკაციის ერთი მხარე თანახმაა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე.

საპროცესო შეთანხმების განხილვასა და დამტკიცებასთან დაკავშირებული მიდგომები

- შემცირებულია სასამართლოს მხრიდან ჯეროვანი კონტროლის განხორციელება საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დროს, რაც გამოიხატება კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების არასრულად განმარტებასა და წარდგენილი სასჯელის მიზანშეწონილობის შესახებ მსჯელობის ნაკლებობაში. საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული უფლებების განმარტების კუთხით, მდგომარეობის გაუარესება დაიწყო წინა საანგარიშო პერიოდში და აღნიშნული უარყოფითი ტენდენცია კვლავ გრძელდება.
- მოსამართლეები ნაკლებად ცდილობდნენ ბრალდებულების ინფორმირებას მათი უფლებების შესახებ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ გასათარებელ ღონისძიებებსა და მოქმედებებთან დაკავშირებით. აღნიშნული კი კანონით დაკისრებული ვალდებულების უგულებელყოფას წარმოადგენს.
- მოსამართლემ ყველა შემთხვევაში დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, განსხვავებით წინა საანგარიშო პერიოდისაგან, როცა დაფიქსირდა 2 შემთხვევა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ.
- 39%-დან 43%-მდე გაიზარდა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომლებსაც საპროცესო შეთანხმებით ჯარიმა დაეკისრათ.
- პროკურატურის მხრიდან არაერთგვაროვანი მიდგომა დაფიქსირდა ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ მოხმარების ფაქტებზე საპროცესო შეთანხმების პირობების განსაზღვრისას. განსხვავებული გარემოებების არარსებობის მიუხედავად, პროკურორი ზოგჯერ ძალიან მკაცრ სასჯელს ითხოვდა, ზოგჯერ კი – უფრო ლმობიერი სანქციებით შემოიფარგლებოდა. აღნიშნული, თავის მხრივ, აჩენს კითხვებს პროკურატურის კეთილსინდისიერებასა და თანმიმდევრულობასთან დაკავშირებით.

საჯარო სასამართლო განხილვა და სასამართლოს მიდგომები სხდომის დახურვასთან დაკავშირებით

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ვითარება გაუმჯობესდა წინასასამართლო და არსებითი განხილვის სხ-

დომებზე საჯარო განხილვის უფლების მიმართულებით და, ძირითად შემთხვევებში, უზრუნველყოფილი იყო აღნიშნული უფლების პრაქტიკული და ადეკვატური რეალიზება. თუმცა, პირველი წარდგენის სხდომებზე კვლავ სისტემური პრობლემაა და წინასწარ არ ქვეყნდება ინფორმაცია სხდომის გამართვის შესახებ.

- დაფიქსირდა ცალკეული შემთხვევები, როდესაც პროცესის ჩატარება ხდებოდა დახურულ სხდომებზე საზოგადოების არდაშვების მიზეზების მკაფიოდ ახსნის გარეშე, რაც კანონმდებლობის მოთხოვნის უგულბელყოფას წარმოადგენს და ხელყოფს საჯარო განხილვის უფლებას.

I. მართლსაჯულების ხელმისაწვდომობა და ეფექტურობა მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებით

- 1. ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულებისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი ტენდენციები.**

1.1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა

სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მიხედვით, ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ განხორციელებული ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, მანტაჟი, დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა, მაგრამ არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, გვაძლევს ოჯახში ძალადობის შემადგენლობას. გარდა ამისა, ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა განიხილება ოჯახურ დანაშაულად. ოჯახური დანაშაულისათვის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსის მე-11¹ მუხლზე მითითებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ქალზე ძალადობას აღიარებს, როგორც ქალის დისკრიმინაციის ფორმას.¹¹ აგრეთვე, ქალთა მიმართ ძალადობისა

¹¹ გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, ზოგადი რეკომენდაცია, №19, 1992 წ, აბზაცი №1; იხ. ასევე, ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და

და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მიხედვით (სტამბოლის კონვენცია), ქალებზე ძალადობა არის ქალებსა და მამაკაცებს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული არათანასწორი ძალაუფლებრივი მდგომარეობა, რამაც გამოიწვია კაცების მიერ ქალების დისკრიმინაცია, მათზე დომინირება და ქალების სრული თვითრეალიზაციისათვის ხელის შეშლა.¹²

სასამართლო მონიტორინგი აჩვენებს, რომ ზემოთ ხსენებული დანაშაულების ჩადენა უმეტესად ქალების წინააღმდეგ ხდება, ამიტომაც ეს საქმეები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ ოჯახური დანაშაულის, ძალადობის ფაქტების დიდი რაოდენობისა და სიმწვავის გამო, რასაც, არაერთ შემთხვევაში, მათი გარდაცვალება მოჰყვა.

საია მიიჩნევს, რომ, ზოგადად, ამ საკითხს ცალკე კვლევა სჭირდება, რაც სცილდება წინამდებარე ანგარიშის მიზნებს. თუმცა, წარმოდგენილი მონაცემები საშუალებას იძლევა, თვალსაჩინო გახდეს საქართველოს სასამართლოებში არსებული სურათი ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებთან დაკავშირებით.

ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საიასთვის პრიორიტეტული იყო ისეთი საქმეების მონიტორინგი, რომლებიც ოჯახური და ქალთა მიმართ ძალადობის დანაშაულებს მიეკუთვნებოდა. ამიტომ საიას მონიტორი მსგავსი ტიპის საქმეებზე, შეძლებისდაგვარად, განხილვის მთელ ეტაპს დაესწრო.¹³

1.2. გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების საქმეებზე

მონიტორინგმა გამოავლინა, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლომ ადეკვატურად არ შეაფასა არსებული შემთხვევები,

პრევენციის შესახებ, სტამბოლი, 11.05.2011, მუხლი 3(ა); Opuz v. Turkey, საჩივარი №33401/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 09.06.2009, აბზაცი №200; იხ: დეკანოსიძე, თ., ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბილისი, 2016, 5.

¹² სტამბოლის კონვენცია, პრემბულა; იხ: დეკანოსიძე, თ., ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბილისი, 2016, 5.

¹³ მთელი ეტაპი გულისხმობს საქმის განხილვის ყველა სხდომაზე დასწრებას.

ყურადღება არ მიაქცია ჩადენილი დანაშაულების სპეციფიკასა და სენსიტიურობას და ბრალდებულებს შეუფარდა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება, რითაც პოტენციური საფრთხე შეუქმნა ძალადობის მსხვერპლი ქალების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

რა თქმა უნდა, ოჯახური დანაშაულის ან ოჯახში ძალადობის ფაქტის არსებობა ავტომატურად არ გულისხმობს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების ან ყველაზე მკაცრი ზომის გამოყენების აუცილებლობას, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ სხვა გარემოებებთან ერთად შეფასდეს დანაშაულის სპეციფიკა და დაზარალებულის უსაფრთხოების საკითხები, რაც შესაძლოა აღკვეთის ან უფრო მკაცრი ღონისძიების გამოყენების საფუძველს ქმნიდეს.

პირველი წარდგენის დასწრებული სხდომებიდან 17 (7%) საქმე ეხებოდა ოჯახური დანაშაულისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევას. აქედან, სასამართლომ 10 შემთხვევაში ბრალდებულს გირაო შეუფარდა, 5 შემთხვევაში კი – პატიმრობა. ასევე, ერთ შემთხვევაში ბრალდებულის მიმართ გამოიყენეს შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ, ხოლო 1 შემთხვევაში ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების გარეშე დარჩა. **უმრავლეს შემთხვევაში (12 შემთხვევა), დაზარალებული იყო ქალი, კერძოდ, ბრალდებულის მეუღლე, ყოფილი მეუღლე ან პარტნიორი.**

აღსანიშნავია, რომ 2 (20%) შემთხვევაში ბრალდებულებისთვის შეფარდებული გირაო წარმოადგენდა დაუსაბუთებლად ლმობიერ ღონისძიებას, ამასთან, ადეკვატურად და სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა ბრალდებულის ქცევას და არსებული საფრთხეების შემცირებას.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილია მაგალითი:

პირს ბრალი ედებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში. კერძოდ, პროკურორის განმარტებით, ბრალდებულმა მეუღლეს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა და არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით მასზე განახორციელა ფიზიკური ზემოქმედება, კერძოდ მეუღლეს ურტყამდა 15-20 წუთის განმავლობაში, რამაც ტკივილი და მსუბუქი ხარისხის დაზიანება გამოიწვია. როგორც სასამართლო პროცესიდან გაირკვა, ასეთი

ძალადობა არ ყოფილა პირველი შემთხვევა. გამოცემული იყო შემაკავებელი ორდერიც, თუმცა, ორდერის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებულმა კვლავ განაგრძო დანაშაულებრივი საქმიანობა. დამატებით ისიც გაირკვა, რომ ბრალდებულს ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ უჭირდა ქცევის გაკონტროლება და მიდრეკილი იყო აგრესიული ქმედებებისაკენ. ბრალდების მხარემ მოითხოვა პატიმრობის გამოყენება და საკმაოდ კარგად გაამყარა თავისი შუამდგომლობა. ამ ყველაფრის მიუხედავად, მოსამართლემ ბრალდებულს გირაო შეუფარდა 3000 ლარის ოდენობით, რომელსაც, მოცემულ შემთხვევაში, არ ექნებოდა შემაკავებელი ეფექტი. არსებობდა იმის მყარი საფუძველი, რომ ბრალდებული კვლავ გააგრძელებდა ძალადობას, ვინაიდან ეს არ იყო პირველი შემთხვევა და შემაკავებელი ორდერის გამოცემაც ადასტურებს, რომ მას სისტემატური ხასიათი ჰქონდა.

ასევე, არაგონივრული და დაუსაბუთებელი იყო ბრალდებულის მიმართ გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების გამოყენება ოჯახური დანაშაულის საქმეზე.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია მაგალითი:

პირს ბრალი ედებოდა არაფხიზელ მდგომარეობაში მეუღლისა და რძლის მიმართ ჩადენილ ძალადობაში. პროკურორის განმარტებით, **მეუღლის მიმართ ძალადობას მანამდეც ჰქონია ადგილი. თუმცა, დაზარალებული არ ატყობინებდა სამართალდამცავ ორგანოებს ოჯახის დანგრევის თავიდან აცილების მიზნით.** ისიც გაირკვა, რომ ბრალდებული სიმთვრალის დროს ვერ აკონტროლებდა საკუთარ ქცევას. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, პროკურორმა მოითხოვა გირაოს გამოყენება 1000 ლარის ოდენობით, თუმცა, სასამართლომ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია და ბრალდებულს შეუფარდა ასევე შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ. მოსამართლემ განმარტა, რომ აღნიშნული ღონისძიება გამოიღებდა სათანადო შედეგს, თუმცა, ყურადღება არ მიუქცევია სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის ბუნებისა და იმ ფაქტისათვის, რომ ბრალდებული და დაზარალებული კვლავ ერთად განაგრძობდნენ ცხოვრებას და ერთად მუშაობდნენ.

ასევე, დაფიქსირდა ერთი შემთხვევა, სადაც გამოიკვეთა სასამართლოს არაადეკვატური მიდგომა და არსებული რისკების სათანადოდ შეუფასებლობა. მართალია, ეს საქმე არ წარმოადგენს ოჯახურ დანაშაულსა და ოჯახში ძალადობას, თუმცა, ამ შემთხვევაში, ადგილი აქვს პარტნიორი ქალის მიმართ განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებას, რომელიც ზემოხსენებულ კლასიფიკაციაში არ ხვდება.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია მაგალითი, რომელიც აღწერს, ერთი მხრივ, გირაოს, როგორც აღკვეთის ღონისძიების არაეფექტურ გამოყენებას და, მეორე მხრივ, ბრალდების მხარის გულგრილობას გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით.

პირს ბრალი ედებადა მეგობარი გოგონას მიმართ განხორციელებულ მუქარაში. კერძოდ, პროკურორის განმარტებით, ბრალდებულმა დაზარალებულს იძულებით შეაჭრა თმები, დაუმახინჯა გარეგნობა, შემდეგ კი მაკრატელი მიადო ყელზე და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. როგორც პროცესიდან გაირკვა, ბრალდებული ადრეც არაერთხელ დამუქრებია დაზარალებულს და ყოფილა შემთხვევები, როდესაც ფიზიკურადაც გასწორებია. გარდა ამისა, ბრალდების მხარემ ყურადღება გაამახვილა დანაშაულის სპეციფიკურ ხასიათსა და დაზარალებულის მძიმე ემოციურ მდგომარეობაზე – მას ემინოდა, რომ ბრალდებული შესაძლოა კვლავ მისულიყო მასთან შურისძიების მიზნით. სწორედ ამიტომ სთხოვა დაზარალებულმა პროკურატურას საპროცესო შეთანხმების გაფორმება, რადგან ბრალდებულს შურისძიებაზე აღარ ეფიქრა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, **ბრალდების მხარემ პატიმრობის გამოყენება მოითხოვა** და შუამდგომლობა გაამყარა ზემოხსენებული არგუმენტებით. ასევე, პროკურორმა აღნიშნა ბრალდებულის წარსული ნასამართლობა, როგორც პიროვნული მახასიათებელი და მიუთითა ზემოქმედების საფრთხეზე იმ მოწმეების მიმართ, რომლებიც ბრალდებულის ნაცნობები იყვნენ.

დაცვის მხარე არ დაეთანხმა პროკურორის შუამდგომლობას და, ძირითადად, დანაშაულის სიმძიმესა და დაზარალებულის პიროვნულ მახასიათებლებზე უთითებდა. ადვოკატმა აღნიშნა, რომ არ იყო აუცილებელი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება და შემაკავებელი ორდერი უნდა გამოყენებულიყო. ადვოკატის ეს მოსაზრება სამართლებრივ საფუძვლებს

მოკლებულია, ვინაიდან მსგავსი ტიპის ძალადობაზე კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შემაკავებელი ორდერის გამოცემას (შემთხვევა არ წარმოადგენს ოჯახში ძალადობას). ამასთან, ბრალდებული წუხდა იმის გამო, რომ მისი ცოლი გაიგებდა ამ შემთხვევის შესახებ და ოჯახი დაენგრეოდა. საბოლოოდ, **მოსამართლემ არ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულს შეუფარდა გირაო 4000 ლარის ოდენობით**, პატიმრობის უზრუნველყოფით, რაც იმას ნიშნავს, რომ გირაოს თანხის გადახდის შემდეგ ბრალდებული იქნება თავისუფალი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. გირაოს შეფარდების შემდეგ მოსამართლემ ბრალდებულს მიმართა: „*იმედია, ჩემს ნდობას გაამართლებ.*“

ერთ-ერთი არსებითი განხილვის სხდომაზე პროკურორმა დააყენა შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულების წარდგენის შესახებ, რომელიც ეხებოდა დაზარალებულისა და ორი მოწმის გამოკითხვის ოქმებს. ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ ბრალდებული მისული იყო დაზარალებულთან და დაემუქრა – „გამოეტანა საჩივარი“ (იგულისხმება პროკურატურისთვის მიმართვა საქმის შეწყვეტის შესახებ) და შეეცვალა მიცემული ჩვენება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფიზიკურ შეურაცხყოფას მიაყენებდა. სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებით სურდა პროკურორს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა. აგრეთვე, ბრალდების მხარემ განმარტა, რომ მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ადასტურებდა ბრალდებულის მხრიდან განხორციელებულ მუქარას. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და აღნიშნა, რომ თუ პირის ქმედება შეიცავდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, ამ ფაქტთან დაკავშირებით დამატებით უნდა დაწყებულიყო გამოძიება. თუმცა, გაუგებარია პროკურორის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ არ არსებობდა ფაქტზე გამოძიების დაწყების საფუძველი.

ზემოხსენებული შემთხვევა ადასტურებს, რომ ზოგჯერ გირაოს ან სხვა ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენება არ არის ეფექტური მექანიზმი, რომელიც შეაკავებს ბრალდებულის ქცევას. ამისათვის აუცილებელია, თავიდანვე სრულყოფილად და ადეკვატურად შეფასდეს ის რისკები და საფრთხეები, რომლებიც ბრალდებულისგან მომდინარეობს.

1.3. გამოყენებული სასჯელები ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების საქმეებზე

ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის 41 საქმიდან¹⁴ 21 (51%) დასრულდა გამამტყუნებელი განაჩენით, ხოლო ერთი (2%) – ნაწილობრივ გამამტყუნებელი და ნაწილობრივ გამამართლებელი გადაწყვეტილებით.¹⁵ დანარჩენ 19 საქმეზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს სასამართლო განხილვა ან განაჩენი დადგა ისე, რომ საიას მონიტორი ვერ დაესწრო სხდომას, რის გამოც უცნობია გადაწყვეტილების სახე. 41 საქმიდან 37 (90%) შემთხვევაში ბრალდებული იყო მამაკაცი, 3 (7%) შემთხვევაში – ქალი, ხოლო ერთ (2%) შემთხვევაში ბრალდებულები იყვნენ კაციც და ქალიც.¹⁶

მართალია, უმეტეს შემთხვევაში, დგება გამამტყუნებელი განაჩენი, თუმცა, პრობლემურია სასჯელის ადეკვატურობა.

22 განაჩენიდან 8 (36%) შემთხვევაში, ბრალდებულებს შეეფარდათ მხოლოდ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, 8 (36%) შემთხვევაში დაეკისრათ თავისუფლების აღკვეთა, თუმცა, დაუდგინდათ პირობითი მსჯავრი და მიეცათ გამოსაცდელი ვადა,¹⁷ ხოლო 22-დან 6 (27%) შემთხვევაში ბრალდებულებს შეეფარდათ რეალური სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა პენიტენციარულ დაწესებულებაში მოხდით.¹⁸ უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ 6 შემთხვევაში არსებობდა შემდეგი გარემოებები:

- ერთ შემთხვევაში, ბრალდებულის მხრიდან მესამედ ჰქონდა ადგილი ოჯახური დანაშაულის ჩადენას. პირველად მის მიმართ გამოყენებული იყო ჯარიმა, მეორედ კი – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. მხოლოდ მესამე შემთხვევაში შეეფარდა ბრალდებულს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

¹⁴ ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დავესწარით ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის არსებითი განხილვის 41 საქმის 66 სხდომას. აღნიშნული არ მოიცავს საპროცესო შეთანხმების სხდომებს.

¹⁵ ბრალდებული სასამართლომ გაამართლა ოჯახში ძალადობის ნაწილში და დამნაშავედ ცნო შემაკავებელი ორდერის დარღვევის გამო.

¹⁶ ბრალდებულები იყვნენ სიძე და სიდედრი.

¹⁷ ზოგიერთ შემთხვევაში დამატებით სასჯელად გამოყენებული იყო ჯარიმა ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

¹⁸ ასევე, დამატებითი სასჯელის სახით, ერთ შემთხვევაში, განისაზღვრა ჯარიმა, ხოლო ერთ შემთხვევაში – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

- ერთი შემთხვევა ეხებოდა მეუღლის განზრახ მკვლელობას და ბრალდებულს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს;¹⁹
- ერთ შემთხვევაში, მოსამართლემ 6 თვიანი თავისუფლების აღკვეთა გამოიყენა მხოლოდ შემაკავებელი ორდერის დარღვევის გამო, რომელიც ნაწილობრივ გამამართლებელ განაჩენთა კატეგორიაში შევიდა;
- ერთ შემთხვევაში, ოჯახში ადგილი ჰქონდა არაერთგზის ჩადენილ ძალადობას. ასევე, ბრალდებული ნასამართლევ იყო იარაღის უკანონო შენახვისათვის. მოსამართლემ აქაც 6 თვიანი პატიმრობა გამოიყენა მაშინ, როდესაც აღნიშნული მუხლი ერთიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს;²⁰
- ერთ შემთხვევაში, სადაც დაზარალებული იყო ორი პირი – ბრალდებულის მეუღლე და რძალი, სასამართლომ 6 თვიანი პატიმრობა გამოიყენა;
- ერთ შემთხვევაში, ბრალდებულმა ოჯახში ძალადობა ჩაიდინა არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით. წარსულში მას რამდენჯერმე ჰქონდა ანალოგიური დანაშაული ჩადენილი. სასამართლომ მას ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მართალია, სასჯელის შეფარდებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსობრივი მხარის შესწავლა ამ კვლევის ფარგლებს მიღმაა, მაგრამ ის ფაქტი, რომ მოსამართლეების მხრიდან, უმეტეს შემთხვევაში, ლმობიერი და ნაკლებად მკაცრი სანქციები გამოიყენება, ბაღებს კითხვის ნიშნებს ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების საქმეებზე არაადეკვატურ მიდგომასა და მსხვერპლის მიერ განცდილი ტანჯვის სათანადოდ შეუფასებლობასთან დაკავშირებით. როგორც ზემოაღნიშნული შემთხვევები აჩვენებს, ძირითადად, რეალური სასჯელი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ძალადობას სისტემატური ხასიათი აქვს და პირი რამდენჯერმეა მიცემული პასუხისგებაში.

მოსამართლის განმარტება ოჯახში ძალადობის ერთ-ერთ საქ-

¹⁹ პირი გაამტყუნეს სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით 7-დან 15 წლამდე ვადით.

²⁰ სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი.

მეზე, როდესაც მან პირობითი მსჯავრი და 1000 ლარიანი ჯარიმა გამოიყენა:

„ძალიან ბევრი ვიფიქრე, ვაპირებდი თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას, რეალური სასჯელის დანიშვნას, თუმცა, ერთადერთი ფაქტორი, რატომაც თავი შევიკავე აღნიშნულისგან, იყო ის, რომ, როგორც თქვენ [ბრალდებულმა] თქვით, მეუღლესთან ერთად აღარ ცხოვრობთ და დანაშაულის განმეორების საფრთხე არის შემცირებული.“

გაუგებარი და ბუნდოვანია მოსამართლის ასეთი განმარტება, ვინაიდან ის ფაქტი, რომ მოძალადე და ბრალდებული ერთად აღარ ცხოვრობენ, არ ამცირებს ძალადობის განმეორების რისკებს. ხშირად მოძალადისთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს დანაშაულის ჩადენა, მიუხედავად მათი ცალ-ცალკე ცხოვრებისა.

მოსამართლის განმარტება ოჯახში ძალადობის ერთ-ერთ საქმეზე, სადაც მან, ასევე, პირობითი მსჯავრი და 1000 ლარიანი ჯარიმა გამოიყენა:

„საქმეში წარმოდგენილ მასალებში იყო დამცავი ორდერი და ეს არ იყო ერთჯერადი ფაქტი, ამიტომ მიმაჩნია, რომ შეემაკავებელი იქნება აღნიშნული სასჯელი.“

მოცემულ შემთხვევაშიც, გაუგებარია მოსამართლის პოზიცია, რაზე დაყრდნობით განაცხადა, რომ პირობით მსჯავრსა და 1000 ლარიან ჯარიმას შემაკავებელი ეფექტი ექნებოდა, მაშინ როდესაც ბრალდებულის მხრიდან ადრეც ჰქონდა ადგილი ძალადობის განხორციელებას და არც აღნიშნული სასჯელის პირობებში შეეზღუდებოდა ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილება.

სასამართლოს მხრიდან შეღავათიანი პირობების გამოყენების გარდა, ამ საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა ერთი შემთხვევა, როდესაც ოჯახში ძალადობის საქმეზე, სადაც დაზარალებული იყო ქალი, პროკურატურამ გამოიყენა დისკრეციული უფლებამოსილება და საქმის არსებითი განხილვის ეტაპიდან გაითხოვა შუამდგომლობა ბრალდებულთან სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის – განრიდების გაფორმების

მიზნით.²¹ სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, არსებობს გარემოებები, რომლებიც მიუთითებს სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანშეწონილობაზე, კერძოდ, თუ ჩადენილი დანაშაული გავრცელებულია კონკრეტულ რეგიონში და სისტემურ ხასიათს ატარებს, აგრეთვე, თუ დანაშაული ჩადენილია დისკრიმინაციული მოტივით ან მონყვლადი პირის მიმართ.²² შესაბამისად, პროკურატურის მხრიდან ოჯახში ძალადობის საქმეზე განრიდების გაფორმება კანონმდებლობით გათვალისწინებული ამ ინსტიტუტის არამიზნობრივად გამოყენების შთაბეჭდილებას ქმნის.

1.4. დაზარალებულთა პოზიცია ბრალდებულების დასჯასთან დაკავშირებით

სასამართლო მონიტორინგმა აჩვენა, რომ, უმრავლეს შემთხვევაში, ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის მსხვერპლებს უკიდურესად ლმობიერი დამოკიდებულება აქვთ მათ მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით. ისინი იძულებულნი არიან, ითმინონ ძალადობა საზოგადოების მხრიდან გაკიცხვისგან თავის არიდების მიზნით, დამნაშავეზე ეკონომიკური დამოკიდებულების, დამნაშავეის მხრიდან შურისძიების შიშის ან სხვა ფაქტორის გამო. აღნიშნული მიზეზით ძალადობის მსხვერპლები ცვლიან საკუთარ ჩვენებებს და პრეტენზია აღარ აქვთ მოძალადეების მიმართ. ეს გარკვეულ დაბრკოლებებს უქმნის ბრალდების მხარეს, თუმცა, იმას არ ნიშნავს, რომ ამის გამო ბრალდებულის მიმართ უფრო ლმობიერი და შეღავათიანი პირობები უნდა იყოს გამოყენებული. დაზარალებულთან შერიგების კრიტერიუმის გათვალისწინება შეუძლებელია ოჯახურ დანაშაულებთან მიმართებით.²³

აღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია დაზარალებულების მიერ გაჟღერებული ფრაზები და მოსაზრებები მოძალადის დასჯასთან დაკავშირებით:

²¹ აღნიშნული ინფორმაცია მივიღეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს თანამშრომლისგან.

²² საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №181 ბრძანება, სისხლის სამართლის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ, თავი მე-3, პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე.

²³ დეკანოსიძე, თ., ფემციდის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბილისი, 2016, 49.

დაზარალებულმა დაკითხვისას განაცხადა: „[ბრალდებული] ყოველთვის რაღაც მიზეზს ეძებდა, რომ კონფლიქტში შემოსულიყო... ფიზიკურად არასოდეს შემხებია... ყოფილა შემთხვევა, რომ დასარტყმელად წამოღებული ხელი ჰაერში გაუშვებია... მან სკამი ასწია და მაცივარს მოახვედრა. შიში გამიჩნდა... მან იცის ეს და ამ შიშს იყენებს თავისი ძალაუფლების დემონსტრირებისათვის... შეიძლება, სიცოცხლის მოსპობისაც მეშინოდა... არ უარვყოფ, ხშირად ვიძახებდი პატრულს... სიტყვიერ შეურაცხყოფას მაყენებდა... ეს ჩემთვის ფსიქოლოგიური სტრესი იყო... ამჟამად პრეტენზია არ მაქვს... მინდა, რომ ერთი შანსი მისცეთ და გაათავისუფლოთ... მისი დაკავების შემდეგ სახლიდან არ გამოვსულვარ, მე უფრო სტრესულ მდგომარეობაში ვარ, ის რომ პატიმრობაშია... ხალხის მრცხენია. ფსიქოლოგიური სტრესია ეს ჩემთვის.“

დაზარალებული მხარის პოზიცია მამის მიერ შვილის მიმართ ჩადენილ ძალადობასთან დაკავშირებით

ბრალდებულის მეუღლე: „დაზარალებული არის ცელქი ბავშვი, მხოლოდ მისი აღზრდის მიზნით მოხდა ეს ყველაფერი. ციხე არ მიუსაჯოთ ჩემს მეუღლეს, თორემ ეკონომიკურად დაგვენგრევა ოჯახი“.

დაზარალებული: „მამაჩემი მიყვარს და ვპატიობ. ნუ იქნებით მკაცრი მის მიმართ. მე თვითონ გამოვიყვანე წყობიდან.“

მეზობელი: „სამაგალითო ოჯახია. მათგან არასოდეს ცუდი არაფერი გაგვიგია... მან ზუსტად იმიტომ ასწია ხელი შვილზე, რომ კარგი გაიზარდოს.“

აღსანიშნავია ისიც, რომ ცალკეულ შემთხვევებში დაზარალებულებს აქვთ შიშის გრძნობა – ვაითუ, მოძალადემ შურისძიება გადაწყვიტოს. ამიტომაც სთხოვენ სამართალდამცავ ორგანოებს, ბრალდებულების მიმართ ლმობიერი საჩუქრები გამოიყენონ.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია მაგალითი:

ოჯახში ძალადობის მსხვერპლმა ქალმა საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე განაცხადა: „მე მაგისი ციხეში ჩასმა არ მინდა. უბრალოდ, მითხარით, რომ არ შემეხება... ორდერი გამომიწერეთ, რომ არ შემეხება.“ მოსამართლემ განუმარტა, რომ ის ორდერს ვერ გამოსცემდა და ეს პროცედურა ადმინისტრაციული წესით ხდებოდა. ასევე, ისიც აუხსნა, რომ შეეძლო, ჩვენება არ მიეცა ახლო ნათესავის წინააღმდეგ. ამ ყველაფრის შემდეგ დაზარალებულმა უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე.

მოცემულ შემთხვევაში, ჩნდება ეჭვები, რომ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა განპირობებული იყო მოძალადის მხრიდან შურისძიებისა და ძალადობის გამეორების შიშით.

1.5. დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხი და დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთა ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე

მნიშვნელოვანია, რომ ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე დანაშაულის კვალიფიკაცია რეალურად შეესაბამებოდეს ჩადენილი ქმედების სიმძიმეს. დანაშაულის არასწორი კვალიფიკაციის პირობებში, შეუძლებელია გენდერულად სენსიტიური სისხლის სამართლის სისტემის არსებობა, სადაც ბრალდებისა და სასამართლო ორგანოების მიერ ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების სათანადო აღიარება, კვალიფიკაცია და დასჯა ხორციელდება.²⁴

აღსანიშნავია, რომ საგამოძიებო და ბრალდების ორგანოების პასუხისმგებლობას კიდევ უფრო ზრდის მოქმედი კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს უფლება არ აქვს, ქმედება წარდგენილი ბრალდებიდან უფრო მძიმე ბრალდებაზე გადაკვალიფიციროს. სასამართლოს კვალიფიკაციის შეცვლა შეუძლია მხოლოდ იმავე ხარისხის ან მსუბუქი ბრალდებით.²⁵

იმავედროულად, მნიშვნელოვანია, რომ თუ ქალის მიმართ ძალადობა ან ქალის მიმართ ოჯახში ძალადობა განხორციელდა, გამოძიება უნდა დაიწყოს იმ გადმოსახედიდან, ხომ არ მოხდა და-

²⁴ დეკანოზიძე, თ., ფემციდის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბილისი, 2016, 35-36.

²⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლი.

ნაშაულის ჩადენა გენდერული მოტივით.²⁶ გამოძიების წარმოებისას, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, შესაძლო დისკრიმინაციული მოტივის არსებობის შემთხვევაში, ვალდებული არიან, მიუთითონ სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3¹ პუნქტზე, რაც დისკრიმინაციული ნიშნით დანაშაულის ჩადენას გულისხმობს.²⁷ ასეთივე ვალდებულება აქვთ პროკურატურის თანამშრომლებსაც.

გამოვლენილი შედეგები

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ შემთხვევებში, გარდა ერთი შემთხვევისა, აღნიშნული დანაშაულების დაკვალიფიცირება არ მომხდარა დისკრიმინაციულ დანაშაულად (არ მომხდარა მითითება სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3¹ პრიმა პუნქტზე). შესაბამისად, ბრალდებისა და სასამართლო ორგანოები არ აღიარებენ, რომ ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობრივი დანაშაულები არის გენდერული დისკრიმინაციის შედეგი. ასევე, დაფიქსირდა შემთხვევები, სადაც გარდა დისკრიმინაციული ნიშნისა, კვალიფიკაციის მართებულობასთან დაკავშირებით (დანაშაულის დაკვალიფიცირება მისი სიმძიმის შესაბამისად) კითხვის ნიშნები ჩნდება.²⁸

²⁶ გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში UN Doc. A/HRC/23/49 (14 მაისი, 2013 წელი), §73; ასევე, IACtHR, Case of Gonzalez et al. (“Cotton Field”) v. Mexico, 2009 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება, §455; იხ: დეკანოსიძე, თ., ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბილისი, 2016, 18-19. ასევე, იხ: ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია) ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, 11.05.2011, სტამბოლი, მუხლი: 3 (ა); იხ: დეკანოსიძე, თ., ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბილისი, 2016, 35.

²⁷ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მითითება №47, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების მიერ დისკრიმინაციის პრევენციისა და ამ ნიშნით ჩადენილ სამართალდარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების ღონისძიებების განხორციელების შესახებ.

²⁸ ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე ქმედების კვალიფიკაციის შეფასება განხორციელდა დასწრებული პროცესების ერთობლივი ანალიზითა და პროცესის მონაწილეთა მიერ გაკეთებული განცხადებების საფუძველზე.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია მაგალითი:

ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც ეხებოდა მეუღლის მიმართ განხორციელებულ ძალადობას, საია დააკვირდა როგორც პირველი წარდგენის, ისე წინასასამართლო და საქმის არსებითი განხილვის სხდომებს.

პირს ბრალი ედებოდა მეუღლის მიმართ განხორციელებულ დანაშაულებში (თავისუფლების უკანონო აღკვეთა, მუქარა, იძულება). კერძოდ, პირველი წარდგენის სხდომაზე პროკურორმა განაცხადა, რომ დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის მოხდა კონფლიქტი, რის გამოც დაზარალებულმა პატრული გამოიძახა. ამ ფაქტის შემდეგ, დაზარალებულმა კარის საკეტიც გამოცვალა, თუმცა, ამან შედეგი არ გამოიღო. ბრალდებული მიდიოდა დაზარალებულის სახლში და კარის გაღებას სთხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ასევე იყო პატრული გამოძახებული, რის შემდეგაც ბრალდებულის მიმართ გამოიცა შემაკავებელი ორდერი, რომლითაც აეკრძალა დაზარალებულთან მიახლოება. მიუხედავად ამისა, ბრალდებული მაინც მივიდა დაზარალებულის საცხოვრებელ სახლში, ელექტროდამაგრძელების გამოყენებით ხელები უკან შეუკრა, სანოლზე დააგდო და ოთახში გაზი გაუშვა. მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული სთხოვდა გათავისუფლებას, ბრალდებული ეუბნებოდა, რომ იგი სიკვდილს იმსახურებდა. გარდა ამისა, ბრალდებულმა კარის საკეტი მოშალა, რათა დაზარალებულს ვერ გაეღო, წაართვა ტელეფონი და გვერდით ოთახში გავიდა. დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში დაზარალებული ვერ გადაადგილდებოდა, თუმცა, შემდეგ მოახერხა ხელების გათავისუფლება, ისარგებლა მეუღლის უყურადღებობით, კარის მოშლილი საკეტი გახსნა და მეზობლებს დახმარების საშველად დაუძახა. ბრალდებული კვლავ აგრძელებდა მოკვლის მუქარას ახლა უკვე დანის გამოყენებით. დაზარალებულმა მოასწრო პატრულში დარეკვა, თუმცა, ბრალდებულმა აიძულა, ხელმეორედ დაერეკა და გამოიძახება გაეუქმებინა. დაზარალებულიც დაემორჩილა. პატრული მაინც მივიდა, თუმცა, ბრალდებულმა უთხრა, რომ გამოიძახება გაუქმებული იყო. დაზარალებულმა პატრულს დახმარება სთხოვა და განუმარტა, რომ გამოიძახების გაუქმება მეუღლემ აიძულა. ბრალდებული დააკავეს. **ბრალდების მხარემ ისიც**

განმარტა, რომ ბრალდებულისგან დამოუკიდებელი მიზეზები რომ არა, იგი დაზარალებულს მოკლავდა.

წინასასამართლო სხდომაზე, სადაც განიხილებოდა ბრალდებულისათვის შეფარებული პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხი, მოსამართლემ განაცხადა: „*მან [ბრალდებულმა] ელექტროსადენით შეუკრა დაზარალებულს ხელები, მერე გაზით სცადა მისი გაგუდვა.*“

საქმის არსებითი განხილვის სხდომაზეც ბრალდების მხარემ შემოაღნიშნული ინფორმაცია გააუღერა. ამ ყველაფრის მიუხედავად, ბრალდებულს ბრალად აქვს წაყენებული სამი მუხლი: თავისუფლების უკანონო აღკვეთა სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, მუქარა და იძულება.

აღსანიშნავია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სავარაუდოდ, ადგილი ჰქონდა მკვლელობის მცდელობას, რასაც გვაფიქრებინებს თავად ბრალდებულის ქცევა, რომელმაც ხელეგაკოჭილი დაზარალებული დატოვა სანოლზე, გაზი გაუშვა ოთახში, ტელეფონი წაართვა მსხვერპლს და კარის საკეტი მოშალა, რათა დაზარალებულს გარეთ ვერ გაეღწია. ეს ყველაფერი კი, მიუთითებს მკვლელობის განზრახვასა და ამ მოტივით განხორციელებულ ქმედებაზე.

ერთ შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაციის ნაწილზე ყურადღება მოსამართლემაც გაამახვილა. პირს ბრალი ედებოდა მეუღლის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარის განხორციელებაში, რასაც არაერთჯერადი ხასიათი ჰქონდა. არსებითი განხილვის სხდომაზე, როდესაც მოსამართლემ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა, იმავდროულად აღნიშნა, რომ **ბრალდებულის ქმედება ცოტა მძიმე მუხლით უნდა ყოფილიყო დაკვალიფიცირებული**, თუმცა, რას გულისხმობდა უფრო მძიმე კვალიფიკაციაში, დამატებითი განმარტება აღარ გაუკეთებია.

აგრეთვე, პირველი წარდგენის ერთ-ერთ სხდომაზე, რომელიც ეხებოდა მეუღლის მიმართ განხორციელებულ მუქარას, საბრალდებო ნაწილში პროკურორს არ ჰქონდა მითითება გაკეთებული მე-11¹ მუხლზე, რომელიც ოჯახური დანაშაულის მიმანიშნებელი გარემოებაა და საქმეში მხოლოდ სსკ-ის 151-ე მუხლი ფიგურირებდა. წინასასამართლო სხდომაზე უკვე გაჩნდა მე-11 პრიმა

მიუხლზე მითითება, თუმცა გაუგებარია, რატომ არ არსებობდა ასეთი ნორმა პირველი წარდგენის სხდომაზე, სადაც უკვე იდენტიფიცირებადი იყო ძალადობის ოჯახური ხასიათი.

რაც შეეხება დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთას, ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოვლინდა მხოლოდ ერთი შემთხვევა, როდესაც ბრალდების მხარემ ახსენა სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის დანაწესი ბრალდებულისათვის სასჯელის დამძიმების კონტექსტში. თუმცა, ამ მუხლის მითითება მოხდა მხოლოდ ფორმალურად. პროკურორს არ გაუკეთებია დამატებითი განმარტება, თუ რაში გამოიხატებოდა ბრალდებულის დისკრიმინაციული ქცევა.²⁹

საია იმედოვნებს, რომ პროკურორები ყველა შესაძლო შემთხვევაში მომავალშიც გამოიყენებენ სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3¹ პუნქტს, რომელსაც ექნება პრაქტიკული და ეფექტური ხასიათი და მიმართული იქნება ბრალდებულის დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთისა და ადეკვატური სასჯელის განსაზღვრისკენ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მაინც დაფიქსირდა ცალკეული შემთხვევები, როდესაც, ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, გაჩნდა ეჭვები, რომ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ ძალადობას. თუმცა, ამ საქმეებზე ისე დადგა განაჩენი (ზოგიერთის განხილვა ახლაც მიმდინარეობს), რომ ბრალდების მხარეს ეს საკითხი საერთოდ არ დაუყენებია და არც ზემოთ ხსენებული ნორმის აუცილებლობა უხსენებია. **ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის არცერთ საქმეზე პროკურორს დისკრიმინაციული მოტივი არ გამოუკვეთავს.** როდესაც ობიექტური დამკვირვებლის გადმოსახედიდან ჩანს, რომ დანაშაული ჩადენილია შესაძლო დისკრიმინაციული ნიშნით, ბრალდების მხარე უნდა დაინტერესდეს ასეთი შემთხვევებით და უფრო სიღრმისეული და დეტალური გამოძიება აწარმოოს.

²⁹ აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ გამოიყენა 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც მსჯავრდებულს ჩაეთვალა პირობითად და დაუდგინდა გამოსაცდელი ვადა 1 წელი და 6 თვე.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია მაგალითები:

პირველი წარდგენის ერთ-ერთ სხდომაზე, რომელზეც ოჯახური დანაშაულის საქმე განიხილებოდა, ბრალდებულმა დაზარალებულის მისამართით აღნიშნა: „იმ ადამიანის [დაზარალებული იგულისხმა] ენის ტლიკინს ვერ ვიტან, რომ დამიპირისპირდება. არაა საჭირო ბევრი ლაქლაქი. როცა ნასვამია, შეიძლება გაერიდო ან გამოერიდო. ხომ არ შეიძლება, ისეთი რამ უთხრა, რაც არ არის საჭირო.“

აგრეთვე, ოჯახური დანაშაულის საქმის არსებითი განხილვის ერთ-ერთ სხდომაზე ადვოკატმა განაცხადა: „ბრალდებულს მეუღლემ დაურეკა და სთხოვა, აღარ დაეღია და შინ მისულიყო, მაგრამ ქალისგან ვერ მიიღო ეს ბრალდებულმა“ (ანუ ამან გააღიზიანა).

ძალადობის ერთ-ერთ ასეთ საქმეზე დაზარალებულმა სამართლოში განაცხადა:

„ხშირად გვექონდა კონფლიქტი, მაგრამ პოლიციისთვის არ მიმიმართავს. მისი მხრიდან ეჭვიანობა იყო ძირითადი მიზეზი. ერთი კვირის დაშორებული ვიყავი, მაგრამ სამსახურში მაკითხავდა. ერთხელ სახლის კართან დამხვდა. დალაპარაკებისაც მეშინოდა, პატრული გამოვიძახე, რომელმაც შემაკავებელი ორდერი გამოწერა. ამის მერე ორი კვირა საერთოდ არ გამოჩენილა. ერთხელ მეტროში უკან მომყვებოდა, პატიებას ითხოვდა. უარს ვეუბნებოდი.“ დაზარალებულის თქმით, **მოძალადე ეჭვიანობდა მის უფროსზე.** „მეჩხუბებოდა, მემუქრებოდა. ჭკვიანად თუ არ იქნები, მოგკლავო. ვუთხარი, პატრულში დავრეკავ-მეთქი, მაგრამ მითხრა, სანამ პატრული მოვა, დაგახრჩობო... ეჭვიანობდა, ერთ-ერთი ჩხუბის დროს სახეში შემომარტყა. ყვირილი დავიწყე... სახეზე ხელი ამაფარა, ნუ ყვირიხარო. დანა ეჭირა. **სანამ პატრული მოვა, ძალივით დაგკლავ და ვერავინ გნახავსო. ციხის არ მეშინიაო, როგორც შევალ, ისე გამოვალო.**“

მოცემულ შემთხვევებში, ჩნდება ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ ბრალდებული მსხვერპლის მიმართ იჩენდა დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას, აკონტროლებდა მის ქცევას და მოუწოდებდა მორჩილებისკენ. სავარაუდოდ, მსხვერპლის დაუმორჩილებლობა

და აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა გახდა დანაშაულის ჩადენის მოტივი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ექვები არსებობდა, ბრალდების მხარე არ დაინტერესებულა ამ ფაქტების უფრო დეტალური შესწავლით.

2. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა ქცევა და დამოკიდებულება მონყვლად ჯგუფებთან მიმართებით

აღნიშნულ თავში განხილულია ისეთი შემთხვევები, რომლებიც გამოხატავს პროცესის მონაწილეთა დამოკიდებულებას მონყვლად ჯგუფებთან დაკავშირებით (ქალი ბრალდებულები და დაზარალებულები, უცხოენოვანი ბრალდებულები, და ა.შ.). მონიტორინგმა, რიგ შემთხვევებში, გამოავლინა აღნიშნული პირების მიმართ არაეთიკური და მხარისათვის შეუფერებელი, ხოლო სხვა შემთხვევებში – სტერეოტიპული და სტიგმის შემცველი ქცევა.

მონიტორინგის შედეგები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოსამართლეთა, პროკურორთა და ადვოკატთა მხრიდან, რიგ შემთხვევებში, დაფიქსირდა არაეთიკური ქცევა კონკრეტული ჯგუფების მიმართ – გენდერული სტერეოტიპების გამოყენება ან სხვა სახის სტიგმის შემცველი დამოკიდებულება, რაც პირის განსხვავებულ მახასიათებელს უსვამდა ხაზს და ქმნიდა მისთვის დამამცირებელ გარემოს. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა მოიცავს ადამიანის ღირსების პატივისცემასა და მის დაცვას სტიგმატიზაციისგან. შესაბამისად, პროცესის მონაწილეების მხრიდან ასეთი დამოკიდებულება უკვე არის ბარიერი/დაბრკოლება მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის მიმართულებით, მიუხედავად იმისა, თუ რა გავლენა მოახდინა ამან შედეგებზე.³⁰ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა არ არის მხოლოდ შედეგებზე ორიენტირებული კონცეფცია. იგი გულისხმობს პროცესის ცალკეული საკითხების შეფასებასაც.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია მაგალითები:

³⁰ გაეროს ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW) 2015 წლის 23 ივლისის ზოგადი რეკომენდაციის თანახმად: „სტერეოტიპების გამოყენება საფრთხეს უქმნის მართლმსაჯულების სისტემის მიუკერძოებლობასა და სანდოობას, რაც, შესაბამისად, იწვევს მართლმსაჯულების არასწორ განხორციელებას, მათ შორის, მხარეების რევიქტიმიზაციას“ (CEDAW/C/GC/33).

მოსამართლის სექსისტური და სტერეოტიპული დამოკიდებულება ქალის მიმართ:

ერთ-ერთი პირველი წარდგენის სხდომაზე, სადაც განიხილებოდა ქალის მიმართ განხორციელებული მუქარის საქმე, მოსამართლე დაინტერესდა ბრალდებულის წინა განქორწინების მიზეზით და ასეთი კითხვა დაუსვა: „რა იყო განქორწინების მიზეზი? ცოლი ტრადიციულად ბევრს ითხოვდა და თქვენ არ გქონდათ საშუალება, თუ?...“

აღნიშნულით მოსამართლემ გამოამჟღავნა სტერეოტიპული დამოკიდებულება ქალთა მიმართ.

პროკურორის ცინიკური დამოკიდებულება ბრალდებული ქალის რეპროდუქციული როლის მიმართ:

პროკურორი: „რამდენი შვილი გყავს?“

ბრალდებული: „ექვსი შვილი მყავს, პატარები.“

პროკურორი: „არ აპირებ კიდევ გაჩენას? არ უნდა გაჩერდე ექვს შვილზე.“

ადვოკატის არაეთიკური დამოკიდებულება უცხოენოვანი ბრალდებულის მიმართ:

პირველი წარდგენის ერთ-ერთ სხდომაზე განიხილებოდა უცხოენოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი. ბრალდებულს ჰყავდა რუსული ენის თარჯიმანი. პროცესზე ბრალდებულს სურდა რალაცის თქმა მოსამართლისთვის, მაგრამ მისი ადვოკატი აჩუმებდა: „გაჩუმდი, ადამიანი არ ხარ?!... ხელს გვიშლი და გაჩუმდი“. თარჯიმანიც და ბრალდებულიც გაჩუმდნენ. მოგვიანებით, პროკურორმა განაცხადა, რომ ბრალდებულის თქმით, მამამისს ჰქონდა უძრავი ქონება და ამით შეძლებდა გირაოს გადახდას. აღნიშნულმა ადვოკატის უკმაყოფილება გამოიწვია და ბრალდებულს მიმართა: „ხომ გეუბნებოდი გაჩუმდი, რამდენს ლაპარაკობ-მეთქი. აი, შედეგიც.“

ბოლოს, მოსამართლემ ჰკითხა ბრალდებულს, ეთანხმებოდა თუ არა ადვოკატს, რაზეც ბრალდებულმა თავი დაუქნია. ამაზეც შენიშვნა მისცა ადვოკატმა და უთხრა: „თავს ნუ იქნევ, ხმა ამოიღე.“

ადვოკატის დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული ქალის მიმართ:

ადვოკატი: „სტიუარდესა იყო ეს ადამიანი [დაზარალებული]. 4 შვილი ჰყავს, ვისგან ჰყავს, არავინ იცის.“ მოსამართლე პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს, რომ შენიშვნა მისცა ადვოკატს და მიუთითა, რომ ის არ იყო უფლებამოსილი, დაზარალებულის მორალური მხარე შეეფასებინა. თუმცა, ადვოკატმა უპასუხა: „*კორექტული ვარ იმასთან შედარებით, რასაც იმსახურებს.*“

ადვოკატის დამოკიდებულება თავისი დაცვის ქვეშ მყოფი ქალი ბრალდებულის მიმართ:

სხდომა იმართებოდა ისეთ დარბაზში, სადაც იყო ბრალდებულის მოსათავსებელი მინის ოთახი. სასამართლო პროცესის დაწყებამდე ადვოკატმა შეურაცხმყოფელად და უპატივცემულოდ მოიხსენია თავისი დაცვის ქვეშ მყოფი. კერძოდ, ადვოკატმა განაცხადა: *იმედია, არ გადმოხტება აქედან. ისეთია, ესეც [მინის ოთახი] ვერ დააკავებს.*“

ასევე, დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ადვოკატმა საჯაროდ ისაუბრა ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და განაცხადა, რომ მას ჰქონდა შიდსი და C ჰეპატიტი, რაც არ იყო რელევანტური განსახილველი საქმის გარემოებებთან მიმართებით. პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ მოსამართლემ შენიშვნა მისცა ადვოკატს და გააფრთხილა - თავი შეეკავებინა ჯანმრთელობის ცნობების ასე საჯაროდ გახმოვანებისგან.

3. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა უცხოენოვანი ბრალდებულებისთვის

3.1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს კონსტიტუცია,³¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი³² და საერთაშორისო კონვენციები,³³ რომელთა მონაწილე მხარეც არის საქართველო, ითვალისწინებს, რომ, თუ პირმა არ იცის სამართალწარმოების ენა, მას უფლება აქვს, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე.

უცხოენოვანი ბრალდებულები, გარკვეულწილად, მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან, ვინაიდან ქართული ენის მცოდნე ბრალდებულებისგან განსხვავებით, ისინი სათანადოდ ვერ აღიქვამენ იმ გარემოს, სადაც მათი საწინააღმდეგო პროცესები მიმდინარეობს. ამდენად, ამის კომპენსირებისთვის, აუცილებელია, რომ უცხოენოვან ბრალდებულებს ჰყავდეთ ადამიანი, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს ბარიერებს/დაბრკოლებებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის სფეროში.

თარჯიმნის მომსახურებით სარგებლობის უფლება გულისხმობს პირისათვის განუვლი თარგმანის ხარისხის სრულად უზრუნველყოფას, მის მიერ საქმის მსვლელობის შინაარსის გაგებასა და მასში ჩართვას პრაქტიკულად და ეფექტურად, სადაც ადგილი არ ექნება უფლების თეორიულ და არარეალურ, ილუზორულ განხორციელებას.³⁴ იმავდროულად, თარგმანი უნდა იყოს იმდენად დეტალური, რომ იძლეოდეს ბრალდებულის მიერ მის წინააღმდეგ წარმოებული საქმის სრულყოფილად გააზრებისა და პროცესში ადეკვატური მონაწილეობის შესაძლებლობას. იმისათვის, რომ თარჯიმნის დახმარება იყოს პრაქტიკული და შედეგიანი, პროცესის მწარმოებელი ორგანოს ვალდებულებაა, არ შემოიფარგლოს მხოლოდ თარჯიმნის დანიშვნით და განახორციელოს კონტროლი პროცესზე წარმოებული ზეპირი თარგმანის ხარისხზე.³⁵

³¹ საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

³² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი, 38-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

³³ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი.

³⁴ მოლი, ნ., ჰარბი, კ., სამართლიანი განხილვის უფლების სახელმძღვანელო, ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელოების სერია, №3, ბელგია, 2006, 69.

³⁵ *Kamasinski v. Austria*, 29783/826 19 December 19, 1989, §74; *Hermi v. Italy*, № 18114/02, 18 October, 2006, §70; *Protopapa v. Turkey*, № 16084/90, 24 February, 2009, §80.

ქვეყანაში მართლმსაჯულებას ახორციელებს სასამართლო ხელისუფლება, ამიტომ მისი პასუხისმგებლობაა, პროცესი წარიმართოს ყველასთვის გასაგებ ენაზე. აღნიშნულ მიდგომას ავითარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც, რომელმაც დაადგინა, რომ სასამართლოს ეკისრება პასუხისმგებლობა, დარწმუნდეს თარჯიმნის პროფესიონალიზმში.³⁶

3.2. მონიტორინგის შედეგები

მონიტორინგის მიმდინარეობისას დასწრებული პროცესების უმრავლესობაზე, რომელზეც ბრალდებულს თარჯიმანი ესაჭიროებოდა, უზრუნველყოფილი იყო აღნიშნული უფლების ეფექტურად და სათანადოდ რეალიზაცია. ხშირად მოსამართლე ეკითხებოდა ბრალდებულს, რამდენად გასაგები იყო მისთვის პროცესზე დაყენებული საკითხები. გარდა ამისა, ზოგჯერ ნელა საუბრობდა და თარჯიმანს საშუალებას აძლევდა, გასაგებად ეთარგმნა ბრალდებულისთვის. ასევე, მოსამართლემ რამდენიმე სხდომა გადადო თარჯიმნის გამოუცხადებლობის გამო. თუმცა, ადგილი ჰქონდა გამოწვევის შემთხვევებსაც, როდესაც მოსამართლე სათანადო კონტროლს ვერ ახორციელებდა.

43 შემთხვევიდან, სადაც ბრალდებულს თარჯიმანი ესაჭიროებოდა, 2 (5%) შემთხვევაში თარჯიმანი ეპიზოდურად ან საერთოდ არ ეთარგმნიდა ბრალდებულებს სხდომაზე განხილულ საკითხებს და მის მონაწილეობას პროცესში მხოლოდ ცალმხრივი ხასიათი ჰქონდა. ამით კი, დაირღვა ბრალდებულის უფლება თარჯიმნის მომსახურებაზე.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილია მაგალითი:

პირველი წარდგენის სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა უცხოენოვანი ბრალდებულის წინააღმდეგ, გამოიკვეთა ინგლისური ენის თარჯიმნის არაპროფესიონალიზმი და არაეფექტურობა, რაც ნეგატიურად აისახა ბრალდებულის პროცესში სრულყოფილად მონაწილეობაზე. ბრალდებული ხშირად აცხადებდა, რომ არ ესმოდა თარგმანი. ასევე, თარჯიმანი ხშირად ჩერდებოდა და არ თარგმნიდა პროცესის მიმდინარეობას. მას არც ადვოკატის სიტყვით გამოსვლა უთარგმნია. მოსამართლემ ჰკითხა, უთარგმნა თუ არა

³⁶ Cuscani v. United Kingdom, №32771/96, 24 September, 2002, §38-39.

ბრალდებულს ადვოკატის სიტყვით გამოსვლა, რაზეც თარჯიმანმა დადებითი პასუხი გასცა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ადვოკატმა მოითხოვა თარჯიმნის საქმიდან ჩამოცილება, რასაც ბრალდების მხარე არ დაეთანხმა. ასევე, ბრალდებულმაც უარი განაცხადა თარჯიმნის აცილებაზე, რაც, სავარაუდოდ, იმით იყო განპირობებული, რომ მისთვის თარგმნილი სიტყვები არ იყო სრულყოფილი და გასაგები, რამაც ბრალდებული დააბნია.

მოსამართლე უფრო ყურადღებით და დაკვირვებით რომ მოჰკიდებოდა აღნიშნულ საკითხს, აუცილებლად შეამჩნევდა თარჯიმნის არაპროფესიონალიზმსა და თარგმანის არაეფექტურობას.

ზემოხსენებულის საპირისპიროდ, გამოვლინდა დადებითი რეაგირების შემთხვევებიც, როდესაც მოსამართლემ შეამჩნია თარჯიმნის არაპროფესიონალიზმი და თარგმანის დროს დაშვებული ხარვეზები.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია მაგალითი:

პირველი წარდგენის სხდომაზე, რომელზეც დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, ბრალდებული იყო ბელგიის მოქალაქე და არ იცოდა სამართალწარმოების ენა. მონვეული იყო ინგლისური ენის თარჯიმანი, რომელიც სათანადოდ ვერ ასრულებდა თავის ფუნქციებს და უჭირდა სინქრონში თარგმნა. აღნიშნულით უკმაყოფილო მოსამართლემ საკმაოდ მკაცრი ტონით და უხეშად მიმართა თარჯიმანს: „ეს არის სასამართლოს შეურაცხყოფა. შენ იმყოფები სასამართლოში და არა თეატრში.“ მოსამართლის ასეთმა ქცევამ კიდევ უფრო დააბნია და შეაშინა თარჯიმანი და საერთოდ ვეღარ შეძლო თარგმანის სრულყოფილად გაგრძელება. დამატებით გაირკვა ისიც, რომ აღნიშნული თარჯიმანი მონაწილეობდა გამოძიების ეტაპზეც, ამიტომ მოსამართლემ მიიღო მისი აცილებისა და სხვა თარჯიმნის მონვევის გადაწყვეტილება, რომელიც ხელახლა გადაუთარგმნია ბრალდებულს საპროცესო დოკუმენტებს.

მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლემ სწორი გადაწყვეტილება მიიღო და შეცვალა თარჯიმანი, მისი ქცევა იყო არაეთიკური, რაც ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს.

საგულისხმოა, რომ სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების მიხედვით, მოსამართლემ წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე უნდა შეინარჩუნოს; უნდა იყოს მომთმენი და თავაზიანი მხარეების, ნაფიცი მსაჯულების, მონმეების, ადვოკატებისა და სხვა პირების მიმართ, ვისთანაც უნევს ოფიციალური ურთიერთობა; ასევე, მოსამართლემ მსგავსი ქცევისკენ უნდა მოუწოდოს მხარეთა წარმომადგენლებს, სასამართლო პერსონალსა და სხვა პირებს, რომლებიც ექვემდებარებიან მოსამართლის ხელმძღვანელობასა და კონტროლს.³⁷

II. ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში და აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა

1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) 198-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, სხვა პროცედურებთან ერთად, სასამართლო განიხილავს საკითხს, თუ რომელი ღონისძიება უნდა იყოს გამოყენებული, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა და ხელი არ შეეშალოს გამოძიებას მანამ, სანამ საქმეზე საბოლოო განჩინები დადგება. აღკვეთის ღონისძიება უნდა იყოს დასაბუთებული, რაც იმას ნიშნავს, რომ აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენება კანონით დადგენილ მიზნებს უნდა შეესაბამებოდეს.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას გააჩნია პრევენციულ-უზრუნველმყოფი ხასიათი და მისი მიზანია არა პირის ბრალეულობის მტკიცება, არამედ იგი წარმოადგენს მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ხელშეშლის პრევენციის საშუალებას.³⁸

სასამართლოს შეუძლია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რამდენიმე აღკვეთის ღონისძიებიდან ერთ-ერთის გამოყენება: პატიმრობა, გირაო, პირადი თავდებობა, გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება, სარდლობის მიერ სამხედრო მოსამსახურის ქცევის მეთვალყ-

³⁷ ბანგალორის 2001 წლის სამოსამართლო ქცევის კოდექსი, სასამართლო ხელისუფლების შეუვალობის განმამტკიცებელი სასამართლო ჯგუფი.

³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26/06/2015 წლის საოქმო ჩანაწერი №6466 II-40.

ურეობა და არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა.

სსსკ-ის 198.3 მუხლის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას, პროკურორი ვალდებულია, დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა და სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების არამართებულობა. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების ტვირთი ბრალდების მხარეს აკისრია. დაცვის მხარე არ არის ვალდებული, წარადგინოს მტკიცებულება პროკურორის შუამდგომლობის საწინააღმდეგოდ. ამასთან, სსსკ-ის 198.5 მუხლის თანახმად, აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხვა გარემოებებს.

სასამართლოს გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული, რადგან საქმის წარმოების ყოველ ეტაპზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება სამართლიანი სასამართლოს უფლების ნაწილია, რაც გარანტირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით³⁹ და გამყარებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მთელი რიგი გადაწყვეტილებებით.⁴⁰

2. ზოგადი მიმოხილვა

მონიტორინგის წინა პერიოდებთან შედარებით (2011 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული), ზოგადი სურათი გაუმჯობესებულია, თუმცა, პირველი წარდგენის სხდომების ცალკეული კომპონენტების მიმართ კვლავ ფიქსირდება მნიშვნელოვანი ხარვეზები. ამასთან, წინა პერიოდებში არსებული ცალკეული ნეგატიური პრაქტიკა კვლავ უცვლელი დარჩა. პროცენტულად მოიმატა დაუსაბუთებლად გიროს გამოყენების შემთხვევებმა და 12%-დან 28%-მდე გაიზარდა. თუმცა 2%-ით შემცირდა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების პროცენტული წილი პატიმრობის გამოყენების შესახებ და 10%-ით განისაზღვრა. აღსანიშნავია ისიც,

³⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 194.2.

⁴⁰ E.g., *Hiro Balani v. Spain*, no. 18064/91, §27 (9 December, 1994);

რომ არაერთგვაროვანია საერთო სასამართლოების მიდგომა ალკვეთის ღონისძიების სტანდარტებსა და კრიტერიუმებთან დაკავშირებით.

სასამართლო, ძირითადად, კვლავ ორი სახის ალკვეთის ღონისძიებას იყენებს. **შეფარდებული ალკვეთის ღონისძიებების 94%-ს გირაო და პატიმრობა შეადგენს. ალტერნატიული ღონისძიების გამოყენების პროცენტული წილი კვლავ ძალიან მცირეა.** კერძოდ, ბრალდებულთა მხოლოდ 6%-ს შეეფარდა პირადი თავდებობა და შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ.⁴¹

ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა ალკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების დასაბუთების ნაწილში როგორც პროკურატურის მხრიდან, ისე სასამართლოს მიდგომების თვალსაზრისით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, პროკურორების შუამდგომლობებს აბსტრაქტული, შაბლონური ხასიათი ჰქონდა. მართალია, ბრალდების მხარე უთითებდა ალკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებსა და საფუძვლებზე, მაგრამ აღნიშნული არგუმენტები ხშირად ბრმად იყო მოყვანილი და არ უკავშირდებოდა კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს. საგულისხმოა, რომ ზოგჯერ, ალკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთებისას, საფრთხეების აბსტრაქტულად არსებობაზე მიუთითებდა სასამართლოც, რაც არ წარმოადგენს იმ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომლის დროსაც შეიძლება კონკრეტული ალკვეთის ღონისძიების გამოყენების მტკიცება.

პატიმრობისგან განსხვავებით, მდგომარეობის გაუარესება დაფიქსირდა გირაოს შეფარდების დროს. ზოგჯერ პროკურორი ითხოვდა ძალიან მაღალი გირაოს თანხის შეფარდებას ისე, რომ არ ასაბუთებდა არც ამ ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობას და არც თანხის ოდენობას. განსაკუთრებული ხარვეზებია პროკურორის მიერ გირაოს ოდენობის განსაზღვრის ნაწილში, ვინაიდან, თითქმის ყველა შემთხვევაში, პროკურორს არ ჰქონდა ინფორმაცია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.⁴² ხშირად მოსამართლე ეკითხებოდა პროკურორს,

⁴¹ ამ საანგარიშო პერიოდში საია დააკვირდა 250 პირველი წადგენის სხდომას (194 თბილისის საქალაქო სასამართლოში და 56 – ქუთაისის საქალაქო სასამართლოში), რომელშიც მონაწილეობდა 268 ბრალდებული.

⁴² პროკურატურას არაერთგვაროვანი მიდგომები აქვს ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობის შესწავლის ნაწილში. ზოგჯერ მოაქვს ინფორმაცია ბრალდებულის

გამოკვლევული ჰქონდა თუ არა ბრალდებულის მატერიალური შესაძლებლობები. ძირითადად, ბრალდების მხარეს შესაბამისი ინფორმაცია არ ჰქონდა.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილია მაგალითი:

მოსამართლე: „გამოიკვლიეთ ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა, გირაოს რომ ითხოვთ?“
პროკურორი: „პირობითში რადგან აქვს ჩადენილი, ვფიქრობთ, ერთადერთი შემაკავებელი გირაოს ეს ოდენობა თუ იქნება. ნაკლები [თანხა] ვერ უზრუნველყოფს მის [ბრალდებულის] სათანადო ქცევას.“

გარკვეულწილად, პროკურატურის მხრიდან გირაოს გამოყენების შუამდგომლობების დაუსაბუთებლობამ განაპირობა ის, რომ გაიზარდა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების პროცენტული მაჩვენებელი გირაოს გამოყენების თაობაზე და 28% შეადგინა. წინა საანგარიშო პერიოდში დაუსაბუთებლად გირაოს გამოყენების 12%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ როდესაც პროკურორი ითხოვდა გირაოსა და პატიმრობისაგან განსხვავებულ ალკვეთის ღონისძიებას, რიგ შემთხვევებში, საერთოდ არ ამახვილებდა ყურადღებას ალკვეთის ღონისძიების მიზნებზე, რაც ტოვებდა შთაბეჭდილებას, თითქოს ბრალდებულის სტატუსი ავტომატურად განაპირობებს რომელიმე ალკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას, რასაც სათანადო დასაბუთება არ სჭირდება.

ბრალდების მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობები და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც პროკურორმა მოითხოვა გირაოსა და პატიმრობისაგან განსხვავებული ალკვეთის ღონისძიების გამოყენება. კერძოდ, 268 ბრალდებულიდან პროკურორმა 4 (2%) ბრალდებულის მიმართ მოითხოვა გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების გამოყენება, ხოლო 3 (1%) ბრალდებულის მიმართ პირადი თავდებობის შეფარდების შუამდგომლობით მიმართა

ფინანსური შესაძლებლობების შესახებ, ხოლო, უმეტეს შემთხვევაში — აღნიშნული ინფორმაცია არ გააჩნია.

სასამართლოს. გარდა ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნისა, პროკურორმა 7 (3%) ბრალდებულის მიმართ არ მოითხოვა რაიმე კონკრეტული ღონისძიების გამოყენება და მხოლოდ წინასასამართლო სხდომის ჩანიშვნის შუამდგომლობით მიიღოდა სასამართლოს. თუმცა, პროკურორის მხრიდან აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნის დაყენებაზე უარის თქმის მიზეზი იყო ის ფაქტი, რომ 4 შემთხვევაში, ბრალდებულები სასჯელს იხდიდნენ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო ერთ შემთხვევაში – უკვე ჰქონდა შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა სხვა სისხლის სამართლის საქმეზე. სწორედ ეს იყო პროკურორის მხრიდან აღკვეთის კონკრეტული ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის მიზეზი. ზემოხსენებულისგან განსხვავებით, მხოლოდ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც პროკურორმა არ მოითხოვა არცერთი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მდებარეობითი სქესის ასაკოვანი ბრალდებულის მიმართ, ხოლო ერთ შემთხვევაში – შუამდგომლობა გაითხოვა.

აღკვეთის კონკრეტული ღონისძიების შეფარდებაზე უარის თქმის შემთხვევების გარდა, საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა პროკურორის მხრიდან უფლებამოსილების არაკეთილსინდისიერად გამოყენების პრეცედენტი.

ქვემოთ მოცემული მაგალითი აღწერს პროკურორის მხრიდან ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნის შემთხვევას მაშინ, როდესაც ბრალდებულს სხვა სისხლის სამართლის საქმეზე უკვე შეფარდებული ჰქონდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა.


ბრალდებულ ნ.რ-ის საქმე

პირს ბრალი ედებოდა თაღლითობაში. პირველი წარდგენის სხდომაზე პროკურორმა მოითხოვა პატიმრობის გამოყენება და მიუთითა მონშეებზე ზემოქმედების, დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებისა და გამოძიებისთვის ხელშეშლის საფრთხეებზე. შუამდგომლობის დაყენების შემდეგ მოსამართლემ ჰკითხა პროკურორს: „გასაგებია თქვენი დასაბუთება, ძალიან კარგი შუამდგომლობა გაქვთ. თუმცა, ერთი რამე ამიხსენით, რაც თქვენ ჩამოთვალეთ, იმ ქმედებებს როგორ ჩაიდენს პატიმრობაში მყოფი პიროვნება?“ პროკურორმა განაცხადა, რომ პატიმრობის გამოყენებით უზრუნველყოფილი იქნებოდა აღკვეთის ღონისძიების მიზნები იმ შემთხვევაში, თუ მეორე საქმეზე მოსამართლე პატიმრობას გააუქმებ-

და. ამდენად, პროკურორი წინასწარ ითხოვდა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას სამომავლო საფრთხეებზე მითითებით. საბოლოოდ, მოსამართლემ პროკურორის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა სტატისტიკურად ასახავს პროკურატურის შუამდგომლობებს 268 ბრალდებულის მიმართ.

დიაგრამა №1



რაც შეეხება სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვების საკითხს, მონიტორინგის დროს გამოვლინდა 10 (4%) შემთხვევა, როდესაც სასამართლომ, მიუხედავად პროკურორის მოთხოვნისა (1 შემთხვევაში პროკურორი ითხოვდა პატიმრობას, 1 შემთხვევაში – პირად თავდებობას, ხოლო 8 შემთხვევაში – გირაოს), ბრალდებული დატოვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე. ზემოთ ხსენებული ყველა შემთხვევა დაფიქსირდა თბილისის საქალაქო სასამართლოში.


დაცვის მხარის პოზიცია პროკურატურის შუამდგომლობებთან დაკავშირებით

გარკვეული ხარვეზებია დაცვის მხარესთან მიმართებით. სამხუხაროდ, ისევ იყო შემთხვევები, როდესაც დაცვა ფორმალურად

რად ეწინააღმდეგებოდა ბრალდების მხარის შუამდგომლობას და თავის სასარგებლოდ არც ერთი დამაჯერებელი არგუმენტი არ მოჰყავდა. დაცვის მხარე მხოლოდ მაშინ აპროტესტებდა პროკურატურის მოთხოვნებს, როდესაც ბრალდების მხარე პატიმრობის შუამდგომლობას აყენებდა. თუმცა, პროკურატურის მხრიდან გირაოს მოთხოვნის შემთხვევაში, დაცვა, ძირითადად, ეთანხმებოდა შუამდგომლობას და მხოლოდ გირაოს თანხის ოდენობის შემცირებას სთხოვდა სასამართლოს. **ცალკეულ შემთხვევებში, არსებული გარემოებები დაცვის მხარეს აძლევდა შესაძლებლობას, სასამართლოსთვის დასაბუთებულად მოეთხოვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება, ვიდრე პროკურატურა ითხოვდა, თუმცა, ამას არ აკეთებდა, რაც ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ დაცვის მხარე იყო არაეფექტური და არ იჩენდა სათანადო ძალისხმევას ბრალდებულის საუკეთესო ინტერესების დასაცავად.**

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სიტუაციას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით (2011 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით).

დიაგრამა №2



პროკურატურისა და სასამართლოების არაერთგვაროვანი მიდგომა

აღსანიშნავია, რომ, ცალკეულ შემთხვევებში, პროკურორმა ერთი და იგივე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სხვადასხვა სახის შეფარდება მოითხოვა. ასევე, განსხვავებული მიდგომები გამოიკვეთა მოსამართლეების მხრიდან აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას. რა თქმა უნდა, ბრალდების მხარესა და სასამართლოს აქვე უფლება, თუნდაც ერთი დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირების მიმართ სხვადასხვა აღკვეთის ღონისძიება მოითხოვონ და გამოიყენონ, თუკი სახეზე იქნება განსხვავებული გარემოებები, რაც მათ არაერთგვაროვან მიდგომებს განაპირობებს. თუმცა, მოცემულ შემთხვევებში, განსხვავებული გარემოებების არსებობა არ დაფიქსირებულა.

პროკურატურის განსხვავებული მიდგომების საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილია შესაბამისი მაგალითები:

პირს ბრალი ედებოდა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. პროკურორმა ბრალდებულის მიმართ მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება 5000 ლარის ოდენობით და დაასაბუთა, რომ ბრალდებულს დაუდგინდა ნარკოტიკის მოხმარების ფაქტიც, თუმცა, ნასამართლევი არ ყოფილა და მისი [ბრალდებულის] მხრიდან სხვა საფრთხეების არსებობა არ დადასტურდა.

ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით, იმავე ტიპის დანაშაულზე პროკურორმა დააყენა პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობა და არგუმენტად მხოლოდ ნარკოტიკის მოხმარების ფაქტი დაასახელა. მოცემულ შემთხვევაშიც, ბრალდებულის მხრიდან სხვა საფრთხეების არსებობაზე პროკურორს არაფერი უთქვამს და არც სასამართლო განხილვის შედეგად გამოეუწინა.

პირს ბრალი ედებოდა ედებოდა სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, პროკურორმა მოითხოვა გირაოს სახით 2000 ლარის დაკისრება და ამის დასასაბუთებლად არანაირი დამაჯერებელი არგუმენტი ან ფაქტი არ მოუშველიებია.

ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით, იმავე ტიპის დანაშაულზე პროკურორმა მოითხოვა გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების გამოყენება. მოცემულ შემთხვევაში არსებული ფაქტები, რომლებსაც ყურადღება ექცევა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას, ზემოთ ნარმოდგენილი მაგალითის იდენტური იყო.

მოსამართლეების არაერთგვაროვანი მიდგომების საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილია შესაბამისი მაგალითი:

ერთ-ერთ საქმეში, სადაც პირს ბრალი ედებოდა სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, პროკურორმა მოითხოვა გირაოს გამოყენება 10000 ლარის ოდენობით. ბრალდების მხარემ ყურადღება გაამახვილა მკაცრ სასჯელსა და მიმალვის საფრთხეზე. მოსამართლემ, ისე, რომ არ გამოუკვლევია ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობები, ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულს შეუფარდა გირაო 8000 ლარის ოდენობით.



ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით, იმავე ტიპის დანაშაულის ჩადენაში სასამართლო განსხვავებული მიდგომა გამოავლინა. კერძოდ, პროკურორმა მოითხოვა გირაოს გამოყენება 8000 ლარის ოდენობით, თუმცა, შუამდგომლობის გასამყარებლად რაიმე კონკრეტული და რელევანტური არგუმენტები არ მოუყვანია. ამ შემთხვევაში, მოსამართლემ ბრალდებულის მიმართ არ გამოიყენა არცერთი აღკვეთის ღონისძიება.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული მაგალითები ეხება თბილისის საქალაქო სასამართლოში დაფიქსირებულ შემთხვევებს. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ, ყველა შემთხვევაში,⁴³ სსკ-ის 276-ე მუხლით ბრალდებული პირების მიმართ, რელევანტური და კონკრეტული არგუმენტების არარსებობის მიუხედავად, გირაო გამოიყენა.

3. კონკრეტული აღკვეთის ღონისძიებები

3.1. გირაო

გირაო აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახეა, რომლის გამოყენების მიზანია, ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი

⁴³ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში დასწრებული აღკვეთის ღონისძიების 56 სხდომიდან, 4 მოსმენა ეხებოდა სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებს.

საქმიანობა და ხელი არ შეუშალოს მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებას. გირაოს შეფარდებისას ბრალდებული იხდის კონკრეტულ თანხას იმის სანაცვლოდ, რომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე არ დარჩეს პატიმრობაში და უზრუნველყოფილი იყოს მისი სათანადო ქცევა. გირაოს მინიმალური ოდენობა არის 1000 ლარი, ხოლო ბრალდებულს ან იმ პირს, რომელმაც გადაიხადა გირაოს თანხა ან ეკვივალენტური უძრავი ქონება ბრალდებულის სასარგებლოდ, გადახდილი თანხა სრულად უბრუნდება (გირაოს შეტანის დროს არსებული კურსის გათვალისწინებით), ან ქონებას ეხსნება ყადაღა განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში. ზემოხსენებული რეგულაცია მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულმა მასზე დაკისრებული ვალდებულება შეასრულა ზედმინევნით და გულწრფელად და მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება არ შეცვლილა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით.⁴⁴

მნიშვნელოვანია, რომ გირაოს, როგორც აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახის, გამოყენების შემთხვევაში, პროკურორმა უნდა დაასაბუთოს არა მარტო გირაოს გამოყენების აუცილებლობა, არამედ მოთხოვნილი გირაოს თანხის ოდენობაც. სასამართლომ კი, გადაწყვეტილების მიღებისას, უნდა გაითვალისწინოს სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის: ბრალდებულის პიროვნება, ფინანსური მდგომარეობა და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. სასამართლომ იმ შემთხვევაშიც უნდა მიაქციოს ყურადღება ზემოაღნიშნულ გარემოებებს, როდესაც პროკურატურა არ წარმოადგენს შესაბამის ინფორმაციას. ამასთან, დაცვის მხარეს არ აკისრია ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულება, ვინაიდან ბრალდების მხარის მოვალეობაა, დაასაბუთოს აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა და პროპორციულობა.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, ბრალდებულისათვის გირაოს დაკისრება იყოს პროპორციული და დასაბუთებული. ეს იმას ნიშნავს, რომ გირაო უნდა იყოს ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის, ასევე, სავარაუდო დანაშაულის პროპორციული და დასაბუთებული. აღნიშნული აღკვეთის ღონისძიების საკითხის გარკვევისას, უნდა მოხდეს ყველა შესაბამისი გარემოების ანალიზი, რათა მოსამართლე დარწმუნდეს, რომ ბრალდებულს აქვს შესაძლებლობა, გადაიხადოს შეფარდებული გირაო. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხდება დაკისრებული თანხის გადახდა, გირაო შეიძლება შეიცვალოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით –

⁴⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლი.

პატიმრობით. აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელი და ზედმეტად დიდი ოდენობის გირაო, ფაქტობრივად, პირის პატიმრობას შეიძლება უდრიდეს. დაუსაბუთებელი ან ზედმეტად დიდი ოდენობით გირაოს დაკისრება განსაკუთრებით მაღალი რისკის მატარებელია, როდესაც გამოყენებულია პატიმრობით უზრუნველყოფის ღონისძიება.⁴⁵ მნიშვნელოვანია ისიც, რომ გირაოს უნდა ჰქონდეს შემაკავებელი ეფექტი, კერძოდ, ბრალდებულს აღნიშნული ქონების დაკარგვა უნდა უქმნიდეს მნიშვნელოვან მატერიალურ დანაკლისს, რის გამოც შეეცდება, შეასრულოს გირაოს პირობები.⁴⁶

გარდა ეროვნული კანონმდებლობისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ გირაოს ოდენობის განსაზღვრისას უნდა შეფასდეს პირის ქონება და მისი ურთიერთობა იმ პირთან, რომელიც უზრუნველყოფს გირაოს თანხის გადახდას.⁴⁷ აგრეთვე, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, იგივე გულმოდგინება ეკისრება სახელმწიფოს, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის აუცილებლობის გადაწყვეტისას.⁴⁸

ამდენად, გირაოს მიზანშეწონილობა და საფუძვლიანობა დამოკიდებულია მისი აუცილებლობის დასაბუთებაზე.

3.1.1. გირაოს გამოყენების შემთხვევები

აღსანიშნავია, რომ ამ საანგარიშო პერიოდში გაიზარდა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების პროცენტული წილი გირაოს გამოყენების შესახებ. კერძოდ, გირაოს გამოყენების 166 (66%) შემთხვევიდან, 47 (28%) გადაწყვეტილება იყო დაუსაბუთებელი.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს შედეგებს მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის ივლისის ჩათვლით)


⁴⁵ ამის შესახებ უფრო დეტალურად ქვემოთ გვექნება საუბარი.

⁴⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, რედ: გიორგი გიორგაძე, თბილისი, 2015, გვ. 577-578.

⁴⁷ Neumeister v. Austria, no. 1936/63, §18 (27 June, 1968); Iwanczuk v. Poland, no. 25196/94, §66-70 (15 November, 2001).

⁴⁸ Iwanczuk v. Poland, no. 25196/94, §66-70 (15 November, 2001).


დიაგრამა №3



აღსანიშნავია, რომ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების პროცენტული წილი უფრო მაღალია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, ვიდრე თბილისის საქალაქო სასამართლოში.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში დაფიქსირებულ პროცენტულ მაჩვენებლებს დაუსაბუთებელ გირაოსთან დაკავშირებით.

დიაგრამა №4



ზოგჯერ, პროკურორები სათანადოდ არ ასაბუთებენ გირაოს გამოყენების აუცილებლობას და, პატიმრობასთან შედარებით, ნაკლებ ძალისხმევას იჩენენ მისი მიზანშეწონილობის დასამტკიცებლად. განსაკუთრებული პრობლემაა გირაოს ოდენობის დასაბუთების საკითხი, ვინაიდან ბრალდების მხარეს, უმრავლეს შემთხვევაში, არ ჰქონდა ინფორმაცია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მართალია, ასეთ შემთხვევებში, სასამართლო ცდილობდა, თავად ბრალდებულისგან დაედგინა მისი მატერიალური შესაძლებლობები, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველი ასეთი გამორკვევის შედეგად [სასამართლოს მიერ] მიღებული გადაწყვეტილება იყო დასაბუთებული. ასევე, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ბრალდებულს გირაო შეეფარდა მისი ქონებრივი მდგომარეობის შესწავლის გარეშე და სასამართლო საერთოდ არ დაინტერესებულა აღნიშნული საკითხით.

საია მიიჩნევს, რომ გირაო დაუსაბუთებელია, როდესაც:

- მოსამართლეები გირაოს შეფარდების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობის დაკმაყოფილების გადანყვეტილებას იღებენ პროკურატურის მხრიდან სათანადო დასაბუთების წარდგენის გარეშე, რაც უნდა ეფუძნებოდეს წარდგენილ ბრალს, ბრალდებულის პიროვნებას, მის ფინანსურ შესაძლებლობებსა და საქმისათვის მნიშვნელოვან სხვა გარემოებებს. მოსამართლეთა მხრიდან ამ გარემოებების გამოურკვევლობა კიდევ უფრო საზიანოა იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულს არ ჰყავს ადვოკატი;
- ბრალდების მხარის მოთხოვნის მიუხედავად, პატიმრობის ნაცვლად გირაოს დაკისრების შემთხვევაში, მოსამართლეები არ იკვლევენ ბრალდებულის ფინანსურ მდგომარეობას;
- მართალია, დაცვის მხარე ეთანხმება პროკურორს გირაოს გამოყენებასთან დაკავშირებით, თუმცა, თანხმობის მიუხედავად, სასამართლოს მიერ დაკისრებული გირაო მაინც დაუსაბუთებლად მიიჩნევა, ვინაიდან დაცვის მხარის თანხმობა ან სურვილი გირაოს თანხის გადახდასთან დაკავშირებით არ ამძაფრებს ან ანეიტრალებს იმ საფრთხეებს, რა მიზნითაც აღკვეთის კონკრეტული ღონისძიება გამოიყენება.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია მაგალითი:

ბრალდებულ ბ.ხ-ს საქმე

პირს ბრალი ედებოდა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით⁴⁹ გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. პირველი წარდგენის სხდომაზე პროკურორმა მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება 4000 ლარის ოდენობით. აღნიშნული მოთხოვნის დასაბუთებისას, პროკურორმა მხოლოდ დანაშაულის სპეციფიკასა და საზოგადოებრივ საშიშროებაზე მიუთითა. ასევე, ახსენა დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხე, თუმცა, ამის დამადასტურებელი არგუმენტი ან მტკიცებულება არ წარმოუდგენია. დაცვის მხარე შეეწინააღმდეგა პროკურორის მოთხოვნას და სასამართლოს პირადი თავდებობის გამოყენება შესთავაზა. დაცვამ პროცესზე წარმოადგინა ორი თავდები (ბრალდებულის ბიძები) და განმარტა, რომ ბრალდებული სტუდენტია, მწლის ასაკში მამა გარდაეცვალა, ხოლო დედა დიასახლისია და არ მუშაობას. ამ ყველაფრის ფონზე, ის {ბრალდებული} გირაოს ამ ოდენობას ვერ გადაიხდიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსამართლემ პროკურორს ჰკითხა, ფლობდა თუ არა ინფორმაციას ბრალდებულის შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, რაზეც ბრალდების მხარემ უპასუხა, რომ პირის სახელზე საჯარო რეესტრში ქონება არ ფიქსირდებოდა, თუმცა, არც სოციალურად დაუცველთა სიაში იყო შეყვანილი. სასამართლოს ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობის საკითხზე მეტად აღარ უმსჯელია. მიუხედავად პროკურორის შუამდგომლობის დაუსაბუთებლობისა და დაცვის მხარის შეთავაზებისა პირადი თავდებობის გამოყენებასთან დაკავშირებით, სასამართლომ ბრალდებულს შეუფარდა გირაო 2000 ლარის ოდენობით, პატიმრობის უზრუნველყოფით. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან სათანადოდ არ იყო გამოკვლეული ბ.ხ-ს ფინანსური შესაძლებლობები, იმის მაღალი რისკი არსებობდა, რომ ბრალდებული დარჩებოდა პატიმრობაში გირაოს თანხის გადაუხდელობის მიზეზით.

⁴⁹ ახალი ფსიქოპატიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა.

პროკურატურის შუამდგომლობები გირაოს გამოყენების თაობაზე და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

ამ საანგარიშო პერიოდში პროკურატურამ ბრალდებულთა 51%-ის მიმართ (268 ბრალდებულიდან 136-ის მიმართ) მოითხოვა გირაოს გამოყენება. წინა საანგარიშო პერიოდისაგან განსხვავებით, გირაოს მოთხოვნის პროცენტული წილი გაიზარდა და ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს პროკურატურის მხრიდან პატიმრობის მოთხოვნის პროცენტული რაოდენობის შემცირება.⁵⁰ აღსანიშნავია, რომ 136 ბრალდებულის მიმართ მოთხოვნილი გირაოდან სასამართლომ 120 (88%) შუამდგომლობა დააკმაყოფილა, ხოლო, აქედან 92 (77%) შემთხვევაში – შეამცირა გირაოს ოდენობა. **ის ფაქტი, რომ სასამართლო, უმრავლეს შემთხვევაში, ამცირებს პროკურორის მიერ მოთხოვნილ გირაოს თანხას, მეტყველებს იმაზე, რომ პროკურატურა უმეტესად არაადეკვატურად მაღალი ოდენობის თანხის გადახდას სთხოვს ბრალდებულს, რაც შეიძლება იმაზე მეტ ტვირთს აკისრებდეს პირს, ვიდრე ეს აუცილებელია უსაფრთხოების გონივრული ხარისხისათვის.**


პროკურორების მიერ ბრალდებულთა მიმართ მოთხოვნილი გირაოს მთლიანი თანხა შეადგენდა 683.500 ლარს. საბოლოოდ, სასამართლოების მიერ გირაოს შეფარდების თაობაზე ბრალდების მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შედეგად, გირაოს საერთო ოდენობა 370.000 ლარით შემცირდა და ჯამში 313.500 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება დანარჩენ 16 (12%) შემთხვევას, სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის მოთხოვნა გირაოს შეფარდების თაობაზე. აქედან 8 (50%) შემთხვევაში ბრალდებული დატოვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე, 7 (44%) შემთხვევაში შეუფარდა შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, ხოლო 1 (6%) შემთხვევაში – პირადი თავდებობა. სასამართლომ მხრიდან ალტერნატიული ღონისძიების გამოყენებისა და ბრალდებულის აღკვეთის გარეშე დატოვების ფაქტები დადებით შეფასებას იმსახურებს.

⁵⁰ ამ საანგარიშო პერიოდში, პროკურორმა 268 ბრალდებულიდან 118 (44%) ბრალდებულის მიმართ მოითხოვა პატიმრობის გამოყენება. წინა საანგარიშო პერიოდში კი, მოთხოვნილი გირაოს პროცენტული მაჩვენებელი 54%-ს შეადგენდა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში პროკურატურის მიერ მოთხოვნილ გირაოზე უფრო ნაკლები ოდენობის თანხის შეფარდების სტატისტიკურ მონაცემებს (2011 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის ივლისის ჩათვლით).

დიაგრამა №5




სასამართლოს მხრიდან პროკურატურის მიერ მოთხოვნილი გირაოს დაკმაყოფილების მაჩვენებელი კი ასე გამოიყურება: ამ საანგარიშო პერიოდში გირაო შეეფარდა ბრალდებულთა 66%-ს. წინა საანგარიშო პერიოდში კი, გირაოს გამოყენების მაჩვენებელი 55%-ს შეადგენდა. ასევე, 39% შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდება პატიმრობას მოითხოვდა, სასამართლომ ბრალდებულს გირაო შეუფარდა, თუმცა, გირაოს შეფარდების ყველა ასეთი შემთხვევა არ ყოფილა სათანადოდ დასაბუთებული.

აგრეთვე, ამ საანგარიშო პერიოდში გირაო, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოყენებული იყო იმ საქმეების 39%-ში, რომლებშიც პროკურატურამ პატიმრობა მოითხოვა (118 ბრალდებულისა და 46 ბრალდებულის მიმართ). აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი გაზრდილია წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, სადაც დაფიქსირდა გირაოს გამოყენების 29%-იანი სიხშირე პროკურორის მიერ პატიმრობის მოთხოვნის მიუხედავად.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში, პროკურორის მიერ პატიმრობის მოთხოვნის მიუხედავად, გირაოს გამოყენების სტატისტიკას (2011 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის ივლისის ჩათვლით).

დიაგრამა №6



3.1.2. გირაოს გამოყენება პატიმრობის უზრუნველყოფით, ე.წ. „საპატიმრო გირაო“

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, სასამართლო, პროკურორის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით, პატიმრობას უფარდებს ბრალდებულს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დაკავება. პატიმრობა გაგრძელდება მანამ, სანამ ბრალდებული სრულად ან ნაწილობრივ (არანაკლებ 50%) არ შეიტანს გირაოს თანხას აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე.

გამოვლენილი შედეგები

სასამართლო მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ მოსამართლემ, ყველა შემთხვევაში, ბრალდებულის მიმართ

გირაო გამოიყენა პატიმრობის უზრუნველყოფით, როდესაც ბრალდებული დაკავებული სახით წარუდგინეს სასამართლოს, პროკურორმა პატიმრობა მოითხოვა, ხოლო მოსამართლემ პროკურორის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

განსაკუთრებით შეუსაბამო და წინააღმდეგობრივია, როდესაც პროკურორის შუამდგომლობას პატიმრობის გამოყენების შესახებ მოსამართლე მიიჩნევს დაუსაბუთებლად და არასაჭირო ზომად, ბრალდებულს უფარდებს გირაოს, ვინაიდან აღნიშნული უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს, თუმცა, მიმართავს პატიმრობით უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც, გირაოს გადაუხდელობის შემთხვევაში, შესაძლოა ბრალდებულის პატიმრობაში დატოვების საბაზად იქცეს.

აგრეთვე, როდესაც სასამართლო ბრალდებულს უფარდებს გირაოს პატიმრობის უზრუნველყოფით, მსჯელობს მხოლოდ გირაოს, როგორც ძირითადი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო პატიმრობას უფარდებს ზემოხსენებული ნორმის მშრალი მითითების საფუძველზე და არ ასაბუთებს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას.⁵¹

გასათვალისწინებელია ისიც, რომ „საპატიმრო გირაოს“ გამოყენების შემთხვევებში, ბრალდებულები უფრო არასახარბიელო, არათანასწორ მდგომარეობაში არიან, ვიდრე ჩვეულებრივი გირაოს გამოყენების პირობებში.

კანონმდებლობის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული ვერ გადაიხდის გირაოს თანხას, პროკურორმა შუამდგომლობით უნდა მიმართოს სასამართლოს და დაასაბუთოს ბრალდებულის მიმართ უფრო მკაცრი ღონისძიების – პატიმრობის გამოყენების მიზანშეწონილობა. ასეთ შემთხვევაში, პროკურორი და სასამართლო ვალდებულები არიან, გამოარკვიონ, თანხის გადაუხდელობა გამოწვეულია წინასწარგანზრახული და შეგნებული ქმედებით, თუ ადგილი აქვს ობიექტურ გარემოებას, რომელიც მიაჩნდება გადახდის შეუძლებლობაზე.⁵² მეორე შემთხვევაში კი, როდესაც გამოყენებულია გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით, გირაოს თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, ბრალდებულის მიმართ

⁵¹ „საპატიმრო გირაოს“ გამოყენების ნაკლოვანება ასევე კარგად ჩანს სასამართლოს განჩინებებში, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

⁵² თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 08/01/2015, №1გ/19.

პატიმრობა ავტომატურად გრძელდება და დღის წესრიგში აღარ დგება აღნიშნული ღონისძიების გადასინჯვისა და განხილვის საკითხი. შესაბამისად, პირი პატიმრობაში რჩება ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. აღნიშნული რეგულაცია არ შეესაბამება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია, რომ ალტერნატიული ზომების პირობების დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს შესაბამისი სანქციების გამოყენება, მაგრამ არ უნდა მოხდეს პირის ავტომატური დაპატიმრება. ამ შემთხვევაში, პატიმრობით შეცვლას განსაკუთრებული დასაბუთება სჭირდება.⁵³

ამდენად, ორი ერთი და იგივე სახის აღკვეთის ღონისძიების პირობების დარღვევა სხვადასხვა სამართლებრივ შედეგს იწვევს, რაც ბრალდებულებს უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს. ეს უკანასკნელი შემთხვევა მიუთითებს, რომ ასეთ დროს გირაოს გამოყენებას აქვს ფორმალური ხასიათი, რასაც კანონმდებლობის ნაკლოვანება განაპირობებს.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილია მაგალითი:

წინასასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა ბრალდებულ ნ.კ-ის მიმართ შეფარდებული გირაოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით – პატიმრობით შეცვლის თაობაზე. მოტივად დასახელდა ის გარემოება, რომ ბრალდებულმა განსაზღვრულ ვადაში ვერ უზრუნველყო გირაოს თანხის გადახდა, რის გამოც დაირღვა მისი [გირაოს] გამოყენების პირობები. მოსამართლემ განიხილა აღნიშნული საკითხი, არ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და განმარტა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა მხოლოდ გირაოს თანხის გადაუხდელობას და ბრალდებულის მხრიდან სხვა სახის საფრთხეები არ მომდინარეობდა. მოსამართლემ იქვე განმარტა, რომ ქონებრივი მდგომარეობა არ უნდა გახდეს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საფუძველი, მითუმეტეს, როდესაც არ არის წარმოდგენილი იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ბრალდებულს გააჩნია ქონება და ის ჯიუტად არიდებს თავს გირაოს გადახდას.

⁵³ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისადმი წინასწარი პატიმრობის გამოყენების, მისი განხორციელების პირობებისა და ძალადობის საწინააღმდეგო ზომების შესახებ, 27 სექტემბერი, 2006, 12.

აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს შეფარდებული ექნებოდა გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით, გირაოს თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, პატიმრობა ავტომატურად გაგრძელდებოდა და მოსამართლე აღარ იმსჯელებდა თანხის გადაუხდელობის მიზეზებსა და აღკვეთის ღონისძიების შეცვლის მიზანშეწონილობაზე.

ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ იმსჯელოს, ერთი მხრივ, პატიმრობით უზრუნველყოფის ღონისძიების აუცილებლობაზე და, მეორე მხრივ, „საპატიმრო გირაოს“ გამოყენების დროს გირაოს გადაუხდელობის შემთხვევაში, იმ მიზეზებზე, რატომ ვერ მოახერხა პირმა გირაოს თანხის გადახდა და განიხილოს მისი პატიმრობაში დატოვების მიზანშეწონილობა. აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების ერთ-ერთი გზა კი საკანონმდებლო ცვლილებებია.

3.2. პატიმრობა

პატიმრობა წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთას. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების აღნიშნული ზომის გამოყენება, ბრალდების საბოლოო დამტკიცებამდე, პიროვნების თავისუფლების უფლებასთან კავშირში უნდა განიხილებოდეს, რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა.

თავისუფლების უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების მიხედვით, ბრალდებულის დაპატიმრების საფუძველი, ბრალის საბოლოო დამტკიცებამდე, არის: ა) პირის მიმალვის საფრთხე; ბ) მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელშემშლის საფრთხე; გ) ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება. პატიმრობის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა საშუალებები არაეფექტურია. ზემოთ ჩამოთვლილი საფრთხეების არსებობა აღქმადი, დამაჯერებელი და რელევანტური გარემოებებით უნდა იყოს დამონშეზღუდული. ხოლო, აღნიშნულის მტკიცების ტვირთი ყოველთვის ბრალდების მხარესაა. **პროკურორმა მაქსიმალურად უნდა წარმოაჩინოს ფაქტები და ინფორმაცია, რომლებიც ობიექტურ დამკვირვებელს აღკვეთის ღონისძიების გამოსაყენებლად საკმარისი საფუძვლების არსებობაში დაარწმუნებს.**

ამასთან, უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას, ანუ მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა არსებობდეს საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების გარკვეული საფუძველი, აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს კონკრეტული შემთხვევის თითოეული გარემოება. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნა შესაძლებელია გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ჭეშმარიტი საჯარო ინტერესის სპეციალური ნიშნები, რომლებიც უდანაშაულობის პრეზუმფციის მიუხედავად, გადანონის პიროვნების თავისუფლების მოთხოვნებს.⁵⁴ აგრეთვე, წინასწარი პატიმრობა, ყველა შემთხვევაში, უნდა იყოს გონივრული და აუცილებელი.⁵⁵

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია ყურადღებას ამახვილებს პატიმრობის შეფარდების მიზანშეწონილობაზე და მას უდანაშაულობის პრეზუმფციის კონტექსტში განიხილავს. რეკომენდაციის მიხედვით, პატიმრობა გამოყენებული უნდა იყოს საგამონაკლისო ღონისძიების სახით. ასევე, ის [პატიმრობა] არ უნდა იყოს სავალდებულო ხასიათის და არ უნდა ემსახურებოდეს დასჯის მიზანს.⁵⁶

იმისათვის, რომ ევროსაბჭოს რეკომენდაცია პრაქტიკაში მოქმედებდეს, აუცილებელია პროპორციულობის დაცვა, რაც აკისრია როგორც შუამდგომლობის წარმდგენ ორგანოს, ისე სასამართლოს.

3.2.1. პატიმრობის გამოყენების შემთხვევები

ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესებულია პატიმრობის დასაბუთების ნაწილში როგორც პროკურატურის, ისე სასამართლოს მხრიდან. წინა საანგარიშო პერიოდისაგან განსხვავებით, მცირედით შემცირდა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების პროცენტული მაჩვენებელი და 10% შეადგინა. კერძოდ, პატიმრობის შესახებ მიღებული 71 გადაწყვეტილებიდან 7 ბრალდებულის მიმართ

⁵⁴ *Labita v. Italy*, no. 26772/95, §152 (6 April, 2000).

⁵⁵ *Pacuria v. Georgia*, no. 30779/04, §62-65 (6 November, 2007).


⁵⁶ Recommendation No.R (80)11 of the Committee of Ministers of the Council of Europe concerning Custody Pending Trial.

გამოყენებული ღონისძიება იყო დაუსაბუთებელი და ზედმეტად მკაცრი.

აღსანიშნავია, რომ ბრალდების მხარე უფრო მეტად ცდილობდა შუამდგომლობების დასაბუთებას პატიმრობის გამოყენების თაობაზე. დაფიქსირდა, ცალკეული შემთხვევები, როდესაც პროკურორებს საკუთარი არგუმენტები კარგად ჰქონდათ გამყარებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებით. თუმცა, მიუხედავად ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში, ბრალდების მხარის მოთხოვნა პატიმრობის გამოყენების თაობაზე იყო ცალსახად დაუსაბუთებელი და მხოლოდ გარემოებებზე აბსტრაქტული მითითებებით შემოიფარგლებოდა. მართალია, ასეთ დროს მოსამართლე არ აკმაყოფილებდა შუამდგომლობას, თუმცა, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც პროკურატურის არასაკმარისი დასაბუთებისა და გარემოებების სათანადოდ შეუფასებლობის ფონზე სასამართლომ მაინც გამოიყენა პატიმრობა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მონიტორინგის მთელი პერიოდის შედეგებს

დიაგრამა №7



აღსანიშნავია, რომ ამ საანგარიშო პერიოდში პროკურატურამ პატიმრობის გამოყენება მოითხოვა ბრალდებულების ნახევარზე ნაკლებს – 268 ბრალდებულიდან 118-ის – მიმართ. თუმცა, პრობლემები კვლავ რჩება პატიმრობის გამოყენების სფეროში და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების 10% ცალსახად დაუსაბუთებელია.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილია მაგალითი:

„ცენტრ-პოინტის“ გახმაურებულ საქმეზე დაუსაბუთებელი იყო სალომე ჩარკვიანის მიმართ გამოყენებული პატიმრობა.

სალომე ჩარკვიანს ბრალი ედებოდა სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით⁵⁷ გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ბრალდების მხარემ მის მიმართ მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება და მიუთითა მოწმეებზე ზემოქმედებისა და მიმალვის საფრთხეზე, თუმცა, შუამდგომლობა არცერთი დამაჯერებელი არგუმენტით არ გაუმყარებია. ასევე აღნიშნა, რომ ბრალდებულს 23-ჯერ აქვს გადაკვეთილი საზღვარი და გურამ რჩეულიშვილი⁵⁸ რადგან მიმალვაშია, შეიძლება სალომე ჩარკვიანიც გაექცეს მართლმსაჯულებას. ამის საპასუხოდ, დაცვის მხარემ განმარტა, რომ 2006 წლის შემდეგ მას არანაირი შეხება აღარ აქვს სამშენებლო კომპანიასთან. სალომე ჩარკვიანს დაკითხვისას უთხრეს, რომ შესაძლებელი იყო, დაეკავებინათ, თუმცა, მას მიმალვა ან გამოძიებისათვის ხელის შეშლა არ უცდია. ის [ბრალდებული] თავის საცხოვრებელ ბინაში დააკავეს. ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე, დაცვამ მოითხოვა პირადი თავდებობის გამოყენება და, ალტერნატივის სახით, შესთავაზა გირაოს გადახდა 20 000 ლარის ოდენობით.

ამის მიუხედავად, სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, პატიმრობა შეუფარდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებული ხშირად კვეთდა სახელმწიფო საზღვარს, მიმალვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად ყოველთვის არ არის აუცილებელი პატიმრობის გამოყენება, ვინაიდან აღნიშნული მიზნის მიღწევა შესაძლებელია ბრალდებულისთვის საქართველოს ეროვნული პასპორტის ან სამგზავრო დოკუმენტის ჩამორთმევით.⁵⁹ მეტიც, მოცემულ შემთხვევაში, ბრალდებულის მხრიდან არ დაფიქსირებულა საზღვრის არალეგალურად გადაკვეთის ფაქტები, რაც კიდევ უფრო ამყარებს ვარაუდს, რომ სამგზავრო დოკუმენტების ჩამ-

⁵⁷ მითვისება ან გაფლანგვა წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ და დიდი ოდენობით.

⁵⁸ „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.


⁵⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, რედ: გიორგი გიორგაძე, თბლისი, 2015, გვ. 595.

ორთმევა შეძლებდა მიმალვის საფრთხის ნეიტრალიზაციას. საიას აზრით, სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება სრულებით საკმარისი იქნებოდა ბრალდებულის სათანადო ქცევის უზრუნველსაყოფად.


პირველი წარდგენის სხდომაზე 268 ბრალდებულიდან პროკურატურამ პატიმრობა 118 (44%) შემთხვევაში მოითხოვა. აქედან, სასამართლომ ბრალდების მხარის შუამდგომლობა 71 (60%) შემთხვევაში დააკმაყოფილა. დანარჩენი 47 (40%) ბრალდებულის მიმართ, 46 შემთხვევაში, სასამართლომ გამოიყენა გირაო და მხოლოდ ერთ შემთხვევაში პირი დატოვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე, ვინაიდან მას სხვა სისხლის სამართლის საქმეზე ჰქონდა შეფარდებული პატიმრობა. ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ დაფიქსირებულა არცერთი შემთხვევა, როდესაც პროკურორმა პატიმრობა მოითხოვა და სასამართლომ გირაოს გარდა სხვა ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიება გამოიყენა.

ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა ასახავს ამ მიმართულებით მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში გამოვლენილ შედეგებს (2011 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის ივლისის ჩათვლით)

დიაგრამა №8



დიაგრამა №9



აღსანიშნავია, რომ წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, შემცირდა სასამართლოს მიერ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობების დაკმაყოფილების პროცენტული წილი. თუ წინა საანგარიშო პერიოდში სასამართლოს მხრიდან ბრალდების მხარის მოთხოვნების დაკმაყოფილების მაჩვენებელი 69%-ს შეადგენდა, ამ საანგარიშო პერიოდში ეს ციფრი 60%-მდე შემცირდა.

3.2.2. პატიმრობის პერიოდულად გადასინჯვა მოსამართლის ინიციატივით

2015 წლის 8 ივლისს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელდა ცვლილებები პატიმრობის პერიოდულად გადასინჯვის პროცედურასთან დაკავშირებით. ცვლილებების მიხედვით, სასამართლო ვალდებულია, პირველივე წინასასამართლო სხდომაზე, თუ პირს პატიმრობა აქვს შეფარდებული, საკუთარი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა, მხარე დააყენებს თუ არა შუამდგომლობას შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ.⁶⁰ აგრეთვე, იმ შემ-

⁶⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

თხვევაში, თუ მოსამართლე წინასასამართლო სხდომაზე ძალაში დატოვებს პატიმრობას, ამის შემდეგ ვალდებულია [სასამართლო], თავისი ინიციატივით ორ თვეში ერთხელ მაინც განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი.⁶¹

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოებმა გარკვეული პერიოდულობით უნდა გადახედონ იმ პირების საქმეებს, რომლებსაც პატიმრობა აქვთ შეფარდებული და უზრუნველყონ მათი გათავისუფლება სათანადო საფუძვლების არსებობისას.⁶² ამასთან, ეროვნულმა სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, შეიცვალა თუ არა ვითარება, რომელთა გამოც თავდაპირველად დაპატიმრების გადაწყვეტილება მიიღეს.

მონიტორინგის შედეგები

წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, ამ საანგარიშო პერიოდში სასამართლოებმა დაიწყეს ზემოხსენებული ნორმების პრაქტიკული გამოყენება და დაფიქსირდა ცალკეული შემთხვევები, როდესაც მოსამართლემ პატიმრობა გააუქმა და შეცვალა სხვა აღკვეთის ღონისძიებით.⁶³ ყველა ზემოხსენებულ გარემოებას ადგილი ჰქონდა წინასასამართლო სხდომებზე,⁶⁴ თუმცა, არსებითი განხილვის ფარგლებში შემონმე-ბული პატიმრობის ყველა შემთხვევა ძალაში დარჩა.

ამდენად, უმრავლეს შემთხვევაში, მოსამართლემ გადასინჯუ-

⁶¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი და 230¹-ე მუხლი.

⁶² *I.A. v. France*, no. 1/1998/904/1116, §111 (23 september, 1998).

⁶³ წინასასამართლო განხილვებზე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა-შეფარდებულ 4 ბრალდებულს შეეცვალა აღკვეთის ღონისძიება. კერძოდ, ერთ შემთხვევაში, პატიმრობა გაუქმდა, ვინაიდან ბრალდებულს სხვა სისხლის სამართლის საქმეზე სასჯელი დაეკისრა, ერთ შემთხვევაში, გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება შეეფარდა, ხოლო 2 შემთხვევაში - პატიმრობის თავდებობით ჩანაცვლება მოხდა.

⁶⁴ **საინტერესოა აღვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის საქმე.** მართალია, ამ საქმის წინასასამართლო განხილვა არ მომხდარა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (2016 წლის თებერვლიდან 2016 წლის ივლისის ჩათვლით), თუმცა, ვინაიდან ჩვენ ვაკვირდებით გახმაურებულ პროცესებსაც, ამ საქმის სასამართლო განხილვების მონიტორინგიც განვახორციელებთ. აღსანიშნავია, რომ წინასასამართლო განხილვაზე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა შეეცვალა გირაოთი 10 000 ლარის ოდენობით.

ლი პატიმრობა ძალაში დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ შეგვისწავლია, რამდენად სწორად მოიქცა სასამართლო, არსებული სტატისტიკა ბაძებს ეჭვებს, რომ მოსამართლეები ფორმალურად განიხილავენ პატიმრობის პერიოდულად გადასინჯვის საკითხს. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ პატიმრობის გადასინჯვის პროცედურასთან მიმართებით დაფიქსირდა მოსამართლეთა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება. კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში, მოსამართლე, გადანყვეტილების მიღებაამდე, მხარეებისგან ისმენდა დასაბუთებას პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხთან დაკავშირებით, ხოლო სხვა შემთხვევებში, მოსამართლე არ ეკითხებოდა მხარეებს მოსაზრებას და დამოუკიდებლად წყვეტდა აღნიშნულ საკითხს, რაც ასევე ძალიან ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

აღსანიშნავია, რომ წინასასამართლო სხდომებზე დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ დაარღვია კანონის ფორმალური მოთხოვნები. კერძოდ, პატიმრობის გადასინჯვის პროცედურის განსახორციელებლად მოიშველია არა კანონის ის ნორმა, რომელიც წინასასამართლო განხილვის ფარგლებში ავალდებულებს მოსამართლეს პატიმრობის გადასინჯვას, არამედ შემდგომი პროცედურის დამდგენი რეგულაცია.⁶⁵

საია იმედოვნებს, რომ მომავალში მოსამართლეები უფრო მეტი ყურადღებით მიუდგებიან ამ საკითხს, დეტალურად გამოიკვლევინ არსებულ ვითარებას და პატიმრობის ძალაში დატოვების საფუძვლებს, რადგან პატიმრობის ვადის გახანგრძლივება უფრო მყარ და რელევანტურ არგუმენტებს მოითხოვს მის გასამართლებლად.

4. დაკავების კანონიერების შემოწმება სასამართლოების მიერ

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დაკავების ორ წესს იცნობს: პირის დაკავებას მოსამართლის წინასწარი ნებართვით ან გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით – სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში.

⁶⁵ წინასასამართლო განხილვაზე პატიმრობის გადასინჯვას მოსამართლეს ავალდებულებს სსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, სასამართლო იყენებდა 230¹-ე მუხლს, რომელიც ყოველ ორ თვეში ერთხელ პატიმრობის შემოწმების ვალდებულებას განსაზღვრავს.

პირის დაკავების თაობაზე წინასწარი ნებართვის მისაღებად პროკურორი შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს, რომელიც ზეპირი მოსმენის გარეშე გამოსცემს შესაბამის განჩინებას. აღნიშნული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.⁶⁶ ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პირის დაკავების კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა, პირის დაკავება ხდება მოსამართლის ნებართვის გარეშე და პირველი წარდგენის სხდომაზე სასამართლომ უნდა შეამოწმოს როგორც დაკავების კანონიერება, ისე გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში განხორციელებული დაკავების საფუძვლიანობა.⁶⁷

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დაკავების კანონიერების გასაჩივრების რაიმე სპეციალურ მექანიზმს, ამიტომ პირველი წარდგენის სხდომის ერთ-ერთ დანიშნულებას წარმოადგენს დაკავების კანონიერების შემოწმება სასამართლოების მიერ. აღნიშნული ვალდებულება მოსამართლეს გააჩნია იმისდა მიუხედავად, მხარე სადავოდ ხდის თუ არა ამ საკითხს. მნიშვნელოვანია, რომ პირველი წარდგენის სხდომაზე შემოწმდეს როგორც მოსამართლის წინასწარი ნებართვით, ისე გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით განხორციელებული დაკავების დეტალები. ეს სამართლებრივი მექანიზმი ემსახურება სამართალდამცავი უწყებების მხრიდან თვითნებური გადაწყვეტილების მიღების რისკების მინიმუმამდე შემცირებას.⁶⁸ **განსაკუთრებით მაღალი რისკის შემცველია შემთხვევა, როდესაც პირის დაკავება ხდება მოსამართლის წინასწარი ნებართვით, ვინაიდან დაცვის მხარეს არ ეძლევა შესაძლებლობა, დღის წესრიგში დააყენოს მოსამართლის მიერ გაცემული განჩინებისა და დაკავების კანონიერების საკითხი და საკუთარი მოსაზრება დააფიქსიროს. თუ დავუშვებთ, რომ მოსამართლემ დაკავების განჩინება არასწორად გასცა, ხოლო პირველი წარდგენის სხდომაზე არ მოხდება მისი განხილვა, შესაძლოა, ასეთი დაკავების გამო, პირის მიმართ უფრო შემზღვეველი ღონისძიებები იყოს გამოყენებული.**⁶⁹ იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ დაცვის მხარისათვის

⁶⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 171-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁶⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 171-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები.

⁶⁸ ნიპარიშვილი ბ., პატიმრობა, როგორც გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის საშუალება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2016, №2, 53.

⁶⁹ მაგალითად, პირის დაკავება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მის მიმართ გამოყენებული იყოს გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით.

გარკვეული ინფორმაცია არ გახდეს ცნობილი, ისე როგორც ეს გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებაში პირის დაკავების დროს ხდება, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს დაცვის მხარის აღნიშნული უფლების შეზღუდვის იმგვარად დაბალანსება, რომ მას ხელი მიუწვდებოდეს დაკავების კანონიერების გადასინჯვის ეფექტიან საშუალებაზე.⁷⁰ დაკავების საკითხის განხილვა უნდა აკმაყოფილებდეს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის მოთხოვნებს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ მოსამართლეები ვალდებული არიან, შეამოწმონ არა მხოლოდ დაკავების შესაბამისობა ეროვნული კანონმდებლობის პროცედურულ წესებთან, არამედ, ასევე, დაკავების მიზნის კანონიერება და იმ ეჭვის საფუძვლიანობა, რომელიც პირის დაკავების მიზეზი გახდა.⁷¹

მონიტორინგის შედეგები

სასამართლო მონიტორინგმა აჩვენა, რომ უმრავლეს შემთხვევაში სასამართლოები თავს არიდებენ დაკავების კანონიერების განხილვასა და შეფასებას და, ძირითადად, შემოიფარგლებიან აღკვეთის ღონისძიების საკითხის განწყვეტით.

ის ფაქტი, რომ სასამართლოები არ ამოწმებენ დაკავების კანონიერებას, გარკვეულწილად, განპირობებულია საკანონმდებლო ნაკლოვანებითაც.

კანონმდებლობაში არ არის მკაფიო და ცალსახა მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლის ნებართვით ან გადაუდებელი აუცილებლობით პირის დაკავების კანონიერების საკითხი შემდგომ განხილვას უნდა საჭიროებდეს. შესაბამისად, აუცილებელია, აღნიშნული ვალდებულება ნათლად გაიწეროს კანონმდებლობაში

სასამართლოების ასეთი მიდგომა სამართალდამცავების მხრიდან ამკარა თვითნებობის რისკს აღძრავს. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ პირის დაკავებიდან 48 საათის განმავლობაში, ვიდრე ბრალდებული პირველად წარედგინება სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობა არ გვთავაზობს პირის დაკავების

⁷⁰ A. and Others v. UK, February 19, 2009, §202-224.

⁷¹ *Nikolaishvili v Georgia*, no.37048/04, §92 (13 January, 2009); *Brogan and others v the UK*, no. 11386/85, §65 (29 November, 1988); *Navarra v. France*, no. 13190/87, §28 (23 November, 1993).

კანონიერების შეფასების სხვა მექანიზმს.⁷²

მოსამართლის მხრიდან დაკავების კანონიერების შეფასება ასევე მნიშვნელოვანია დაკავებული პირის მიერ უკანონო ან/და დაუსაბუთებელი საპროცესო მოქმედების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სათანადოდ განხორციელებისთვის.⁷³ თუმცა, ეს უფლება, დაკავების აუცილებლობასა და კანონიერებაზე რეალური სასამართლო კონტროლის განხორციელების გარეშე, პრაქტიკულად, ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, პირველი წარდგენის სხდომაზე, 268 ბრალდებულიდან, 125 (47%) სასამართლოში გამოცხადდა დაკავებულის სტატუსით. ვინაიდან, უმრავლეს – 112 (90%) შემთხვევაში, სასამართლომ საერთოდ არ განიხილა დაკავების კანონიერება და მხარეებსაც არ უხსენებიათ აღნიშნული საკითხი, ჩვენთვის უცნობი იყო, რა წესის გამოყენებით მოხდა პირის დაკავება – მოსამართლის წინასწარი ნებართვით თუ გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით.

თუმცა, მხარეთა განმარტებებიდან გამომდინარე დავადგინეთ, რომ დანარჩენი 13 (10%) შემთხვევიდან 3 შემთხვევაში არსებობდა მოსამართლის განჩინება პირის დაკავების თაობაზე, თუმცა, პირველი წარდგენის სხდომაზე არ მომხდარა მისი კანონიერების განხილვა; ხოლო 10 შემთხვევაში პირი დააკავეს გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით. აქედან, 3 შემთხვევაში მოსამართლემ დაკავება კანონიერად ცნო, ხოლო 6 შემთხვევაში საერთოდ არ განიხილა ეს საკითხი. აგრეთვე, **ამ საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა მხოლოდ ერთი შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ მიზანშეუწონლად და არასწორად მიიჩნია პირის დაკავება გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებაში და ბრალდებული სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა.**

ბრალდებულ გ.ო-ის საქმე

ეს მაგალითი აღწერს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით განხორციელებული დაკავების კანონიერების განხილვისა და სასამართლო კონტროლის ჯეროვანად განხორციელების შემთხვევას.

⁷² ბოხაშვილი, ბ., მშვენიერაძე, გ., ყანდაშვილი, ი., ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, თბილისი, 2016, 19.

⁷³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 176-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

პირს ბრალი ედებოდა ქურდობის ჩადენაში. პირველი წარდგენის სხდომაზე მოსამართლემ ბრალდების მხარეს ჰკითხა, თუ რამ წარმოშვა გადაუდებელი აუცილებლობით პირის დაკავების აუცილებლობა. თუმცა, დამაჯერებელი და რელევანტური პასუხების მიუღებლობის შემდეგ, მოსამართლემ დაკავება უკანონოდ ცნო, არ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა პატიმრობის გამოყენების თაობაზე, ბრალდებულს შეუფარდა გირაო, ვინაიდან არსებობდა ამის გამოყენების საფუძვლები და გაათავისუფლა სხდომის დარბაზიდან.

საია მიესალმება მსგავს პრეცედენტებს და იმედს გამოთქვამს, რომ მომავალში მოსამართლეები უფრო ხშირად გამოიყენებენ ამ შესაძლებლობას და განიხილავენ დაკავების კანონიერებასა და მიზანშეწონილობას.

5. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთებულობის ხარისხი სასამართლო განჩინებების მიხედვით

სასამართლო პროცესებზე დაკვირვების გარდა, საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლისა და სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის სტანდარტების შეფასების მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოვითხოვეთ განჩინებები სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

განჩინებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასამართლო ძირითადად ორი სახის აღკვეთის ღონისძიებას – გირაოსა და პატიმრობას იყენებს. თუმცა, გამოვლინდა სხვა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევებიც 5 ბრალდებულის მიმართ.⁷⁴ ასევე, დაფიქსირდა ერთი შემთხვევა, როდესაც, მიუხედავად პროკურორის მიერ გირაოს მოთხოვნისა, მოსამართლემ ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა.

უნდა აღინიშნოს, რომ მდგომარეობა გაუმჯობესებულია აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების დას-

⁷⁴ 2 ბრალდებულის მიმართ სასამართლომ გამოიყენა შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, ხოლო 3 ბრალდებულის მიმართ - პირადი თავდებობა.

აბუთებულობასთან დაკავშირებით, თუმცა, მნიშვნელოვანი ხარვეზები და პრობლემებია გირაოს გამოყენების ნაწილში.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგჯერ, გადანყვეტილებებში თანაბარი ყურადღება არ ეთმობა დაცვის მხარის არგუმენტებს. სასამართლო ავითარებს პროკურატურის მსჯელობას და დაცვის მხარესთან მიმართებით მხოლოდ მის პოზიციას აფიქსირებს – ეთანხმება თუ არა პროკურორის შუამდგომლობას. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა შემთხვევაში, როდესაც მოსამართლემ გამოიყენა გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით, ბრალდებულის პატიმრობაში დატოვების ვადად განსაზღვრა გირაოს თანხის სრული ოდენობით დაფარვა, მაშინ როდესაც კანონმდებლობა გირაოს თანხის არანაკლებ ნახევრის გადახდის შემთხვევაშიც ითვალისწინებს პატიმრობიდან მის გათავისუფლებას.⁷⁵ ამასთან, „საპატიმრო გირაოს“ გამოყენება ხდება სათანადო დასაბუთებისა და არგუმენტაციის გარეშე, რასაც შესაძლოა კანონმდებლობის მოუწესრიგებლობა განაპირობებდეს.

გარდა ამისა, ზოგჯერ, განჩინებებში შეინიშნება ასეთი ტენდენცია: როდესაც სასამართლო არ აკმაყოფილებს პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობას და ბრალდებულს გირაოს უფარდებს, უფრო მეტ ყურადღებასა და მსჯელობას უთმობს პატიმრობის შეფარდების არამართებულობას და არა – გირაოს გამოყენების აუცილებლობასა და საჭიროებას.

სასამართლო გადანყვეტილებებით გამოვლინდა ინდივიდუალური შემთხვევებიც, როდესაც სასამართლომ არ გაითვალისწინა ცალკეული საქმეებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა.

ქვემოთ მოცემული მაგალითი აღწერს ოჯახური დანაშაულისათვის ბრალდებული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას საფრთხეების სათანადო შეფასების გარეშე.


პირს ბრალი ედებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის მიმართ სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების მუქარაში. განჩინების მიხედვით, ბრალდებული სისტემატურად ემუქრებოდა დაზარალებულს თავის სახელზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღის მანიპულირებით. ასევე, ბრალდებული მეუღლეს ემუქრებოდა, რომ ამ ფაქტის პოლიციისთვის შეტყობინების შემთხვევაში, მოკლავ-

⁷⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილი.

და არა მხოლოდ მას, არამედ მის დედასაც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბრალდებული ხშირად ძალადობდა მეუღლეზე, როგორც ფიზიკურად, ასე მორალურად, რაც შემდგომ მუქარაში გადაიზარდა. ასევე, ბრალდებულის მიმართ გამოცემული იყო შემაკავებელი ორდერიც. პროკურორმა მოითხოვა გირაოს სახით 4000 ლარის გამოყენება, თუმცა, სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, ბრალდებულს შეუფარდა პირადი თავდებობა და მისი ქცევის გაკონტროლება დააჯალა ორ ადამიანს. აღსანიშნავია, რომ არც პროკურორის მიერ მოთხოვნილი და არც სასამართლოს მიერ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება ადეკვატურად არ აფასებს იმ საფრთხეებს, რომლებიც მოცემულ შემთხვევაში არსებობდა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს განჩინებების შესწავლის შედეგად გამოვლენილ სიტუაციას აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

დიაგრამა №10



50 განჩინების⁷⁶ შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები:

- სასამართლო გადაწყვეტილებების ნაწილი კვლავ შაბლონური და დაუსაბუთებელია;
- სასამართლო არ მსჯელობს ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობაზე;
- განჩინებების აბსოლუტურ უმრავლესობაში პროკურორი არ ასაბუთებს გირაოს ოდენობას.

დაუსაბუთებელი და შაბლონური გადაწყვეტილებები

წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, კვლავ პრობლემად რჩება სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის საკითხი. შესწავლილი 50 განჩინებიდან 14 (28%) განჩინება⁷⁷ იყო ცალსახად დაუსაბუთებელი. **ეს განსაკუთრებით ეხება სასამართლოს მიდგომებს გირაოს შეფარდებისა და მისი ოდენობის თაობაზე.**

სასამართლო აბსტრაქტულად და დეკლარირებულად უთითებდა აღკვეთის ღონისძიების მიზნებზე და სათანადოდ არ ახსენებდა/აფასებდა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. განჩინებები უმეტესად ეყრდნობოდა სტერეოტიპულ ფორმულირებებს და უხვად შეიცავდა საკანონმდებლო ტერმინებსა და ნორმებს. სასამართლოს არ მოჰყავდა დამაჯერებელი და რეალური არგუმენტები, რატომ შეექმნებოდა საფრთხე საზოგადოებრივ წესრიგს ბრალდებულის მიმართ კონკრეტული სახის ღონისძიების გამოუყენებლობის შემთხვევაში. გადაწყვეტილებების შაბლონურობა უმეტესად გამოწვეული იყო კონკრეტულ საქმეში არსებული რელევანტური ფაქტების მითითების სიმწირით და იმის დასაბუთების ნაკლებობით, რატომ ამართლებდა ეს ფაქტები კონკრეტული სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას.

⁷⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოვითხოვეთ სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებები პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, რომლებიც **გამოტანილი იყო 2016 წლის 10 და 21 მარტს, 15 და 29 აპრილსა და 5, 20 და 25 მაისს.** შედეგად, სასამართლოსგან მივიღეთ 50 განჩინება. საიას 2016 წლის 19 ივლისის №გ-04/334-16 განცხადება და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის ივლისის №1-01232/14771 წერილი.

⁷⁷ 14 გადაწყვეტილება გამოტანილი იყო 18 ბრალდებულთან დაკავშირებით, სადაც სასამართლომ 17 შემთხვევაში გამოიყენა გირაო, ხოლო 1 შემთხვევაში – პატიმრობა.

განჩინებების შაბლონურ ხასიათს ხაზს უსვამს ის ფაქტიც, რომ რამდენიმე გადაწყვეტილებაში შეინიშნება იდენტური ფრაზებისა და წინადადებების გამოყენება. მაგალითად, სხვადასხვა მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში მითითებულია შემდეგი: „სასამართლო აღნიშნავს, რომ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება წარმოადგენს შემაკავებელი ხასიათის იძულებით საპროცესო ღონისძიებას და არა იმის მტკიცებას, რომ *ქრალდებულმა* ჩაიდინა დანაშაული.“

სასამართლო გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა გარკვეულწილად განპირობებულია იმით, რომ ზოგჯერ პროკურორებსაც არ ჰქონდათ რელევანტური არგუმენტები კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოსაყენებლად. ცალკეულ შემთხვევებში, მიუხედავად იმისა, რომ არცერთი დასაბუთებული გარემოებით არ ყოფილა გამყარებული პროკურორის მიერ დასახელებული ვარაუდები, მოსამართლემ შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ არგუმენტაცია არ უნდა იყოს აბსტრაქტული და ყველა გარემოების მხედველობაში მიღების გარეშე განხილული. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს სათანადო და საკმარის არგუმენტაციას და უნდა ეხებოდეს მოცემული საქმის სპეციფიკას.

ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მსჯელობის სიმწირე

განჩინებების საერთო პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ სასამართლოები არ მსჯელობენ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობაზე, რაც კანონით დადგენილ ვალდებულებას წარმოადგენს.⁷⁸ ამ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლოები მხოლოდ ერთი წინადადებით შემოიფარგლებიან და უთითებენ, რომ „ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს საქართველოს სსსკ-ის 198-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას.“

აღნიშნული ადასტურებს, რომ სასამართლოები ფორმალურად უდგებიან ზემოხსენებულ საკითხს. მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ საკანონმდებლო ნორმისა და ზოგადი განმარტების

⁷⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილები.

მოშველიების გარდა, მოსამართლეებმა განავითარონ მსჯელობა ამ მიმართულებით და განჩინებებში მიუთითონ ის კონკრეტული გარემოებები, რომლებიც ბრალდებულის მიმართ უფრო შეღავათიანი ღონისძიების გამოყენებას გამორიცხავს.

პროკურორები არ ასაბუთებენ გირაოს თანხის ოდენობას

გადაწყვეტილებების კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს პროკურატურის მხრიდან გირაოს თანხის ოდენობის დაუსაბუთებლობა. განსაკუთრებით საგანგაშო და შემამოფოთებელია ის ფაქტი, რომ ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილი გირაოს ოდენობა მთლიანად ემყარება მხოლოდ ქმედების სიმძიმეს, ბრალდებულის პიროვნებას და არა – მის მატერიალურ შესაძლებლობებს. შესწავლილი განჩინებები ცხადყოფს, რომ პროკურორები ყოველთვის ისე შუამდგომლობენ სასამართლოში აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს, მათ შორის ძალიან მაღალი თანხის, გამოყენებას, რომ არ აქვთ ინფორმაცია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ქვემოთ მოცემულია მაგალითი პროკურორის მხრიდან დაუსაბუთებლად მაღალი ოდენობის გირაოს თანხის მოთხოვნასთან დაკავშირებით:

პირს ბრალი ედებოდა სსკ-ის 214-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილება-სთან დაკავშირებული წესის დარღვევას ითვალისწინებს. პროკურორმა ბრალდებულის მიმართ მოითხოვა გირაოს გამოყენება 15 000 ლარის ოდენობით და დაასაბუთა მხოლოდ სასჯელის სიმძიმით და საზღვარგარეთ გადაადგილების შესაძლებლობებით. ასევე განმარტა, რომ ბრალდებულს გააჩნია ფინანსური შესაძლებლობა, გადაიხადოს გირაოს აღნიშნული ოდენობა, თუმცა, ამის დამადასტურებელი რაიმე კონკრეტული არგუმენტი ან მტკიცებულება არ წამოუდგენია. ამ შემთხვევაში, სასამართლომ სრულად გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია ბრალდებულის ქონებრივ შესაძლებლობებთან დაკავშირებით და პროკურორის მიერ მოთხოვნილი გირაოს თანხა შეამცირა 1000 ლარამდე.

დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ, მართალია, პროკურორი არ ასაბუთებდა გირაოს ოდენობას, თუმცა, ზოგჯერ სა-

სამართლო თავად ცდილობდა, ბრალდებულისგან მოესმინა დამაჯერებელი არგუმენტები გირაო თანხასთან დაკავშირებით და არკვევდა მის მატერიალურ თუ ფინანსურ შესაძლებლობებს. რამდენიმე განჩინებაში მოსამართლემ აღნიშნა, რომ ბრალდების მხარემ ვერ შეძლო მოთხოვნილი გირაოს ოდენობის დასაბუთება, არ წარმოადგინა ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება და არ შეისწავლა პირის მატერიალური მდგომარეობა.

თუმცა, ამის საპირისპიროდ, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მოსამართლემ სათანადოდ არ შეაფასა ბრალდებულის რეალური ქონებრივი შესაძლებლობები და დიდი ოდენობით გირაოს გადახდა დააკისრა.

აღსანიშნავია, რომ გირაოს ოდენობის დაუსაბუთებლობა და ბრალდებულის მატერიალური შესაძლებლობების არასათანადო შეფასება განსაკუთრებით სახიფათო და მაღალი რისკის შემცველია, როდესაც ადგილი აქვს გირაოს პატიმრობით უზრუნველყოფას, ვინაიდან, მისი გადაუხდელობის შემთხვევაში, პირი შეიძლება განგრძობად პატიმრობას დაექვემდებაროს.

ქვემოთ მოცემული შემთხვევა ნათლად წარმოაჩენს პატიმრობით უზრუნველყოფილი გირაოს თანხის დაკისრების პრობლემატიკას ბრალდებულის ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინების გარეშე.

პირს ბრალი ედებოდა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. პროკურორმა ბრალდებულის მიმართ მოითხოვა პატიმრობით უზრუნველყოფილი გირაოს შეფარდება 10 000 ლარის ოდენობით, თუმცა, რაიმე მტკიცებულება ან არგუმენტი თანხის ოდენობასთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია. სასამართლომ გამოარკვია, რომ ბრალდებული არის სტუდენტი, წარსულში არ არის ნასამართლევნი, მისი ოჯახი აფხაზეთიდან დევნილია და საკუთრებაში რაიმე ქონება არ გააჩნია, ასევე, ბრალდებულის მამა არის უგზო-უკვლოდ დაკარგული და ოჯახის ერთადერთ შემოსავალს წარმოადგენს დედის ხელფასი, რომელიც ყოველდღიურად შეადგენს საშუალოდ ხუთ ლარს. თუმცა, სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ზემოხსენებული გარემოებები და ბრალდებულს შეუფარდა გირაო 3000 ლარის ოდენობით, პატიმრობის უზრუნველყოფით.

III. წინასასამართლო სხდომების ანალიზი

1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა

წინასასამართლო სხდომაზე სასამართლო არკვევს იმ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს, რომლებიც ძირითად სხდომაზე განიხილება. ეს ეტაპი უკიდურესად მნიშვნელოვანია, რადგან მხოლოდ დასაშვებ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოაქვს მოსამართლეს განაჩენი საქმის არსებითი განხილვის შედეგად. გარდა ამისა, ამ ეტაპზევე მიიღება გადაწყვეტილება, სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდეს, თუ საქმის განხილვა არსებითად გაგრძელდეს.⁷⁹ აღსანიშნავია, რომ დევნის შეწყვეტის საფუძველი არა მხოლოდ არასაკმარისი მტკიცებულებები, არამედ საპროცესო კანონის არსებითი დარღვევაც.

სასამართლოს გადაწყვეტილება წინასასამართლო სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობის მიმართ უნდა იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი ორივე მხარის მიმართ. ბრალდებულის უფლებას მიუკერძოებელ სამართალწარმოებაზე აღიარებს საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი და გარანტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

მიუხედავად იმისა, რომ წინასასამართლო სხდომები, როგორც წესი, ეხება მტკიცებულებათა დასაშვებობას, მხარეებს ასევე შეუძლიათ, დააყენონ სხვა სახის შუამდგომლობებიც.

2. მონიტორინგის შედეგები

წინასასამართლო მოსმენებზე მოსამართლეთა არაობიექტურობის ან რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოების შემთხვევა არ გამოვლენილა. სასამართლოები თანაბრად აკმაყოფილებდნენ როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარის შუამდგომლობებს მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე. ამასთან, შემცირებულია დაცვის მხარის აქტიურობა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის მსჯელობის ნაწილში, ხოლო გაზრდილია – დაცვის მხარის მტკიცებულებების დასაშვებობის მოთხოვნასთან მიმართებით. აგრეთვე, მართალია,

⁷⁹ სასამართლომ უნდა შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ ის ალბათობის მაღალი ხარისხით დაადგენს, რომ პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა.

წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, არ გამოვლენილა სისხლისსამართლებრივი დევნის სრულად შეწყვეტისა და საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემაზე უარის თქმის ფაქტები, თუმცა, დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ დევნა შეწყვიტა ცალკეულ ბრალდებასთან მიმართებით.

მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხის გადანყვეტა

ამ საანგარიშო პერიოდში საია დაესწრო 146 წინასასამართლო განხილვას, რომლებიც, წინა პერიოდების მსგავსად, ძირითადად ისევ რუტინულად მიმდინარეობდა. სასამართლოები, როგორც წესი, ეთანხმებოდნენ პროკურატურის შუამდგომლობას მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ, თუმცა, ასეთივე თანხმობა არსებობდა დაცვის მხარესთან მიმართებით და სასამართლო მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ მათ მიერ წარდგენილ შუამდგომლობებს სრულად ან ნაწილობრივ აკმაყოფილებდა. **ამ საანგარიშო პერიოდში არ გამოვლენილა ბრალდების ან დაცვის მხარის შუამდგომლობის სრულად დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევები.**

146 წინასასამართლო სხდომიდან 6 სხდომა გადაიდო მანამ, სანამ მხარეები დააყენებდნენ შუამდგომლობას, 1 სხდომა კი დაიხურა.

დანარჩენი 139 სხდომიდან, პროკურორმა 138 (99%) შემთხვევაში დააყენა შუამდგომლობა მტკიცებულების დასაშვებობის შესახებ, ხოლო 1 (1%) შემთხვევაში ბრალდების მხარეს არ წარუდგენია შუამდგომლობა მტკიცებულების დასაშვებობის თაობაზე, ვინაიდან წინა სხდომაზე გაიმართა მტკიცებულებათა დასაშვებობის პროცედურა. აქედან, სასამართლომ 134 (97%) შემთხვევაში სრულად დააკმაყოფილა პროკურორის ყველა შუამდგომლობა წარმოდგენილი მტკიცებულების დასაშვებობის შესახებ, 3 (2%) შემთხვევაში კი – ნაწილობრივ. 1 (1%) შემთხვევაში მოსამართლეს გადანყვეტილება არ მიუღია იმავე სხდომაზე და სხდომა გადაიდო მანამ, სანამ მოსამართლე გამოიტანდა შესაბამის გადანყვეტილებას.

დაცვის მხარის პოზიცია პროკურატურის შუამდგომლობებთან დაკავშირებით:


- 1 (1%) შემთხვევაში სრულად შეენიანაღმდეგა;
- 10 (7%) შემთხვევაში ნაწილობრივ დაუჭირა მხარი;
- დანარჩენ 127 (92%) შემთხვევაში დაცვის მხარეს არ გაუწევია წინააღმდეგობა პროკურორის შუამდგომლობისათვის და სრულად დაეთანხმა მტკიცებულებების დასაშვებად ცნობას.

წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, 14%-დან 8%-მდე შემცირდა დაცვის მხარის აქტიურობა, კერძოდ, დაცვის წინააღმდეგობა პროკურორის შუამდგომლობებზე.

რაც შეეხება დაცვის მხარის მიერ წარდგენილ შუამდგომლობებს, ამ საანგარიშო პერიოდში დაცვამ, სადაც ეს შესაძლებელი იყო,⁸⁰ მხოლოდ 42 (31%) წინასასამართლო სხდომაზე წარადგინა შუამდგომლობა მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე. მათ შორის, სასამართლომ ყველა შუამდგომლობა დააკმაყოფილა, კერძოდ, 40 (95%) შუამდგომლობა დააკმაყოფილდა სრულად, ხოლო 2 (5%) – ნაწილობრივ. აღსანიშნავია, რომ მტკიცებულებების დასაშვებობის მოთხოვნის ნაწილში დაცვის მხარე, წინა პერიოდთან შედარებით, გააქტიურებულია და ეს მაჩვენებელი 24%-დან 31%-მდეა გაზრდილი.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ამ საანგარიშო პერიოდში სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობასთან დაკავშირებით.

⁸⁰ ვინაიდან, 146 სხდომიდან 6 სხდომა გადაიდო, ერთი დაიხურა, ერთ სხდომაზე საერთოდ არ მოხდა მტკიცებულებათა დასაშვებობის პროცედურის ჩატარება, ხოლო ერთ სხდომაზე მხოლოდ ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი იქნა განხილული და შემდეგ სხდომა გადაიდო, დაცვის მხარეს შესაძლებლობა ჰქონდა, 137 წინასასამართლო სხდომაზე ესარგებლა მტკიცებულების დასაშვებობის პროცედურით.



სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებისა და საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის მიზანშეწონილობის განხილვა

ამ საანგარიშო პერიოდში სისხლისსამართლებრივი დევნის სრულად შეწყვეტისა და საქმის არსებით განხილვაზე უარის თქმის პრეცედენტი არ დაფიქსირებულა, თუმცა, გამოვლინდა 3 შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ დევნა შეწყვიტა ცალკეულ ბრალდებებთან მიმართებით.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილია მაგალითი: ბრალდებულ ს.პ-ის საქმე

პირს ბრალი ედებოდა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა განსაკუთრებით დიდი ოდენობით) და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა განსაკუთრებით დიდი ოდენობით) გათვალის-

წინებული დანაშაულების ჩადენაში. მოსამართლემ წინასასამართლო განხილვის ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტა სსკ-ის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით, ვინაიდან, საქმის მასალებიდან გამომდინარე, არ არსებობდა მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით დაარწმუნებდა სასამართლოს ს.პ-ის ბრალეულობაში. თუმცა, მიუხედავად ამისა, მოსამართლემ საქმე გადასცა არსებითად განსახილველად სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდების ნაწილში.

აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ მოსამართლემ, ერთ შემთხვევაში, საქმე დაუბრუნა პროკურორს ბრალდებულის მიმართ განრიდების გაფორმების მიზნით. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, სასამართლო უფლებამოსილია, განრიდების გამოსაყენებლად საკუთარი ინიციატივით ან მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, საქმე დაუბრუნოს პროკურორს, რომელიც არასრულწლოვან ბრალდებულს განრიდებას შესთავაზებს და, მისი თანხმობის შემთხვევაში, მიიღებს გადაწყვეტილებას განრიდების გაფორმების შესახებ.⁸¹ აღნიშნული რეგულაცია ვრცელდება აგრეთვე 18-დან 21 წლამდე ასაკის პირზე, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული.⁸²

აღნიშნული შემთხვევა წარმოადგენს პირის საუკეთესო ინტერესების სასარგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებას, რაც დადებით შეფასებას იმსახურებს.

⁸¹ საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

⁸² საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილი.

IV. გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების კანონიერების შემოწმება სასამართლოების მიერ

1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა

ჩხრეკა და ამოღება წარმოადგენს პირის პირადი ცხოვრების უფლებაში მასშტაბურ ჩარევას, რომლის საფუძველზეც ხდება საქმისათვის მნიშვნელოვანი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა საშუალების მოძებნა, ამოღება და საქმეზე მისი გამოყენება. აღნიშნულის გამო, კანონმდებლობის მიხედვით, ჩხრეკა და ამოღება, ძირითად შემთხვევებში, ტარდება სასამართლოს წინასწარი ნებართვით. თუმცა, როდესაც არსებობს ისეთი უკიდურესი ვითარება, რომ ჩხრეკის ან ამოღების დაწყების თუნდაც მცირე ხნით დაყოვნებამ შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, შესაძლებელია, აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდეს სასამართლოს ნებართვის გარეშე, პროკურორის ან გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე.⁸³

იმავედროულად, კანონმდებლობა განსაზღვრავს ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების განსხვავებულ წესს, როდესაც ადგილი აქვს მესაკუთრის, თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობას. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება ჩატარდეს სასამართლოს ნებართვის გარეშე.⁸⁴

მნიშვნელოვანია, რომ ბრალდების ორგანოებმა ჩხრეკის ან ამოღების განხორციელებამდე, ყველა შესაძლო შემთხვევაში, გამოიყენონ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ძირითადი წესი და მიმართონ სასამართლოს ნებართვის მისაღებად. მხოლოდ გამონაკლის, საგანგებო სიტუაციებში უნდა განახორციელონ ზემოთ ხსენებული საგამოძიებო მოქმედება სასამართლოს განჩინების გარეშე, როდესაც დაყოვნება საფრთხეს უქმნის ჩხრეკის ან ამოღების შედეგებს.⁸⁵ ამასთან, პროკურორმა უნდა დაასაბუთოს, რატომ არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება. **მხოლოდ ჰიპოთეტური მოსაზრებები ან პირის კრიმინალური წარსული, თუ საქმესთან კავშირის არ-**

⁸³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის 1-ლი და მე- ნაწილები.

⁸⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁸⁵ შვაბე, ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011, 238.

მქონე ვარაუდები არ არის საკმარისი, რომ მათზე დაყრდნობით გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება დასაბუთდეს.

ბრალდების მხარის გარდა, კანონმდებლობა სასამართლოსაც ავალდებულებს, აბსტრაქტული მითითებების ნაცვლად, შეამოწმოს, არსებობდა თუ არა გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება და ჰქონდათ თუ არა ბრალდების ორგანოებს უფლება, მოსამართლის წინასწარი ნებართვის გარეშე დაეწყოთ საგამოძიებო მოქმედება. დასაბუთების ვალდებულება ვრცელდება არა მხოლოდ განაჩენზე, არამედ სასამართლოს ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე,⁸⁶ მათ შორის, ჩხრეკისა და ამოღების შესახებ მიღებულ განჩინებებზე.

გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების პრაქტიკის შესწავლის მიზნით, საიამ გააანალიზა გამოძიების პროცესში განხორციელებული ჩხრეკისა და ამოღების დაკანონების შემთხვევები, რომლებიც გამოვლინდა წინასასამართლო სხდომებზე და ჩატარდა მოსამართლის წინასწარი ნებართვის გარეშე. აგრეთვე, ჩხრეკისა და ამოღების შესახებ მიღებული განჩინებების დასაბუთების შესაფასებლად, გამოვითხოვეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხებოდა გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ჩატარებული ზემოხსენებული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერების საკითხს.

2. მონიტორინგის შედეგები

წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღებისა და მათი კანონიერად ცნობის პროცენტული მაჩვენებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ წინასასამართლო სხდომებზე ყოველთვის ვერ ხდებოდა იმის იდენტიფიცირება, რა პროცედურის გამოყენებით განხორციელდა ჩხრეკა და ამოღება. თუმცა, პროცესებზე გამოვლენილი აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების 43 შემთხვევიდან⁸⁷ მხოლოდ 2 (5%) ჩატარდა სასამართლოს წინასწარი ნებართვით, ხოლო 41 (95%) – გადაუდებელი


⁸⁶ ტრექსელი, შ., „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, თბილისი, 2009, 126.

⁸⁷ ზოგიერთ სისხლის სამართლის საქმეზე ჩხრეკისა და ამოღების რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა.

აუცილებლობის მოტივით, რომლის კანონიერად ცნობაც მოხდა სასამართლოს მიერ.⁸⁸ წინა საანგარიშო პერიოდში გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული და სასამართლოს მიერ დაკანონებული ჩხრეკისა და ამოღების 81%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გამოვლენილ სიტუაციას ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებასთან დაკავშირებით.

დიაგრამა №12



⁸⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებული მონაცემებიც ცხადყოფს, რომ, უმრავლეს შემთხვევაში, ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება ხდება გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით. კერძოდ, 2016 წლის თებერვლიდან 2016 წლის ივლისის ჩათვლით არსებული მონაცემების გათვალისწინებით, ჩხრეკა და ამოღება წინასწარი ნებართვით ჩატარდა 364 (21%) შემთხვევაში, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით – 1370 (79%) შემთხვევაში, რომელთაგან სასამართლომ კანონიერად ცნო 70%. საიას 2016 წლის 10 აგვისტოს №გ-04/342-16 განცხადება და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 15 აგვისტოს №16041 წერილი. ასევე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში არსებული მონაცემები აჩვენებს, რომ 2016 წლის თებერვლიდან 2016 წლის ივლისის ჩათვლით, ჩხრეკა და ამოღება წინასწარი ნებართვით ჩატარდა 35 (32%) შემთხვევაში, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით – 74 (68%) შემთხვევაში, რომელთაგან სასამართლომ კანონიერად ცნო 99%. საიას 2016 წლის 15 სექტემბრის №გ-04/376-16 განცხადება და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 23 სექტემბრის №19551 წერილი.


ვინაიდან ჩხრეკა და ამოღება არის ინდივიდის პირადი ცხოვრების შემზღვეველი ღონისძიება, სამართალდამცავმა ორგანოებმა ამ ღონისძიების ჩატარებამდე შესაბამისი ზომები უნდა განახორციელონ. მართალია, შეუძლებელი იყო პროკურორის შუამდგომლობების შინაარსობრივი მხარისა და ინდივიდუალური შემთხვევების შესწავლა,⁸⁹ თუმცა, ის ფაქტი, რომ ბრალდების ორგანოებმა მხოლოდ 2 (5%) შემთხვევაში მიმართეს სასამართლოს წინასწარი ნებართვის მისაღებად, აჩენს კითხვის ნიშნებს ინდივიდის პირადი ცხოვრების უფლების მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულებასა და საპროცესო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით.

ასევე, შეუძლებელი იყო იმის გარკვევა, იყო თუ არა გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების შემდგომი დაკანონება სასამართლოს მხრიდან დასაბუთებული, ვინაიდან ისინი, ძირითადად, არ განიხილება ზეპირი მოსმენით.⁹⁰ თუმცა, ის ფაქტი, რომ საგამოძიებო მოქმედებების 95% მხოლოდ ჩატარების შემდეგ დაკანონდა, წარმოშობს ეჭვებს, რომ სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლოები არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც, მათ არ უნდა ჩაატარონ ან კანონიერად ცნონ საგამოძიებო მოქმედება, რომელიც არ არის სათანადოდ არგუმენტირებული და ტარდება გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების კანონიერად ცნობასთან დაკავშირებით გამოვლენილ სიტუაციას მონიტორინგის იმ პერიოდების განმავლობაში, რომლებშიც საია აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების სიხშირეს აკვირდებოდა.

⁸⁹ საქართველოს მთავარი პროკურატურიდან საიამ გამოითხოვა პროკურორის შუამდგომლობები, რომლებიც ეხებოდა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების კანონიერად ცნობის მოთხოვნას, 2016 წლის 12 აგვისტოს №გ-04/344-14 წერილი. მთავარი პროკურატურის 2016 წლის 18 აგვისტოს №13/54230 წერილით უარი გვითხრეს აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებასა და ინფორმაციის გადმოცემაზე.

⁹⁰ პროცესების მიღმა, სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა საიამ შეისწავლა მათი გამოთხოვნისა და გაანალიზების გზით, რაზეც უფრო დეტალურად ქვემოთ იქნება საუბარი.



3. სასამართლო განჩინებების ანალიზი

გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების პრაქტიკაში მისი შემდგომი განხილვის პროცედურის უფრო სიღრმისეულად შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სასამართლოს განჩინებები ჩხრეკისა და ამოღების კანონიერების განხილვის შესახებ არ არის სათანადოდ დასაბუთებული, ხშირად შაბლონურია და ცალკეულ შემთხვევებში მიღებული გადაწყვეტილება არ შეესაბამება კანონის ფორმალურ მოთხოვნებს.

ჩხრეკისა და ამოღების კანონიერების საკითხის განხილვის შესახებ სასამართლოს 46 განჩინების შესწავლის შედეგად, საიამ კვლავ დააფიქსირა მოტივირებული (დასაბუთებული) გადაწყვეტილების უფლების აშკარა დარღვევა:

46⁹¹ განჩინების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი

⁹¹ საიამ თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოითხოვა სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებები გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების კანონიერების განხილვასთან დაკავშირებით, რომლებიც **გამოტანილი იყო 2016 წლის 10 და 21 მარტს, 15 და 29 აპრილსა და 5, 20 და 25 მაისს.** შედეგად, ორგანიზაციამ სასამართლოსგან მიიღო 50 განჩინება, თუმცა,

ძირითადი პრობლემები:

1. გადაწყვეტილებების შაბლონურობა;
2. ფაქტების სიმწირე და ინდივიდუალურ გარემოებებზე მსჯელობის ნაკლებობა;
3. სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეუსაბამობა საკანონმდებლო ნორმებთან;
4. საერთო სასამართლოების არაერთგვაროვანი მიდგომა ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებაზე მესაკუთრის/მფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობის არსებობის შემთხვევაში.

ზოგადი სურათის აღწერისათვის მნიშვნელოვანია ითქვას, რომ შესწავლილი 46 განჩინებიდან 18 (39%) შემთხვევაში მოსამართლემ უარი უთხრა პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. თუმცა, ყველა შემთხვევაში, უარის თქმის მიზეზი იყო ის ფაქტი, რომ შესაბამისი საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა მესაკუთრის, მფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობით და სასამართლოს განმარტებით, ასეთი შემთხვევა აღარ საჭიროებდა არც სასამართლოს წინასწარ ნებართვას და არც შემდგომ კონტროლს. დანარჩენ ყველა შემთხვევაში – 28 (61%) განჩინებაში – სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა.

შესწავლილ არცერთ განჩინებაში ადგილი არ ჰქონია პროკურორის მიერ დაყენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას იმ მოტივით, რომ გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა და ამოღება არ იყო კანონიერი ან არ არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება.

გადაწყვეტილებების შაბლონურობა და ინდივიდუალურ/ფაქტობრივ გარემოებებზე მსჯელობის ნაკლებობა

სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული განჩინებების მთავარ პრობლემას წარმოადგენს ინდივიდუალური და ფაქტობრივი გარემოებების სიმწირე და მხოლოდ საკანონმდებლო ნორმებზე

აქედან 2 განჩინება ეხებოდა ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებაზე წინასწარ ნებართვის გაცემას, ხოლო 2 გადაწყვეტილება – სხვა სახის საგამოძიებო მოქმედების ჩატარების კანონიერების შემოწმებას, რაც არ ყოფილა საიას მოთხოვნისა და ინტერესის საგანი. საიას 2016 წლის 19 ივლისის №გ-04/334-16 განცხადება და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის ივლისის №1-01232/14771 წერილი.

მითითება ყოველგვარი დასაბუთებისა და კონკრეტულ საქმესთან რელევანტურობის მტკიცების გარეშე. განჩინებებში მხოლოდ შაბლონურად, აბსტრაქტულად არის მითითებული ჩხრეკისა და ამოღების გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ჩატარების საფუძვლები და წინაპირობები, თუმცა, არ არის აღწერილი ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც შეიძლებოდა წარმოეშვა დასაბუთებული ვარაუდი მოსამართლის წინასწარი ნებართვის გარეშე აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად.

სასამართლო განჩინებებში აღნიშნულია, რომ „ჩხრეკის დაყოვნებას შეეძლო გამოეწვია გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება და, შესაბამისად, აღნიშნული მონაცემების მოპოვების შეუძლებლობა, რის გამოც არსებობდა მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარების სსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.“ თუმცა, სასამართლო არ საუბრობს დაყოვნების შემთხვევაში მოსალოდნელ კონკრეტულ საფრთხეებზე და არც გადაუდებელი აუცილებლობის ფაქტობრივ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩხრეკისა და ამოღების უმრავლესობა გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ტარდება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გამოკვლევა და შეფასება, თუ რამდენად ეფექტურია ასეთ შემთხვევაში შემდგომი სასამართლო კონტროლი.

აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეული საქმე არის განსხვავებული და ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება, თუმცა, ერთი და იგივე მოსამართლის მიერ მიღებულ სხვადასხვა განჩინებაში განსხვავება მხოლოდ თარიღებსა და პერსონალურ მონაცემებში ვლინდება, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს განჩინებების დასაბუთებულობასა და ხარისხს. უფრო მეტიც, სხვადასხვა მოსამართლის მიერ მიღებულ განჩინებებში ფიქსირდება იდენტური ფრაზების გამოყენების პრეცედენტები. გადანყვეტილების შაბლონურობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ერთ-ერთ განჩინებაში მოსამართლეს სწორად არ ჰქონდა გამოყენებული საკანონმდებლო ნორმის ჩანაწერი და „დაკავების ოქმის“ ნაცვლად მითითებული ჰქონდა „ჩხრეკის ოქმი.“

იმავედროულად, მნიშვნელოვანია, რომ ამოღებისაგან განსხვავებით ჩხრეკა უფრო მეტად ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. ამიტომ მოსამართლე ერთნაირი საზომითა და სტანდარტით ვერ მიუდგება ჩხრეკისა და ამოღების შესახებ წარდგენილი შუამდგომ-

ლობების განხილვას. მიუხედავად ამისა, საიას მიერ შესწავლილ განჩინებებში სასამართლო ერთნაირი სტანდარტით აფასებს ჩხრეკისა და ამოღების შუამდგომლობებს.

სასამართლოების მიერ მიღებული განჩინებების შეუსაბამობა საკანონმდებლო ნორმებთან

ძირითად შემთხვევებში, შესწავლილი განჩინებები აკმაყოფილებდა კანონმდებლობის ფორმალურ მოთხოვნებსა და სტანდარტებს, თუ არ ჩავთვლით გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ნაწილს. თუმცა, მიუხედავად ამისა, გამოვლინდა რამდენიმე ხარვეზი:

- 3 განჩინებაში მოსამართლეს არ ჰქონდა მითითებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და პროცედურა, რასაც სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლის მე-8 ნაწილი და ამავე კოდექსის 207-ე მუხლი ითვალისწინებს;
- აგრეთვე, მოსამართლემ ყველა განჩინებაში, სადაც არსებობდა მესაკუთრის, მფლობელისა ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა, აღნიშნა, რომ პროკურორს უარი უნდა ეთქვას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

მნიშვნელოვანია, რომ სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული ისეთი საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შემოწმების შემდეგ, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, სასამართლოს გამოაქვს ერთ-ერთი განჩინება:

- ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ;
- ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ.

ამდენად, კანონმდებლობა საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შემოწმებისას სასამართლოს სხვა გადაწყვეტილების მიღების უფლებას არ აძლევს და, შესაბამისად, სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა აირჩიოს ამ ორიდან ერთ-ერთი ალტერნატივა.

ჩვენ მიერ შესწავლილ განჩინებებში, სადაც საუბარია მესაკუთრის, მფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობაზე,

სასამართლო უარს ეუბნება პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რაც არ შეესაბამება ზემოთ აღნიშნულ საკანონმდებლო ნორმებს.

სასამართლოს განჩინებებში ვკითხულობთ, რომ „პროკურორის უარი ეთქვას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.“ აღნიშნული გადაწყვეტილება არ წარმოადგენს სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-6 ნაწილში მითითებულ გადაწყვეტილებათა არცერთ სახეს, ვინაიდან მოსამართლე შუამდგომლობის განხილვისას, ზემოხსენებული განჩინებების ორი შესაძლო ვარიანტის გარდა, სხვა სახის გადაწყვეტილებას ვერ გამოიტანს. აღნიშნული ნორმა არ უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ სასამართლომ ასეთ დროს თავის გადაწყვეტილებას მისცეს სხვაგვარი ფორმულირება.⁹²

მართალია, ეს ხარვეზები არ წარმოადგენს არსებით დარღვევას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს პირის უფლების მასშტაბური შეზღუდვა, თუმცა, თითოეული მათგანი აკნინებს სასამართლო გადაწყვეტილებების მაღალ სტანდარტს და უარყოფითად აისახება მართლმსაჯულების ხარისხზე.

საერთო სასამართლოების არაერთგვაროვანი მიდგომა ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებაზე მესაკუთრის/მფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობის არსებობის შემთხვევაში

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ისეთი საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს განჩინებით. თუმცა, თანამემესაკუთრის, თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობის შემთხვევაში, შესაბამისი საგამოძიებო მოქმედება შესაძლებელია ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშე. კანონმდებლობა არაფერს ამბობს ისეთ შემთხვევებზე, როდესაც მესაკუთრე, მფლობელი ან კომუნიკაციის ერთი მხარე გამოხატავს თანხმობას ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებაზე, საჭიროა თუ არა ასეთ ვითარებაში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შემდგომი განხილვა სასამართლოს მიერ.

სწორედ კანონმდებლობის ასეთი მოუწესრიგებლობა და ბუნ-

⁹² თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 14/07/2016, №1გ/1193.

დოვანება განაპირობებს არაერთგვაროვან პრაქტიკას საერთო სასამართლოებში.

შესწავლილი განჩინებებიდან 18 (39%) შემთხვევაში მოსამართლემ ბრალდების მხარეს უარი უთხრა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ არსებობდა მესაკუთრის, მფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე. განსახილველ შემთხვევაში, მოსამართლემ კანონიერად ან უკანონოდ კი არ ცნო ჩხრეკა ან ამოღება, არამედ მიიჩნია, რომ ეს საკითხი აღარ ექვემდებარებოდა მის განხილვას ზემოთ ხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე.

განჩინებებში აღნიშნულია, რომ „კომუნიკაციის ერთ-ერთი მხარის თანხმობით უკვე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების – ჩხრეკის კანონიერების შემოწმებას სისხლის სამართლის საპროცესო კანონი არ ითვალისწინებს.“

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საერთო სასამართლოებში არ არსებობს ერთიანი მიდგომა და უზენაესი და სააპელაციო სასამართლოების პრაქტიკა განსხვავდება პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებული ვითარებისგან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილების მიხედვით, გადაუდებელი აუცილებლობის გამო ბინასა თუ სხვა კერძო მფლობელობაში ჩატარებული ჩხრეკა და ამოღება (რომელიც ჩატარდა თუნდაც მესაკუთრის ან კანონიერი მფლობელის თანხმობით) და ამის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების კანონიერება უნდა შეამოწმოს სასამართლომ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე.⁹³ იმავე მიდგომას იზიარებს საქართველოს სააპელაციო სასამართლო, რომელიც განმარტავს, რომ აუცილებელია სასამართლო კონტროლის განხორციელება მესაკუთრის, მფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის ნებართვის მიუხედავად.⁹⁴

როგორც ვხედავთ, მიუხედავად უზენაესი და სააპელაციო სასამართლოს მიდგომებისა, თბილისის საქალაქო სასამართ-

⁹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილება, 19/05/2016, №2კ-609აპ.-16.

⁹⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება, 22/07/2016, №1გ/1239-16; თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება, 14/07/2016, №1გ/1193; თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება, 14/07/2016, №1გ/1197.

ლოში, რომლებიც გამოტანილია როგორც ზემოხსენებული გადაწყვეტილებების მიღებამდე, ისე განჩინებების გამოტანის შემდეგ, ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული განმარტება გამოიყენება.

V. საპროცესო შეთანხმების განხილვასა და დამტკიცებასთან დაკავშირებული მიდგომა

1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა

საპროცესო შეთანხმება სამართალწარმოების დაჩქარებული სახეა, რომლის თანახმადაც, ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორის სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებასა ან ნაწილობრივ მოხსნაზე.

2014 წლის 24 ივლისს, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, გაუქმდა საპროცესო შეთანხმება სასჯელზე, რაც ნიშნავს იმას, რომ ბრალის აღიარების გარეშე საპროცესო შეთანხმების დადება შეუძლებელი გახდა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის თანახმად, თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი და თუკი მოსამართლე მიიღებს დამარწმუნებელ პასუხებს, რომ პროკურორის მიერ მოთხოვნილი სასჯელი არის კანონიერი და სამართლიანი, მას გამოაქვს გადაწყვეტილება საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე.

იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სასჯელის სამართლიანობა, მოსამართლემ უნდა განიხილოს არსებული გარემოებები, ბრალდებულის ინდივიდუალური მახასიათებლები, დანაშაულის ჩადენის გარემოებები და შეთანხმებული სასჯელი. კანონი არ აკონკრეტებს, თუ როგორ უნდა მოხდეს სასჯელის სამართლიანობის უზრუნველყოფა, თუმცა, სასჯელის შეფარდების ზოგადი პრინციპების მიხედვით, შესაძლებელია აღნიშნული კრიტერიუმის დასაბუთება. მაგალითად, ჯარიმის შეფარდებისას მოსამართლეს შეუძლია გამოარკვიოს: როგორია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა; შეუძლია თუ არა მას ჯარიმის გადახდა; არის თუ არა ჯარიმის თანხა მიყენებული ზიანის შესაბამისი; გარემოებები, რომლებშიც დანაშაული იყო ჩადენილი და მოსალოდნელი სასჯელის ზომა. გარდა ამისა,

მოსამართლეს შეუძლია, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, ცვლილებები შეიტანოს საპროცესო შეთანხმებაში. კერძოდ, კანონის თანახმად, თუკი მოსამართლე მიიჩნევს, რომ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობს, ან დაადგენს, რომ საპროცესო შეთანხმება არ აკმაყოფილებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს, მას შეუძლია მხარეებს შესთავაზოს, სხდომის მიმდინარეობისას შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები, რაც შეთანხმებული უნდა იყოს ზემდგომ პროკურორთან. იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლოს საპროცესო შეთანხმების შეცვლილი პირობებიც არ აკმაყოფილებს, იგი უარს ამბობს საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე და საქმეს უბრუნებს პროკურორს.

2. მონიტორინგის შედეგები

წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, სასამართლოს მიერ ჯეროვანი კონტროლის განხორციელება საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დროს⁹⁵ შემცირებულია, რაც გამოიხატება კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების არასრულად განმარტებასა და წარდგენილი სასჯელის მიზანშეწონილობის შესახებ მსჯელობის ნაკლებობაში.

აგრეთვე, გამოიკვეთა შემდეგი საინტერესო ტენდენციები:

- მოსამართლე, ძირითად შემთხვევებში, არ დაინტერესებულა, რამდენად სამართლიანი და კანონიერი იყო საპროცესო შეთანხმებით განსაზღვრული სასჯელი;
- მოსამართლემ ყველა შემთხვევაში დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება;
- ცალკეულ შემთხვევებში, მოსამართლემ სრულყოფილად არ განმარტა სსსკ-ის 212-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდებულის უფლებები.

ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლო შემოიფარგლება საპროცესო შეთანხმების ელემენტების „მშრალი“ მიმოხილვით და არ უღრმავდება წარდგენილი პირობების გამოკვლევას. მაგალითად, სასჯელის პირობების შეფასებას.

⁹⁵ ამ საანგარიშო პერიოდში დავაკვირდით საპროცესო შეთანხმების 111 სხდომას, რომელშიც მონაწილეობდა 131 ბრალდებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, გაიზარდა ბრალდებულისათვის სსსკ-ის 212-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებების განმარტებაზე უარის თქმის პროცენტული მაჩვენებელი. კერძოდ, 20 (18%) შემთხვევაში მოსამართლეს არ განუმარტავს ბრალდებულისათვის, რომ, თუ სასამართლო არ დაამტკიცებს საპროცესო შეთანხმებას, დაუშვებელია, მომავალში მის წინააღმდეგ გამოყენებული იყოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი მიანოდებს სასამართლოს საპროცესო შეთანხმების განხილვისას. წინა საანგარიშო პერიოდში ეს მაჩვენებელი 8%-ს შეადგენდა. აგრეთვე, 18 (16%) შემთხვევაში მოსამართლემ არ განუმარტა ბრალდებულს, რომ მის მიერ საჩივრის შეტანა წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე ხელს არ შეუშლიდა კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას. წინა საანგარიშო პერიოდში აღნიშნული უფლების განმარტებაზე უარის თქმის მაჩვენებელი 6%-ს შეადგენდა.

აგრეთვე, დაფიქსირდა ერთი შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ არ განმარტა სსსკ-ის 212-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი უფლება და 7 წუთში დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება.

ის ფაქტი, რომ მოსამართლე სრულყოფილად და ამომწურავად არ უმარტავს ბრალდებულებს კანონით გათვალისწინებულ უფლებებს, რაც მის ვალდებულებას წარმოადგენს, ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მოსამართლეები ფორმალურად ეკიდებიან საპროცესო შეთანხმების დამტკიცების საკითხს და ნაკლებად ახორციელებენ ჯეროვან კონტროლს აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენებაზე. საპროცესო შეთანხმებებს უფრო მეტ ფორმალობას მატებს ისიც, რომ ცალკეულ შემთხვევებში არ ხდება შესაბამის ფაქტობრივ გარემოებებზე საუბარი და, მოსამართლის მითითებით, ბრალდების მხარე მხოლოდ შუამდგომლობის სარეზოლუციო ნაწილს კითხულობს, სადაც სასჯელის პირობებია მოცემული.

ზოგჯერ მხარეებს აქვთ წინასწარი რწმენა, რომ მოსამართლე ნებისმიერ შემთხვევაში დაამტკიცებს წარდგენილ საპროცესო შეთანხმებას, რაც ჩრდილს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს, აზრს უკარგავს სხდომას და, გარკვეულწილად, წარმოადგენს კონკრეტული მოსამართლის უპატივცემულობას, ვინაიდან მხარეები საკუთარი ქმედებით ზოგჯერ წინ უსწრებენ და წინასწარ განსაზღვრავენ მოსამართლის გადაწყვეტილებას მაშინ, როდესაც მოსამართლემ შეიძლება უარი თქვას საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე.

ამის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია შესაბამისი მაგალითი:

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფიქსირდა ერთი შემთხვევა, როდესაც ბრალდებულმა წინასწარ გადაიხადა ჯარიმის თანხა, მოსამართლის მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე. ბრალდებული: „*დრო კი მომცეს, მაგრამ მე დღეს უკვე თანხა [ჯარიმა] შევიტანე*“. მოსამართლე: „*არავინ გაჩქარებდათ, მით უმეტეს, დრო თუ მოგცეს. წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს, დამტკიცდება თუ არა [საპროცესო]*.“

3. სასამართლოს მიდგომები სასჯელის სამართლიანობასა და კანონიერებასთან დაკავშირებით

სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, მოსამართლე საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კანონის საფუძველზე და არ არის ვალდებული, დაამტკიცოს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმება. მოსამართლის ეს უფლება მნიშვნელოვანი ბერკეტია იმისათვის, რომ გააკონტროლოს საპროცესო შეთანხმების პირობების სამართლიანობა/კანონიერება და, ამ ინსტიტუტის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, არ დაამტკიცოს შეთანხმება.

მართალია, კანონმდებლობა მოსამართლეს არ უტოვებს უფლებას, სასჯელი დამოუკიდებლად შეამციროს ან შეცვალოს, მაგრამ ეს არ ამართლებს მოსამართლის მხრიდან პროკურატურის მიერ შეთავაზებული გადამეტებულად მსუბუქი ან მძიმე სასჯელზე დათანხმებას იმ მოტივით, რომ ბრალდების მხარემ შუამდგომლობა ამგვარი პირობებით წარადგინა. სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სასჯელის შეფარდება. შესაბამისად, მოსამართლე ყურადღებით უნდა დააკვირდეს სასჯელის განსაზღვრის პროცესს და არ დაუშვას ბრალდებულისთვის შეუსაბამო სანქციის დაკისრება.⁹⁶

⁹⁶ სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბილისი, 2015, 63.

კანონით მინიჭებული ასეთი მნიშვნელოვანი უფლების მიუხედავად, ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მოსამართლეები არ დაინტერესებულან, რამდენად სამართლიანი და კანონიერი იყო მხარეების მიერ განსაზღვრული სასჯელი. უფრო მეტიც, პროკურორის მიერ წარდგენილი 111 საპროცესო შეთანხმება მოსამართლემ ყველა შემთხვევაში დაამტკიცა.


თუმცა, ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, დაფიქსირდა რამდენიმე დადებითი ფაქტი, როდესაც მოსამართლემ პროკურორს ტექნიკურ ხარვეზზე მიუთითა და ბრალდების მხარეს სასჯელის გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები გამოასწორებინა. ასევე, გამოვლინდა ცალკეული შემთხვევები, როდესაც მოსამართლე დაინტერესდა ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობით და გამოარკვია, ჰქონდა თუ არა იმის შესაძლებლობა, რომ ჯარიმა გადაეხადა.

4. საპროცესო შეთანხმების დროს გამოყენებული სასჯელები

წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, გაიზარდა იმ ბრალდებულთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებსაც საპროცესო შეთანხმების შედეგად ჯარიმა დაეკისრა. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის დასაწყისიდან (2011 წლის ოქტომბრიდან) მოყოლებული ყველა საანგარიშო პერიოდში მცირდებოდა ჯარიმების შეფარდების პროცენტული მაჩვენებელი, თუმცა, ამ საანგარიშო პერიოდში ეს ტენდენცია შეიცვალა და ფულადი თანხის დაკისრება 4%-ით გაიზარდა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ჯარიმების გამოყენების სინშირეს მონიტორინგის იმ პერიოდების განმავლობაში, რომელსაც საია აკვირდებოდა (2012 წლის ივლისიდან 2016 წლის ივლისის ჩათვლით).


დიაგრამა №14



რაც შეეხება საპროცესო შეთანხმებებით დაკისრებული ჯარიმების მთლიან ოდენობას, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, ეს მაჩვენებელიც გაიზარდა. კერძოდ, 56 ბრალდებულის მიმართ საპროცესო შეთანხმება გაფორმდა ჯარიმის დაკისრებით, რამაც ჯამში 211.000 ლარი შეადგინა. წინა საანგარიშო პერიოდში აღნიშნული თანხა 196.100 ლარი იყო, თუმცა, მიუხედავად ამისა, შემცირდა ჯარიმების საშუალო ოდენობა. წინა საანგარიშო პერიოდში საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული ჯარიმების საშუალო მაჩვენებელმა 4.560 ლარი შეადგინა, ხოლო ამ საანგარიშო პერიოდში 3.767 ლარით განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული ჯარიმების საშუალო ოდენობას 2012 წლის ივლისიდან 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით.

დიაგრამა №15




მიმდინარე მონიტორინგის პერიოდში ჯარიმების ოდენობა 1.000-დან 20.000 ლარამდე მერყეობდა.

ამ საანგარიშო პერიოდში უცვლელი დარჩა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი და, წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, 15%-ით განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საპროცესო შეთანხმებებში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების სიხშირეს იმ პერიოდის განმავლობაში, რომელსაც საია აკვირდებოდა (2012 წლის ივლისიდან 2016 წლის ივლისის ჩათვლით).

დიაგრამა №16



5. საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული სასჯელების პროპორციულობა ნარკოტიკულ დანაშაულებზე

აღსანიშნავია, რომ ნარკოტიკული დანაშაულის საქმეებზე საპროცესო შეთანხმება გაფორმდა 45 (34%) ბრალდებულის მიმართ.

აგრეთვე, საინტერესოა, რომ ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც სსკ-ის 273-ე მუხლით⁹⁷ გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით პროკურატურამ გამოიჩინა არაერთგვაროვანი და არათანმიმდევრული მიდგომა. რა თქმა უნდა, მიუხედავად ერთნაირი დანაშაულის ჩადენისა, პროკურატურა უფლებამოსილია, ბრალდებულებს შესთავაზოს განსხვავებული სანქციები. თუმცა, როდესაც ფაქტები იდენტურია (ბრალდებული არ არის ნასამართლევი და მეორედ უფიქსირდება ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის ვადაში) და პროკურორი, რაც შემთხვევებში, უფრო მკაცრ მიდგომებს იჩენს,

⁹⁷ პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა, ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, რომელიც ჩადენილია ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული ან ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ.

მაშინ ჩნდება კითხვის ნიშნები პროკურატურის კეთილსინდისიერებასა და თანმიმდევრულობასთან დაკავშირებით.

აღნიშნული პრობლემის სიმწვავე უფრო კარგად იგრძნობა იმ ფონზე, როდესაც, როგორც მონიტორინგი აჩვენებს, სასამართლოები საჭირო და ადეკვატურ ძალისხმევას არ იჩენენ სასჯელის სამართლიანობისა და კანონიერების სათანადოდ შეფასებისთვის.

ამის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია შესაბამისი მაგალითები:

| | |
|--|---|
| <p>პირს ბრალი ედებადა სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. როგორც საქმის განხილვისას გაირკვა, ბრალდებული წარსულში არ ყოფილა ნა-სამართლევი და მან მხოლოდ ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში კვლავ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, რის გამოც დაექვემდებარა სისხლის-სამართლებრივ ასუხისმგებლობას. პირველი წარდგენის სხდომაზე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება და ბრალდებულს დაეკისრა 1000 ლარიანი ჯარი-მა და 3 წლის ვადით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები.</p> | <p>სხვა შემთხვევაში, რომელიც ასევე ეხებოდა სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას, პირველი წარდგენის სხდომაზე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება. როგორც პროცესიდან გაირკვა, ბრალდებული არ ყოფილა ნა-სამართლევი და ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ კვლავ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. თუმცა, წინა შემთხვევისგან განსხვავებით, ბრალ-დებულს დაეკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით და 3 წლის ვადით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ყველა უფლება.</p> |
|--|---|

VI. სისხლის სამართალწარმოება ნაფიც მსაჯულების მონაწილეობით

1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ პირს ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადია, მოსამართლე ვალდებულია, ბრალდებულს განუმარტოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებები და მასთან დაკავშირებული უფლებები. ასევე, მოსამართლე არკვევს, თანახმაა თუ არა ბრალდებული, რომ მისი საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილოს.⁹⁸ თუ ბრალდებული ამ უკანასკნელთან დაკავშირებით სურვილს გამოთქვამს, მოსამართლე ატარებს კანონმდებლობით დადგენილ პროცედურებს.

ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საიას მონიტორები დააკვირდნენ ერთ გახმაურებულ საქმეს, რომელიც გაიმართა ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით.⁹⁹

2. მონიტორინგის შედეგები

საგულისხმოა, რომ მთლიანი საქმე მნიშვნელოვანი პროცესუალური და უფლებრივი დარღვევების ფონზე მიმდინარეობდა. კერძოდ, ცალკეულ შემთხვევებში, არ იყო უზრუნველყოფილი სხდომების საჯაროობა, დაირღვა ბრალდებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ზოგჯერ მოსამართლე ვერ უზრუნველყოფდა სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას და სასამართლოს არ ჰქონდა მონესრიგებული დასაკითხი და უკვე დაკითხული მონემების ცალ-ცალკე განთავსების საკითხი, რასაც მას კანონმდებლობა ავალდებულებს.

აღნიშნული საქმის ფარგლებში საიას მონიტორები დაესწრნენ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის 6 სხდომას და არსებითი განხილვის 16 სხდომას.

უნდა აღინიშნოს, რომ **ნაფიც მსაჯულთა შერჩევის ექვსივე ღია სხდომაზე** ინფორმაცია წინასწარ იყო გამოქვეყნებული და

⁹⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

⁹⁹ მაგდა პაპიძის საქმე, რომელსაც მიუსაჯეს უვადო თავისუფლების აღკვეთა ქმრისა და შვილის გაზრახ მკვლელობის გამო.

ნებისმიერ მსურველს თავისუფლად შეეძლო მათზე დასწრება. ეს არის იმ დადებითი ტენდენციის გაგრძელება, რომელიც წინა საანგარიშო პერიოდებიდან დაიწყო.¹⁰⁰ საია დადებითად აფასებს სასამართლოს მიერ ამ პრობლემის გადაჭრას და იმედს გამოთქვამს, რომ საზოგადოებას აღარ შეექმნება ხელოვნური ბარიერები სხდომებზე დასწრებისას, როგორც ეს გასულ პერიოდებში ხდებოდა.

რაც შეეხება არსებითი განხილვის სხდომებს, საჯაროობის პრინციპი ძირითადად დაცული იყო, თუმცა, დაფიქსირდა გამონაკლისებიც. კერძოდ, არსებითი განხილვის პირველი სხდომის პირველ ნაწილზე, სადაც ძირითადი და სათადარიგო ნაფიცი მსაჯულები შეირჩნენ და, ასევე, უფროსი ნაფიცი მსაჯული აირჩიეს, დარბაზში ადგილების არარსებობის გამო, ყველა მსურველმა ვერ შეძლო დასწრება, მათ შორის საიას მონიტორმაც. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მსურველი დარბაზთან იცდიდა, პროკურატურის ათეულობით თანამშრომელი პროცესზე ურიგოდ შევიდა. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ ყველა დაინტერესებულმა პირმა ვერ შეძლო სხდომაზე დასწრება.

მსგავსი სიტუაცია შეიქმნა საქმის განხილვის ბოლო სხდომაზე – იქ მისულმა სპეცრაზმელებმა ცოცხალი ჯაჭვი გააკეთეს (ისინი ძალიან აგრესიულები იყვნენ) და მხოლოდ მას შემდეგ მისცეს მოქალაქეებს სხდომაზე შესვლის შესაძლებლობა, რაც მათი ყველა წარმომადგენელი შევიდა დარბაზში. ამ შემთხვევაშიც, საქმის მოსმენას ყველა დაინტერესებული პირი ვერ დაესწრო.

მიუხედავად იმისა, რომ საქმის მიმართ დიდი ინტერესი არსებობდა, არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში, სასამართლოს სხდომის საჯაროობის უზრუნველსაყოფად რაიმე ღონისძიება არ გაუტარებია.¹⁰¹

აღსანიშნავია, რომ სხდომებზე (როგორც ინდივიდუალურ სხდომებზე, ისე ყველა სხდომის ანალიზის შედეგად) გამოვლინდა ცალკეული პროცესუალური დარღვევები, რომლებიც, რიგ შემთხვევებში, მნიშვნელოვანი უფლების დარღვევასაც იწვევდა.

¹⁰⁰ მეშვიდე საანგარიშო პერიოდში მოაწესრიგა სასამართლომ ეს პრობლემა.

¹⁰¹ მაგალითად, ეს შეიძლება ყოფილიყო სხდომის პირდაპირი ტრანსლაცია სასამართლოს შენობაში დამონტაჟებული მონიტორის მეშვეობით.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

საქმის განხილვისას რამდენჯერმე მოხდა სხდომის ნაწილობრივ დახურვა იმ მიზნით, რომ დაკითხულიყვნენ მონემები, რომლებიც ისაუბრებდნენ ბრალდებულის პირადი და სქესობრივი ცხოვრების დეტალებზე. გარდა ამისა, სხდომის დახურვის მიზეზი იყო ისიც, რომ უნდა გაჟღერებულიყო ისეთი საკითხები, რომლებიც ზემოთ ხსენებულ გარემოებებს ეხებოდა.

სხდომის დახურვის მიუხედავად, როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარემ და, ერთ შემთხვევაში, მონემემ, მედიასთან საუბარში საჯაროდ გაახმაურეს გარკვეული დეტალები, რომლებიც დახურულ სხდომაზე იყო განხილული.¹⁰²

აგრეთვე, ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე ბრალდებულმა დააყენა შუამდგომლობა სხდომის ნაწილობრივ დახურვის თაობაზე, ვინაიდან მონემის დაკითხვისას პროკურორმა დასვა რამდენიმე კითხვა ბრალდებულის პირადი ცხოვრების დეტალებთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, მოცემულ შემთხვევაში მოსამართლემ სწორად არ შეაფასა სხდომის დახურვის ლეგიტიმური მიზანი და ბრალდებულის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

მოსამართლის განმარტება სხდომის დახურვასთან დაკავშირებით: „ერთი ან ორი კითხვა თუ იქნება დელიკატური, მთელ სხდომას ვერ დავხურავთ. დააყენეთ მოტივირებული შუამდგომლობა.“

ზემოთ აღნიშნული შემთხვევები ადასტურებს, რომ სხდომის დახურვის კანონმდებლობით გათვალისწინებული მიზანი – დაცული ყოფილიყო პროცესის მონაწილის პირადი ცხოვრება – ვერ იქნა მიღწეული.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებითა და სასამართლოს არაერთგვაროვანი თუ დაუსაბუთებელი მიდგომით სხდომის დახურვის საკითხთან დაკავშირებით, დაირღვა ბრალდებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

¹⁰² ინფორმაციის გავრცელება დასტურდება შემდეგი ინტერნეტწყაროებით: ბრალდების მხარის ინტერვიუ - <http://bit.ly/2cPdZlc>; დაცვის მხარის ინტერვიუ - <http://presa.ge/new/?m=crimes&AID=45755>; მონემის ინტერვიუ - <http://topnews.mediamall.ge/?id=170138>.

წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა სხდომის დარბაზში

სასამართლო განხილვების დროს არაერთხელ ჰქონდა ადგილი დარბაზში დამსწრე პირების მიერ წესრიგის დარღვევასა და ბრალდებულის მისამართით შეურაცხმყოფელ შეძახილებს. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, ამას არ მოჰყოლია სათანადო რეაგირება მოსამართლის მხრიდან. ბრალდებულმა რამდენჯერმე სთხოვა მოსამართლეს, დაემყარებინა დარბაზში წესრიგი, რათა ხელი არ შეშლოდა მოწმის დაკითხვის პროცესს, თუმცა, ამის მიუხედავად, მოსამართლეს საკმარისი ღონისძიებები არ გაუტარებია. მეტიც, რიგ შემთხვევებში, მოსამართლის არათანმიმდევრული მოქმედება წამახალისებელი იყო დარბაზში მყოფი პირებისათვის, რათა არ დაეცვათ წესრიგი. რიგ შემთხვევებში, მოსამართლის მეტისმეტი ლმობიერება, ხოლო სხვა შემთხვევებში გადამეტებული სიმკაცრე აზარალებდა პროცესის ეფექტურად წარმართვის შესაძლებლობას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც მოწმეებს დარბაზში დამსწრე პირები კარნახობდნენ პასუხებს, მოსამართლეს არავითარი რეაგირება არ მოუხდენია.

დაკითხული და დასაკითხი მოწმეების განცალკევების საკითხი

მოცემულ საქმეზე არ იყო მოწესრიგებული უკვე დაკითხული და დასაკითხი მოწმეების განცალკევების საკითხი, რაც, კანონით, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს.¹⁰³

მოწმედ დასაკითხი ყველა პირი სასამართლოს პირველი დარბაზის ფოიეში იმყოფებოდა და მათ ერთმანეთთან კომუნიკაციის შესაძლებლობა ჰქონდათ. იყო შემთხვევები, როდესაც მოწმეები დაკითხვის შემდეგ გადიოდნენ დარბაზიდან და შემდეგ უკან ბრუნდებოდნენ. აღნიშნული კი, აჩენს ეჭვებს, რომ მათ ჰქონდათ კომუნიკაცია დასაკითხ მოწმეებთან, რომლებიც შემოსასვლელში იცდიდნენ. სამწუხაროდ, სასამართლოს ამის აღსაკვეთად არაფერი უღონია.

¹⁰³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „მოწმე უნდა დაკითხოს იმ მოწმეთაგან განცალკევებით, რომლებიც ჯერ არ დაკითხულან. ამასთანავე, სასამართლო იღებს ზომებს, რათა ერთ საქმეზე გამოძახებულ მოწმეებს დაკითხვის დამთავრებამდე ერთმანეთთან ურთიერთობა არ ჰქონდეთ.“

ბრალდების მხარის ურთიერთობა ნაფიც მსაჯულებთან

დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც პროკურორები ძალიან ახლოს მიდიოდნენ ნაფიც მსაჯულებთან და მიკროფონის გარეშე ესაუბრებოდნენ. ასევე, იყო შემთხვევები, როდესაც პროკურორი ნაფიც მსაჯულებს აჩვენებდა მტკიცებულებას და შესაბამის განმარტებასაც აძლევდა, თუმცა, დანარჩენებისათვის უცნობი იყო, თუ რაზე მიანიშნებდა პროკურორი. ასევე, გამოვლინდა ერთი შემთხვევა, როდესაც ნაფიცმა მსაჯულმა კითხვა დაუსვა პროკურორს და ბრალდების მხარისგანაც მიიღო პასუხი ისე, რომ ეს არ ყოფილა საჯაროდ დაფიქსირებული. მოსამართლემ შენიშვნა მისცა ბრალდების მხარეს, რომ მიკროფონში ესაუბრათ, თუმცა, ამის მიუხედავად, მსგავსი შემთხვევები კვლავ განმეორდა.

საგულისხმოა, რომ ბრალდების მხარის ასეთი დამოკიდებულება არღვევდა მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპს, ასევე, ტოვებდა ნაფიც მსაჯულებზე ზემოქმედების შთაბეჭდილებას.

ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტი

ნაფიცმა მსაჯულებმა საქმის არსებითი განხილვის შემდეგ, პირველ სამ საათში, ერთხმად გამოიტანეს გამამტყუნებელი ვერდიქტი, თუმცა, დაცვის მხარის უარის გამო მათ მონაწილეობა არ მიუღიათ სასჯელის დანიშვნის სხდომაში. სასჯელის დანიშვნა მოხდა მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად, რომელმაც მაგდა პაპიძეს უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მაგდა პაპიძის მიმართ განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობა

პირველი წარდგენის სხდომაზე¹⁰⁴ მაგდა პაპიძემ განაცხადა, რომ მის მიმართ პოლიციელების მხრიდან ადგილი ჰქონდა არასათანადო და დამამტყუნებელ მოპყრობას. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან სამსახ-

¹⁰⁴ მაგდა პაპიძის პირველი წარდგენის სხდომა და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი არ ასახულა ჩვენს საერთო ტენდენციებსა და სტატისტიკაში, ვინაიდან აღნიშნული პროცესი არ ჩატარებულა საანგარიშო პერიოდში (2016 წლის თებერვლიდან 2016 წლის ივლისის ჩათვლით).

ურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე.

ქ. თბილისის პროკურატურის წერილის მიხედვით, საქმეზე მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით არ დადასტურდა მაგდა პაპიძის მიმართ პოლიციელთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების ან სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დანაშაულის ნიშნები, რის გამოც 2016 წლის 2 ივნისს გამოძიება შეწყდა.¹⁰⁵

მიუხედავად იმისა, რომ მაგდა პაპიძის მიმართ სავარაუდოდ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით მაღალი საჯარო ინტერესი არსებობდა, პროკურატურას აღნიშნული ინფორმაცია საჯაროდ არ გაუფრცელებია და არც საზოგადოების ინფორმირება მოუხდენია.

განსხვავებით მის წინააღმდეგ მიმდინარე საქმის დეტალებისა, რომლებიც პროკურატურამ თავისი ინიციატივით ჯერ კიდევ გამოძიების ეტაპზე გაასაჯაროვა. გასაჯაროებული ინფორმაციის შინაარსისა და დეტალურობის გამო, დაირღვა პაპიძის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და უდანაშაულობის პრეზუმფცია.¹⁰⁶

VII. საჯარო სასამართლო განხილვა და სასამართლოს მიღბომები სსდომის დახურვასთან დაკავშირებით

1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა

საჯარო განხილვის უფლება ბრალდებულისა და საზოგადოების მნიშვნელოვანი უფლებაა და გარანტირებულია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. იგი უზრუნველყოფს მართლმსაჯულების პროცესის მეტ გამჭვირვალობას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოების ნდობის ამაღლებას, მეტ ანგარიშვალდებულებასა და სასამართლო სისტემის ირგვლივ ფართო მსჯელობას.¹⁰⁷

სასამართლო პროცესები მაშინ აკმაყოფილებს საჯაროობის

¹⁰⁵ საიას განცხადება №გ-04/364-16; ქალაქ თბილისის პროკურატურის 2016 წლის 5 სექტემბრის №13/01-57636 წერილი.

¹⁰⁶ <https://gyla.ge/ge/post/saias-ganckhadeba-magda-papidzis-saqmestan-dakavshirebit>.

¹⁰⁷ ეუთოს სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, ვარშავა, 9 დეკემბერი, 2014, 54, §64.

მოთხოვნებს, როდესაც საზოგადოებას საშუალება აქვს, ადვილად მოიპოვოს ინფორმაცია მისი ჩატარების თარიღისა და ადგილის შესახებ.¹⁰⁸

საჯარო განხილვის უფლება გულისხმობს არა მხოლოდ საზოგადოების დასწრების შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს მხრიდან იმის უზრუნველყოფას, რომ დასწრების შემთხვევაში თითოეული პირისათვის გასაგები და აღქმადი იყოს საქმის განხილვის შინაარსი.

აღსანიშნავია ისიც, რომ საჯარო განხილვის უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და შესაძლებელია შეიზღუდოს სხვადასხვა ლეგიტიმური ინტერესიდან გამომდინარე. თუმცა, იმავდროულად, სხდომის სრულად ან ნაწილობრივ დახურვის შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია, მიუთითოს სხდომის დახურვის მიზეზი და დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილების აუცილებლობა.¹⁰⁹

საჯარო განხილვის უფლების ფარგლებში შეფასდება ისიც, საჯაროდ ცხადდება თუ არა ინფორმაცია სხდომების ჩატარების შესახებ, მოსამართლეების საუბარი არის თუ არა ნათელი და გასაგები დარბაზში მსხდომი პირებისათვის და, ასევე, ყველასთვის შესაძლებელია თუ არა სხდომებზე დასწრება.

2. მონიტორინგის შედეგები

ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საჯარო განხილვის უფლების სფეროში ვითარება გაუმჯობესდა. ძირითადად, უზრუნველყოფილი იყო აღნიშნული უფლების პრაქტიკული და ადეკვატური რეალიზება, თუ არ ჩავთვლით პირველი წარდგენის სხდომებს, სადაც კვლავ სისტემურ პრობლემას წარმოადგენს ინფორმაციის გამოქვეყნება სხდომის გამართვის შესახებ.

614 სხდომიდან,¹¹⁰ რომელიც არ მოიცავს პირველი წარდგენის, ნაფიცი მსაჯულების შერჩევისა და მათ მიერ საქმის არსებითი განხილვის სხდომებს, 80 (13%) შემთხვევაში წინასწარ არ გამოცხადებულა ინფორმაცია სხდომის ჩატარების თარიღისა და ადგილის

¹⁰⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, რედ: გიორგი გიორგაძე, თბილისი, 2015, 92.

¹⁰⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

¹¹⁰ 615 განხილვა მოიცავს წინასასამართლო, საპროცესო შეთანხმების, არსებითი განხილვისა და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ჩატარებულ სხდომებს.

შესახებ. წინა საანგარიშო პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი ასევე 13%-ს შეადგენდა. აღსანიშნავია ისიც, რომ დანარჩენ 534 შემთხვევაში, მართალია, წინასწარ გამოცხადდა ინფორმაცია სხდომის ჩატარების შესახებ, მაგრამ 4 (1%) შემთხვევაში არ იყო მითითებული სხდომის გამართვის დარბაზი.

ასევე, 864 სხდომიდან, პირველი წარდგენის სხდომების ჩათვლით, მხოლოდ 7 (1%) შემთხვევაში არ იყო გასაგები და აღქმადი მოსამართლის საუბარი, ხოლო 5 (1%) შემთხვევაში დაინტერესებულ პირებს შეეზღუდათ სხდომაზე დასწრების უფლება. რაც შეეხება წინა საანგარიშო პერიოდს, ეს უკანასკნელი მაჩვენებელი 4%-ს შეადგენდა.

სხდომების საჯაროდ გამოცხადების უზრუნველყოფა

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ, როგორც წესი, სასამართლო სხდომების ჩატარების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ცხადდება. გამონაკლისია მხოლოდ პირველი წარდგენის სხდომები, როდესაც ინფორმაცია სხდომების ჩატარების შესახებ წინასწარ არასდროს იყო ცნობილი.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ფოიეში მანდატურები აცხადებენ სხდომების, მათ შორის, პირველი წარდგენის სხდომების გამართვის დროსა და ადგილს, თუმცა, აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს სხდომის საჯაროობის უზრუნველყოფის სათანადო ღონისძიებას.

პირველი წარდგენის სხდომათა შესახებ ინფორმაციის გამოუქვეყნებლობის პრობლემა, 2011 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, ანუ მას შემდეგ, რაც მონიტორინგის განხორციელება დაიწყო, საიას ყველა ანგარიშში აისახა. საკითხზე ყურადღების გამახვილების მიუხედავად, სიტუაცია უცვლელი რჩება. სასამართლო სისტემის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ამის მიზეზი ტექნიკური შეზღუდვები იყო, რაც უკავშირდებოდა პირველი წარდგენის სხდომების ჩატარებას ბრალდებულის სასამართლოში წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა. ამასთან, გამოთქვამდნენ მზადყოფნას აღნიშნული ტექნიკური პრობლემების მოგვარების კუთხით. დაპირების მიუხედავად, ამ მიმართულებით დღემდე არავითარი ღონისძიება არ გატარებულა.


მონიტორინგის წინა პერიოდების განმავლობაში დაკვირვების ობიექტს წარმოადგენდა ბათუმის საქალაქო სასამართლოც, სადაც სპეციალურად განკუთვნილ მონიტორზე წინასწარ ქვეყნ-

დებოდა ინფორმაცია პირველი წარდგენის სხდომის გამართვის დროისა და ადგილის შესახებ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს დადებითი მაგალითი ცხადყოფს, რომ პირველი წარდგენის სხდომების შესახებ ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნება, სათანადო ძალისხმევის გამოჩენის შემთხვევაში, ტექნიკურად შესაძლებელია.

რაც შეეხება სხვა სხდომებს: წინასასამართლო მოსმენებზე არ დაფიქსირებულა ისეთი შემთხვევა, როდესაც ინფორმაცია არ გამოქვეყნდა წინასწარ. საპროცესო შეთანხმების საქმეებზე ინფორმაციის წინასწარი გამოქვეყნების პრობლემა დაფიქსირდა 75 (68%)¹¹¹ შემთხვევაში, არსებითი განხილვის საქმეებზე კი, 5 (1%) შემთხვევაში საჯაროდ არ გამოქვეყნდა ინფორმაცია სხდომის ჩატარების შესახებ.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სიტუაციას სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე სხდომების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების პრობლემებთან დაკავშირებით.

დიაგრამა №17



¹¹¹ საპროცესო შეთანხმების 75 სხდომიდან, 69 გაიმართა პირველი წარდგენის სხდომაზე. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ არ გამოქვეყნდა ინფორმაცია წინასწარ, ვინაიდან პირველი წარდგენის სხდომების ჩატარების შესახებ ინფორმაცია წინასწარ არასოდეს ცხადდება.

მოსამართლის საუბრის აღქმადობა დარბაზში მსხდომი პირებისათვის

ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფიქსირდა მოსამართლის მხრიდან ხმადაბალი და დამსწრეთათვის გაუგებარი საუბრის შემთხვევები. აღნიშნული კი, წარმოადგენს საჯარო განხილვის უფლების დარღვევას, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელი იყო ამ სხდომაზე საზოგადოების დასწრება, მათ არ ჰქონდათ საშუალება, სრულყოფილად მოესმინათ მოსამართლის საუბარი.

865 სხდომიდან, რომელიც არ მოიცავს ნაფიცი მსაჯულების შერჩევასა და მათ მიერ საქმის არსებითი განხილვის სხდომებს, 7 (1%) შემთხვევაში მოსამართლის საუბარი გარკვევით არ ისმოდა და დამსწრე პირებმა ვერ შეძლეს, სრულყოფილად აღექვათ მიმდინარე პროცესზე გახმოვანებული ინფორმაცია.

ზემოხსენებულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილია მაგალითი:

პირველი წარდგენის ერთ-ერთ სხდომაზე მოსამართლე მის მიერ წარმოსათქმელ ტექსტს კითხულობდა ფურცლიდან. იმის გამო, რომ ხშირად ჩერდებოდა და კითხვას თავიდან იწყებდა, მისი გამოსვლა არ იყო აღქმადი და გასაგები დარბაზში მსხდომი პირებისთვის.

ასევე, დაფიქსირდა ცალკეული შემთხვევები, როდესაც, მართალია, მოსამართლე გასაგებად საუბრობდა, თუმცა, სხვადასხვა ტექნიკური ხარვეზის ან სხვა მიზეზის გამო, პროცესის მონაწილეთა გამოსვლები სხდომაზე დამსწრე პირებს არ ესმოდათ. ერთ-ერთ წინასასამართლო სხდომაზე, როდესაც დამსწრე პირებმა გამოთქვეს უკმაყოფილება, რომ არ ესმოდათ მხარეთა საუბარი, მოსამართლემ ასეთი პასუხი გასცა: „მთავარია, მე გავიგე. აბა, ხომ არ ვაყვირებთ? ამაზე მაღალი ხმა არ აქვთ, არ აქვთ ბოხი ხმა და რა ვქნათ.“

საზოგადოების ხელმისაწვდომობა სასამართლო პროცესებზე

ამ საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა შემთხვევები, როცა ყველა მსურველმა ვერ შეძლო სხდომაზე დასწრება. 864 სხდომიდან, რომელიც არ მოიცავს ნაფიცი მსაჯულების შერჩევასა და მათ მიერ საქმის არსებითი განხილვის სხდომებს, 5 (1%) შემთხვევაში

არ იყო ყველასთვის ხელმისაწვდომი სხდომაზე დასწრება, რაც, ასევე, საჯარო განხილვის უფლების დარღვევას წარმოადგენს. აღნიშნულის მიზეზს ყველა შემთხვევაში დარბაზის სიმცირე წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი ყველა ადამიანს ვერ მისცემს სხდომაზე დასწრების გარანტიას, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოებმა სწორად და ეფექტიანად გამოიყენონ არსებული რესურსები. ამისათვის აუცილებელია, სასამართლოებმა გაითვალისწინონ საზოგადოების ინტერესები საქმის მიმართ და, სადაც ეს შესაძლებელია, სხდომა ჩაატარონ უფრო დიდ დარბაზში, რათა ყველასთვის უზრუნველყოფილი იყოს სხდომაზე დასწრება. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სასამართლოს შენობის სხვადასხვა ადგილას დამონტაჟებული ეკრანებიდან მოხდეს სასამართლო სხდომების პირდაპირი ვიდეოტრანსლაცია.¹¹²

აღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია მაგალითი:

არსებითი განხილვის ერთ-ერთ სხდომაზე ყველა მსურველმა ვერ მოახერხა სხდომაზე დასწრება, ვინაიდან სხდომა ჩატარდა შედარებით მცირე დარბაზში, მაშინ როდესაც შესაძლებელი იყო საქმის მოსმენა სხვა, უფრო დიდ დარბაზში გაემართათ.

სხდომის დახურვის საკითხის გადაწყვეტა

მონიტორინგმა აჩვენა, რომ სხდომების დახურვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოები არაერთგვაროვნად მოქმედებენ. ზოგჯერ ისინი ხელმძღვანელობენ კანონმდებლობით დადგენილი წესით და საჯაროდ აცხადებენ გადაწყვეტილებას სხდომის დახურვის შესახებ, რაც დადებით და სწორ მიდგომას წარმოადგენს. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, სხდომა თავიდანვე დახურულ რეჟიმში მიმდინარეობს და ყველასთვის უცნობია დახურვის მიზეზები, რაც კანონმდებლობის ცალსახა დარღვევაა.¹¹³

¹¹² ეუთოს სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, ვარშავა, 9 დეკემბერი, 2014, 59, §78.

¹¹³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, მოსამართლე ვალდებულია, საჯაროდ გამოაცხადოს სასამართლო სხდომის დახურვის საფუძველი.

ზოგჯერ პროცესი ტარდებოდა დახურულ სხდომებზე საზოგადოების არდაშვების მიზეზების მკაფიოდ ახსნის გარეშე. ასეთი პრაქტიკა კი, ეწინააღმდეგება სასამართლოს ვალდებულებას, საჯაროდ გამოაცხადოს სასამართლო სხდომის დახურვის საფუძველი, რაც აღიქმება თვითნებურ და გაუმჭვირვალე პროცესად.

ავტომატურად სხდომების დახურულ რეჟიმში წარმართვა აზრს უკარგავს სასამართლო სხდომის დახურვის საფუძველებს და ასუსტებს სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხს სხდომის დახურვის შესახებ მიღებულ განჩინებებთან დაკავშირებით.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია მაგალითი, რომელშიც იკვეთება კანონმდებლობის დარღვევა სხდომის დახურვის საკითხის გადაწყვეტისას:

პირველი წარდგენის ერთ-ერთ სხდომაზე, რომელიც ეხებოდა არასრულწლოვანი ბრალდებულის საქმეს, სხდომის მდივანმა სასამართლო მონიტორს დაატოვებინა დარბაზი, ვინაიდან სხდომა დახურულ რეჟიმში უნდა ჩატარებულიყო. შესაბამისად, პროცესის დაწყება მოხდა მის გაუხსნელად და მოსამართლეს საჯაროდ არ გამოუცხადებია სხდომის დახურვის მიზეზები და საფუძველები.

აღნიშნული კი წარმოადგენს დარღვევას, ვინაიდან კანონმდებლობის მიხედვით, ნებისმიერ შემთხვევაში, მოსამართლე ვალდებულია, საჯაროდ გამოაცხადოს სასამართლო სხდომის დახურვის საფუძველი.

რეკომენდაციები

ყველა წინა საანგარიშო პერიოდისა და ბოლო დაკვირვების შედეგების გათვალისწინებით, საიამ მოამზადა შემდეგი რეკომენდაციები:

საერთო სასამართლოებს

1. ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე გაითვალისწინონ ასეთი ტიპის დანაშაულების სპეციფიკურობა, ადეკვატურად შეაფასონ საფრთხეები/რისკები, რომლებიც მომდინარეობს ბრალდე-

ბულებსაგან და გამოიყენონ შესაბამისი სიმძიმის აღკვეთის ღონისძიება და სასჯელი.

2. უცხოენოვანი ბრალდებულის შემთხვევაში, უზრუნველყონ იგი თარჯიმნის მომსახურებით და, იმავდროულად, სასამართლომ განახორციელოს სათანადო კონტროლი პროცესზე წარმოებული ზეპირი თარგმანის ხარისხზე. სასამართლო უნდა დარწმუნდეს თარჯიმნის პროფესიონალიზმში.
3. მოსამართლეების ქცევა არ უნდა იყოს არაეთიკური, სტერეოტიპული და სტიგმის შემცველი და, შესაბამისად, მათი გამაძლიერებელი პროცესის მონაწილეების მიმართ, განსაკუთრებით მონყვლად ჯგუფებთან მიმართებით.
4. სასამართლოებმა უნდა ისარგებლონ მათთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებით აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით. მოსამართლეებმა უფრო ხშირად უნდა გამოიყენონ ნაკლებად მკაცრი ღონისძიებები (ალტერნატიული ღონისძიებები, პატიმრობისა და გირაოს გარდა) შესაბამის შემთხვევებში ან საერთოდ უარი თქვან აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე, როდესაც პროკურორი ვერ ასაბუთებს მისი გამოყენების აუცილებლობას. ასევე, სასამართლოებმა უნდა მოითხოვონ პროკურატურისგან აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობის უფრო მეტი დასაბუთება და პროკურატურას უნდა დააკისრონ მტკიცების ტვირთი.
5. პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც სხვა ნაკლებად მკაცრი ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს.
6. მოსამართლეებმა უფრო მეტად უნდა დაასაბუთონ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების გადანყვეტილებები და განჩინებებში უნდა მიუთითონ ის ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც აუცილებელი გახდა კონკრეტული ღონისძიების გამოყენება.
7. სასამართლოებმა უნდა ჩამოაყალიბონ ერთგვაროვანი მიდგომები ერთი და იგივე დანაშაულისა და იდენტურ გარემოებებში მყოფი ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას. განსხვავებულმა პრაქტიკამ შეიძლება გააჩინოს შერჩევითი მართლმსაჯულების ნიშნები.
8. სასამართლომ მხოლოდ საფუძვლიანი შემონმების შემდეგ უნდა დააკანონოს გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებ-

ული ჩხრეკისა და ამოღების შუამდგომლობები, დაასაბუთოს გადანყვეტილებები და მიღებული განჩინება შეუსაბამოს საკანონმდებლო მოთხოვნებს. ასევე, საერთო სასამართლოებმა უნდა ჩამოაყალიბონ ერთიანი პრაქტიკა მესაკუთრის/მფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობის შემთხვევაში, ჩხრეკისა და ამოღების პროცედურებთან და მათ კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით.

9. მოსამართლეებმა ყველა შემთხვევაში ჯეროვნად უნდა განახორციელონ თავიანთი უფლება-მოვალეობები საპროცესო შეთანხმების სხდომებზე. ყველა შემთხვევაში სრულყოფილად განუმარტონ ბრალდებულებს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები და გამოიკვლიონ, რამდენად სამართლიანი და კანონიერია მხარეების მიერ განსაზღვრული სასჯელი, რათა არ არსებობდეს ეჭვები სასჯელისა და დანაშაულის პროპორციულობასთან დაკავშირებით.
10. სასამართლოებმა უნდა იმოქმედონ კანონმდებლობით დადგენილი წესით და ყველა შემთხვევაში საჯაროდ გამოაცხადონ სხდომის დასურვის მიზეზები და საფუძველი.

საქართველოს პროკურატურას

1. ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულებისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე პროკურატურამ უნდა უზრუნველყოს დანაშაულისათვის სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციის მიცემა, რათა ბრალის დადასტურების შემთხვევაში, დამნაშავეს განესაზღვროს სათანადო და ადეკვატური სასჯელი. ასევე, ყველა შესაძლო საშუალებით უნდა გამოიძიონ და გამოკვეთონ, ხომ არ მოხდა დანაშაულის ჩადენა გენდერთან დაკავშირებული მოტივით და, სქესის ან სხვა ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევაში, სსკ-ის შესაბამის მუხლთან ერთად გამოიყენონ სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
2. პროკურატურამ სათანადოდ უნდა შეაფასოს არსებული გარემოებები ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე და მოითხოვოს შესაბამისი სიმძიმის აღკვეთის ღონისძიება, რომელიც იქნება განმეორებითი დანაშაულის პრევენციისა და მსხვერპლის უსაფრთხოების გარანტი.

3. პროკურორებმა უნდა გამოიჩინონ მაღალი ეთიკური ქცევა პროცესის მონაწილეების, განსაკუთრებით, მონყვლადი ჯგუფების მიმართ. მათი საქმიანობა არ უნდა იყოს სტერეოტიპული და სტიგმის შემცველი და შესაბამისად — გამაძლიერებელი.
4. პროკურორებმა უფრო მეტად უნდა დაასაბუთონ კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა და მიზანშეწონილობა. იმავდროულად, უნდა განმარტონ, რატომ ვერ უზრუნველყოფს სხვა ნაკლებად მკაცრი ღონისძიების შეფარდება შესაბამის მიზნებს.
5. პროკურორმა უნდა დაასაბუთოს მოთხოვნილი გირაოს ოდენობა და შეისწავლოს ბრალდებულის ქონებრივი და ფინანსური შესაძლებლობები.
6. ჩამოაყალიბონ ერთგვაროვანი მიდგომები ერთი და იგივე დანაშაულისა და იდენტურ გარემოებებში მყოფი ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას.
7. გამოძიებისა და ბრალდების ორგანოებმა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა ჩაატარონ ჩხრეკა და ამოღება სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე.

საქართველოს პარლამენტს

1. საქართველოს პარლამენტის მიერ კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს სასამართლოს ვალდებულება, გირაოს გამოყენების შემთხვევაში, დაასაბუთოს მისი პატიმრობით უზრუნველყოფის აუცილებლობა და მიზანშეწონილობა.
2. კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს, რომ პატიმრობით უზრუნველყოფილი გირაოს – ე.წ. „საპატიმრო გირაოს“ – პირობების დარღვევის შემთხვევაში, ავტომატურად კი არ მოხდეს პირის პატიმრობაში დატოვება, არამედ გირაოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის საკითხი დაექვემდებაროს სასამართლოს მხრიდან მსჯელობას და იმ მიზეზების განხილვას, რამაც გირაოს პირობების დარღვევა განაპირობა, როგორც ეს ხდება „ჩვეულებრივი გირაოს“ გამოყენების შემთხვევაში.
3. კანონმდებლობით მოწესრიგდეს დაკავების კანონიერების განხილვის მექანიზმები და პროცედურები. განისაზღვროს მოსამართლის ვალდებულება, პირველი წარდგენის სხდო-

მაზე შეამოწმოს დაკავების კანონიერება როგორც წინასწარი ნებართვის არსებობის შემთხვევაში, ისე გადაუდებელი აუცილებლობის დროს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა შეიმუშაოს ერთიანი სტანდარტი და სისტემა სასამართლოებისათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს სხდომების შესახებ სრულყოფილი და მართებული ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნება. განსაკუთრებით ეს ეხება პირველი წარდგენის სხდომებს, სადაც ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნება კვლავ სისტემურ პრობლემას წარმოადგენს.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას

1. აუცილებელია, რომ ადვოკატები საქმის განხილვის ყველა ეტაპზე კვალიფიციურად, აქტიურად და დამაჯერებლად ახორციელებდნენ დაცვის უფლებას. ამისათვის კი, ადვოკატთა ასოციაციამ უნდა უზრუნველყოს მათი პერმანენტული გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა სფეროში (მაგალითად: ალკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტებთან დაკავშირებით, მონყვლადი ჯგუფების უფლებებთან და საჭიროებებთან მიმართებით და ა.შ.).
2. ადვოკატებმა უნდა გამოიჩინონ მაღალი ეთიკური ქცევა პროცესის მონაწილეების, განსაკუთრებით, მონყვლადი ჯგუფების მიმართ. მათი საქმიანობა არ უნდა იყოს სტერეოტიპული და სტიგმის შემცველი.